საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 139 (159) ხუთშაბათი, 18 ივლისი, 1991 წელი. ფასი 15 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკაში მიგრაციული პროცესების რეგულირების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში დღეისათვის შექმნილი რთული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას მოითხოვს.

სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის განსახლების პრობლემებმა, შიდამიგრაციული და საერთო იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესები გაფართოვდა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს მათი საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე შესწავლისა და გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ მიღების აუცილებლობას. მოსახლეობის განსახლების პრობლემები, არსებულ ეკონომიკურ სიძნელეებთან ერთად, მძიმე ტვირთად დააწვა რესპუბლიკას.

დღეს, როცა მოგვარებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთათვის საცხოვრებელი სახლებისა და ახალი სოფლების მშენებლობის საკითხები, თავი იჩინა ახალმა პრობლემებმაც. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ბევრი ქართული ოჯახი გამოთქვამს სამშობლოში იმიგრაციის სურვილს, მათი ნაწილი ჩამოდის რიგ რეგიონებში. გამოჩნდნენ ემიგრაციის მსურველი ოჯახებიც და მათ მექანიკურ, მოუწესრიგებელ მოძრაობას არასასურველი შედეგები მოსდევს, რაც საგრძნობლად აუარესებს საქართველოს ისედაც რთულ დემოგრაფიულ მდგომარეობას.

ამ მხრივ, დარღვევებია მთელი რიგი რაიონების პრეფექტურების მუშაობაში. მათი უყურადღებობისა და უკონტროლობის შედეგად რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველი ოჯახების სახლები (ბინები) იყიდება და ფორმდება არსებული კანონმდებლობის უხეში დარღვევებით. წინასწარი მონაცემებით, მარტო თეთრი წყაროს რაიონში 100-ზე მეტმა თბილისელმა სააგარაკოდ შეიძინა აღნიშნული კატეგორიის საცხოვრებელი სახლები.

ამას ემატება ისიც, რომ 1987-1989 წლებში მომხდარი სტიქიური უბედურებებისაგან დაზარალებული ოჯახებისთვის რიგ რეგიონებში ჯერაც არ დამთავრებულა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ცალკეულ შემთხვევებში ოჯახების გარკვეული ნაწილი, სხვადასხვა მიზეზით, უარს ამბობს ბინებში შესახლებაზე.

წლების განმავლობაში დაგროვილი და გადაუჭრელი პრობლემების გადასაწყვეტად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რესპუბლიკაში სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის აშენებული, სუბიექტური მიზეზებით აუთვისებელი და რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველი ოჯახების საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შესყიდვით საგანგებო საცხოვრებელი ფონდის შექმნა, მისი შემდგომი მიზნობრივი გამოყენება და მომავალში ამ საქმეში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება.

საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი რთული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის განსახლების პრობლემების გადასაწყვეტად, შიდამიგრაციული და საერთო იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესების რეგულირების მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურების ქმედითი დახმარებით სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებით შექმნას საგანგებო საცხოვრებელი ფონდი და მოახდინოს შესყიდული სახლების (ბინების) მიზნობრივი განაწილება.

2. საგანგებო საცხოვრებელი ფონდი პირველ რიგში გამოყენებულ იქნეს რესპუბლიკაში იმიგრაციის მსურველი და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების დასაკმაყოფილებლად, ასევე ცალკეული ქალაქისა და რაიონის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

3. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს რესპუბლიკაში ემიგრაციის შედეგად მიტოვებული და რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველი ოჯახების სახლების (ბინების) შესყიდვის წესი და შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე წარმოადგინონ პროექტი არსებულ კანონმდებლობაში შესაძლო ცვლილებების შესახებ.

4. საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა და საკრებულოებმა უზრუნველყონ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროში რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველი ოჯახების საცხოვრებელი სახლების ღირებულების შესახებ ცნობების მოწოდება და ხელი შეუწყონ სამინისტროსთან არსებულ სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიან სახელმწიფო ფონდს გამოთავისუფლებული სახლების შესყიდვის საქმეში.

5. ნება დაერთოს საქართველოს რესპუბლიკის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიან სახელმწიფო ფონდს გამოისყიდოს უკანასკნელ ხანს საქართველოდან ემიგრირებული ოჯახების სახლები თეთრი წყაროს და სხვა რეგიონებში იმ მოქალაქეთაგან, რომლებმაც სააგარაკოდ შეიძინეს აღნიშნული სახლები და არ გადაეწერნენ იქ ოჯახებით მუდმივ საცხოვრებლად. აღნიშნულის განხორციელებაში სახელმწიფო ფონდს ქმედითად დაეხმარონ საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტურები საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა.

6. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ ყველაფერი იღონონ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან არსებული სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გარეშე რესპუბლიკის გარეთ ემიგრაციის მსურველი ოჯახების სახლების (ბინების) გასხვისების ფაქტების აღსაკვეთად.

7. ხულოს, შუახევის, ლენტეხისა და მესტიის რაიონების პრეფექტებმა 1991 წლის 1 სექტემბრამდე შეამოწმონ 1987-1989 წლების სტიქიური უბედურებებით დაზარალებულ და ჩასასახლებელ ოჯახთა სიები, დაასაბუთონ კომლთა დაყოფისა და ჩასახლების აუცილებლობა და შუამდგომლობა მათი ჩასახლების თაობაზე წარუდგინონ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს.

8. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთან და 1989 წელს სტიქიით დაზარალებული რაიონების პრეფექტებთან ერთად 1991 წლის 1 სექტემბრამდე გადაამოწმონ დაზარალებული ოჯახების განსახლების რეალური მდგომარეობა და ერთობლივად იზრუნონ მათი დაბინავებისთვის; დააზუსტონ დაზარალებული ოჯახების რაოდენობა, რომლებიც უარს აცხადებენ ასაშენებელ თუ აშენებულ სახლებში ცხოვრებაზე. აღნიშნული კატეგორიის ოჯახებს საჭიროების შემთხვევაში სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან მიეცეთ გრძელვადიანი სესხები. აშენებული და აუთვისებელი მშენებლობის პროცესში მყოფი სახლები შემდგომი გამოყენებისათვის გადაეცეს საგანგებო საცხოვრებელი ფონდის განკარგულებაში.

9. 1991 წლის 29 აპრილისა და 15 ივნისის მიწისძვრით დაზარალებული საჩხერის, ჭიათურისა და სხვა რაიონების პრეფექტებმა დაასაბუთონ ოჯახების სხვა ადგილებში მუდმივად ან დროებით განსახლების აუცილებლობის შესახებ წარუდგინონ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს და მასთან ერთად განახორციელონ მათი ორგანიზებული განსახლება.

10. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების პრეფექტების აქტიური დახმარებით მოახდინოს რესპუბლიკაში იმიგრაციის მსურველთა აღრიცხვა, მათი სახლების (ბინების) გაცვლა და გაფორმება.

11. შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთვის აღნიშნული საკითხების მოწესრიგებაში დახმარების მიზნით ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა შექმნან კომისიები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს რესპუბლიკიდან ემიგრაციის მსურველებისთვის, ემიგრირებულებისა და სტიქიით დაზარალებულებისთვის აშენებული და შეუსახლებელი სახლების (ბინების) აღრიცხვას, ინვენტარიზაციასა და შეფასებას.

12. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ქმედითად დაეხმაროს „სოციალური დაცვის და დემოგრაფიის ერთიან სახელმწიფო ფონდს“ და უწინარესად ფონდის მოთხოვნების შესაბამისად გადაწყვიტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფისა და მისი სატრანსპორტო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 16 ივლისი.

შიდა ქართლი

რადგან ცოცხლები გადავრჩით...

საცხენეთი ქართული კოლორიტით სავსე სოფელია პატარა ლიახვის ხეობაში. მისი არსებობის შესახებ ცნობას ჯერ კიდევ VII საუკუნის სომეხი გეოგრაფი გვაწვდის, წერილობით წყაროში სოფელი ხევად არის მოხსენიებული. ასეული წლების მანძილზე სოფელი შენდებოდა, იზრდებოდა, თვალს ახარებდა ლიახვის პირას თუ მთის ტაფობზე წამომართული ახალი სტილის ფართოაივნიანი ქვითკირის სახლები ეზო-ბაღებითა და ვენახებით. ახალი ცხოვრების გრძნობისა და მომავლის იმედების კალაპოტში ჩამდგარი სოფელი მთელმა რესპუბლიკამ, ამერ-იმერმა ძირითადად ორმოცი დღის წინ გაიცნო, როცა ოსმა ექსტრემისტებმა ბარბაროსულად აწამეს და მოკლეს ამ სოფლის მკვიდრი ელგუჯა ხადური. სოფელს იარა არ მოშუშებოდა, რომ 15 ივნისის მიწისძვრამ საუკუნეებში ჟამოვლილი საცხენეთი ერთ წამს ნასოფლარად აქცია.

სოფლის განაპირას კაცთაგან განწირული ელგუჯა ხადურის სახლი ისევ ჩაქცეულია. მიწისძვრამ ქვეყანას მეორედ ამცნო ამ ოჯახის უბედურების ამბავი. მისი სამი ვაჟი: მევლუდ, გიორგი და თემური ჩაქცეული სახლის ჭერქვეშ დაიღუპნენ. შეჰყურებ განწირული კაცის სახლ-კარს, ეზო-მიდამოს და უნებურად თვალწინ ცოცხლდებიან გარდასულ დღეთა მოგონებები. სამი ძმა სიცოცხლით ავსებდა გარემოს. დღეს კი? ეზოში გამვლელიც აღარავინაა. იქ ყველაფერი დუმს. ოჯახს შავი თალხი აკრავს... ათასში ერთხელ, მეუღლისა და სამი შვილის დამკარგავ დედას თუ მოჰკრავენ თვალს.

სოფლის აღმოსავლეთის მხარეს რამდენიმე კარავია გაშლილი. ბუნებისაგან დაზარალებულნი დროებით იქ ცხოვრობენ. რამდენიმე მათგანს გავესაუბრე.

— როგორ შეეგუეთ ახალ საცხოვრებელს? — ვკითხე ბ. კობალაძეს.

— კარავს ვინ ჩივის, რადგან ცოცხლები გადავრჩით.

— კარვები გყოფნით?

— პირველ დღეებში გვაკლდა. ახლა საკმარისი გვაქვს.

— პროდუქტებს თუ გაწვდიან?

— საყვედური არ გვეთქმის, — მეუბნება ვ. ხადური, — გორიდან რამდენჯერმე ამოგვიტანეს სურსათ-სანოვაგე, მაგრამ დღემდე ფქვილის მოტანის საქმე მაინც ვერ მოგვარდა.

— ადრე თქვენი სოფელი ექიმს თხოულობდა, დააკმაყოფილეს ეს თხოვნა?

— ჩვენს სოფელს ექთანი რ. ხადური ემსახურება. გამრჯე ქალია. დღედაღამ ჩვენთან ტრიალებს, მაგრამ კარგი იქნებოდა, ზოგჯერ მაინც გორიდან ექიმიც რომ ამოდიოდეს.

ცალავის უბანში ახალი სახლების მშენებლობისათვის — საქაგრომშენის მექანიზაციისა და ტრანსპორტის სამმართველოს შრომით კოლექტივს რამდენიმე საძირკველი უკვე გაჭრილი და ჩასხმული ჰქონდა. ტექნიკა სრული დატვირთვით და შეუფერხებლად მუშაობდა.

— რამდენი სახლი უნდა ააშენოთ? ვკითხე სამუშაოთა მწარმოებელს რ. ცერაძეს.

— საცხენეთის უბანში ოთხმოც სახლს ვაშენებთ.

— დაზამთრებამდე მოასწრებთ ამდენის აშენებას?

— არა მგონია. ოთხმოცი სახლის აშენებას ცოტა დრო არ დასჭირდება. ეს მდგომარეობა გაითვალისწინეს და ამ დღეებში მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის ვაგონებსა და ფინურ ხის სახლებს შემოიტანენ.

— რა პრობლემების წინაშე დგახართ?

— მშენებლობაზე ხელი არაფერით გვეშლება. როგორც მინისტრის მოადგილე თ. ვაშაძე შეგვპირდა, სამშენებლო მასალები დროულად და საკმაო რაოდენობით მოაქვთ. არც მუშახელი გვაკლია. მხოლოდ ერთი თხოვნა გვაქვს: კარგი იქნება, თუ ჩვენს უბანზე საველე სასადილოს მოაწყობენ. სადილზე სიარული დიდ დროს გვართმევს.

— მუშახელიც საკმარისია და სამშენებლო მასალებიც, მაგრამ ვიმუშავებთ ბოლომდე? — გვეკითხება მეარმატურე ს. შახვერდოვი.

— რატომ, რა გიშლით ხელს?

— ოსი ექსტრემისტები ტყისპირებიდან თითქმის ყოველდღე გვესვრიან. მათთვის არ არსებობს არც დღე და არც ღამე. იმ დღესაც შუა მუშაობაში შესულნი ძალზე შეგვაწუხეს. იძულებული გავხდით სამუშაო მიგვეტოვებინა. მართალია, ადამიანის მსხვერპლი არ არის, არც არავინ დაჭრილა, მაგრამ ასეთ სიტუაციაში ძალზე გაჭირდება მუშაობა.

სულეიმან შახვერდოვის ნათქვამი მუშებმაც დაადასტურეს და თან დაუმატეს, რომ ამას წინათ ოსმა ექსტრემისტებმა სოფელ აწრისხევიდან 44 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გაიტაცეს. მეორე საღამოს კი სცადეს სოფელ ბელოთზე თავდასხმა.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ერთ-ერთ უბანზე ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს, საცხენელები მაინც არ თმობენ მამაპაპურ კერას. ნაფუძარზე კვლავ აშენებენ სახლებს.

— სად აპირებთ ცხოვრებას? — ვკითხე ვ. კობალაძეს.

— რა გითხრათ, ჩემი ცხოვრება ამ სახლის მშენებლობას შევალიე. აქ დავზარდე ჩემი შვილები, შვილიშვილები. არ დავთმობ ამ ადგილს. ვფიქრობ, უფრო მტკიცე, მაგარი კედლები ავაშენო.

— ახალ ბინებში არ გადახვალთ საცხოვრებლად? — ვკითხე ს. ტერაშვილს.

— რა ვიცი, ვერ გადამიწყვეტია. ამ ადგილს კი არ მივატოვებ. ახალ სახლში საცხოვრებლად, ალბათ ჩემი უფროსი შვილი გადავა თავის ცოლშვილით, ჩვენ ისედაც ორი ოჯახი ერთად ვცხოვრობდით.

სოფელი ბელოთი საცხენეთიდან ოთხიოდე კილომეტრზეა. მიწისძვრამ 100-კომლიან სოფელს დიდი ზარალი მიაყენა. საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა დანგრეულია. გადარჩენილი სახლების კედლებიც ისეა დაზიანებული, რომ საცხოვრებლად აღარ ვარგა. მიწისძვრას კიდევ ერთი უბედურება დაემატა: სოფლის აღმოსავლეთის მხარეს დიდი მეწყერი დაიძრა და სახიფათო ზონაში მოაქცია. ვ. ტერაშვილის, ვლადიმერ, ნოდარ, გაგი დემეტრაშვილების საცხოვრებელი სახლები... დამგეგმარებლებმა ბელოთელებისათვის სახლების ასაშენებლად მანაველების მიწები გამოყო, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა უარს აცხადებს, რადგან მიაჩნია, რომ მანაველების მიწა მეწყერიანია და შემდგომში კვლავ წალეკვის საშიშროება შეექმნება სოფელს. ამიტომაც არის, რომ ბელოთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ფერხდება. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ბელოთელები მაინც მხნედ არიან და თვითონვე შეუდგნენ ბინების შეკეთებას. ყოველდღიურად სოფელს სიცოცხლე ემატება.

სოფლის დასავლეთის მხარეს ხალხს მოეყარა თავი. ისინი ნ. დემეტრაშვილის დანგრეულ ბინას ნარჩენებისაგან ასუფთავებდნენ.

— გატყობთ, სოფლის დატოვებას არ აპირებთ? — ვკითხე ა. ტერაშვილს.

— რას ამბობთ, სოფელს როგორ დავტოვებთ. მამა-პაპათა საფლავების მიტოვებას ღმერთი გვაპატიებს? უფრო ძლიერ კედლებს ავაშენებთ, ძლიერ მიწისძვრას რომ გაუძლოს...

ლიახვისპირელნი წინაპართა უძველესი სამკვიდროს დატოვებას მართლაც არ აპირებენ. მათ ღრმად სწამთ, აშენებენ ძლიერ, გამძლე სახლებს. ნაფუძარზე კვლავ გაიმართება აკვანი, ქვეყანა გაიგონებს ტკბილ, ქართულ იავნანას და ომახიან მრავალჟამიერს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ჭირთამთმენნო, სტუმართმოყვარე, მტერმოკვეთილნო ქართველებო!

ბიძი ბორცვაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

სურათებზე: პრესკონფერენციის დროს.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის აიაზ მუთალიბოვისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია

ქართველი ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 12 ივლისს

გიორგი ჩოკოშვილი, საქართველოს რადიო: გთხოვთ ორივე პრეზიდენტს, თუ შეიძლება, გვიამბოთ დღეს ჩვენს რესპუბლიკებს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე.

აიაზ მუთალიბოვი: ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოვაწერეთ, თავისი იდეოლოგიით გასაგები და მარტივია. ეს არის თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება. ეს პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც, ალბათ, პირველად დაიდო რეგიონში ჩვენს რესპუბლიკებს შორის იმ სახით, როგორიც მას აქვს. ეს არის ხელშეკრულება სახელმწიფოთა შორის, მას საფუძვლად უძევს ურთიერთპატივისცემის პრინციპი, იმისადმი მისწრაფება, რომ ცივილიზებული ნორმების საფუძველზე ვაშენოთ ჩვენი ურთიერთობა, მიზნად ისახავს ორივე ხალხის კეთილმეზობლობის და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სახელმწიფოებრიობის განვითარებას, იმას, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა ეზიარონ მსოფლიო გაერთიანებას, ერთა თანამეგობრობას თანასწორი პარტნიორობის პირობებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელშეკრულება ასახავს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დონეს. სწორედ ამიტომ ვუწოდე მას თავისებური, პირველი, ერთადერთი ხელშეკრულება. დარწმუნებული ვარ, რომ ხელშეკრულების მუხლებს განვავითარებთ. ეკონომიკურ თანამოქმედებაში ხელშეკრულება ითვალისწინებს ჩვენს რესპუბლიკებს შორის უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის ორგანიზაციას. პოლიტიკური ასპექტები კი წარმომადგენლობათა, საელჩოთა ორგანიზაციას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურულ ასპექტებს. ერთი სიტყვით, ჩვენთვის, ალბათ, იგი ისტორიულია. ძალიან კარგ გუნებაზე ვარ. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ამ აქციას გაგებით მოეკიდება მსოფლიო საზოგადოებრიობა, როგორც ახალ პროცესებს, რომლებსაც დასაბამი მიეცა პრეზიდენტის, პატივცემული ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, უშუალოდ რეგიონში. ჩვენ მსოფლიო საზოგადოებრიობას ვუჩვენებთ, რომ ვართ ცივილიზებული ადამიანები, ქვეყნები, და ჩვენთან თამამად უნდა დაამყაროს კონტაქტები მსოფლიოს ყველა სახელმწიფომ.

ზვიად გამსახურდია: მეც მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ხელშეკრულებაზე. აქ მოცემულია ჩვენი მომავალი ურთიერთობის ზოგადი პრინციპები, მაგრამ ისინი განვითარდება და დეტალიზებული იქნება. მომავალში დავდებთ სხვა შეთანხმებებსაც სხვა დარგებში, ეს ხელშეკრულება კი შეასრულებს ფუძემდებელ დებულებათა როლს. მე ვიტყოდი, ეს ჩვენს ურთიერთობაში ახალი ერის დასაწყისია, რამეთუ ცივილიზებული სამყარო სწორედ ასეთ ნაბიჯებს მოელის ჩვენგან. დასავლეთს მობეზრდა კონფლიქტები კავკასიაში, ისინი ისმენენ ინფორმაციებს მხოლოდ კონფლიქტებზე, სისხლისღვრაზე. ახლა კი მოისმენენ სტაბილიზაციის პროცესებზე და ეს დაამედებს მსოფლიოს. ვინ არ იცის, რომ ცენტრი სახელს გვიტეხს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ასეთი ღონისძიებებით კი ჩვენ გავფანტავთ იმ დეზინფორმაციას, რომელიც არსებობს. ასე რომ, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ნანა ლონდაძე. საკავშირო რადიოტელეკომპანია: რა ღონისძიებებს მიმართავენ ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელები რელიგიებისადმი, იმ ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი თანასწორუფლებიანი დამოკიდებულებისათვის, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიებზე ცხოვრობენ? მე მხედველობაში მყავს ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ აზერბაიჯანში, და აზერბაიჯანელები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში!

აიაზ მუთალიბოვი: ჩვენში შეიცვალა რელიგიისადმი დამოკიდებულება, და ეს ბუნებრივია, რადგან გავხდით უფრო კარგახსნილნი, ცივილიზებულნი. გარდაქმნის პროცესებმა საშუალება მისცა ადამიანებს აღასრულონ რელიგიური წეს-ჩვეულებანი. სინდისის, სარწმუნოების უფლებამ, ბოლოს და ბოლოს, მუდმივი მოქალაქეობა მოიპოვა აზერბაიჯანში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში. ტოტალიტარიზმის პერიოდში რბილად რომ ვთქვათ, რელიგია იდევნებოდა. ჩვენში მეჩეთების რიცხვი საბჭოთა ხელისუფლების წლებში არ გაზრდილა, ისინი არ შენდებოდა, არ ყოფილა ღვთის მსახურთა მოსამზადებელი სასწავლებლებიც, ჩვენში ექსპროპრიირებული იყო მეჩეთები... ახლა სხვაგვარი პროცესები მიმდინარეობს, მუსლიმანური რელიგია ლეგალიზებული ხდება, კონფესიათა წარმომადგენლები თანამოქმედებენ. მე მინდა გითხრათ, რომ „შავი იანვრის“ წლისთავი ჩვენ აღვნიშნეთ კონფესიათა განსაცვიფრებელი თანამოქმედების პირობებში. ეს იყო აზერბაიჯანის ყველა მოქალაქის საერთო ტკივილი. ჩვენ არ ვუქმნით დაბრკოლებებს თავისუფალი სარწმუნოებისათვის აზერბაიჯანის არავითარ უმცირესობებს და ეს შეეხება ქართველებსაც და ინგილოებსაც. მაგრამ ვერ დავიკვეხნით, რომ გვქონდეს ამ პროცესების წინსვლის კომპლექსური პროგრამა. ამ საკითხებზე ჯერ კიდევ უნდა ვიმუშაოთ. რაც შეეხება ქართულ მოსახლეობას, მინდა აღვითქვათ, რომ არავითარი დაბრკოლებანი ამ თვალსაზრისით არ იქნება, ხელს შევუწყობთ იმას, რომ მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეისრულონ სურვილები, ჰქონდეთ ეკლესიები.

ზვიად გამსახურდია: ყველამ ვიცით, რომ ტოტალიტარიზმის პერიოდში, აზერბაიჯანში ირღვეოდა ქართველი ეროვნული უმცირესობების უფლებები. და ეს პრეზიდენტმა აღიარა. ჩვენ აღვნიშნეთ ეს და ისიც ვთქვით, რომ ერთნაირად უნდა ვცემდეთ პატივს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს — აზერბაიჯანელთა უფლებებს საქართველოში და ქართველებისას — აზერბაიჯანში. იქ არის პრობლემები, და პრეზიდენტი დაგვპირდა, რომ ყურად იღებს ინგილოთა სამართლიან მოთხოვნებს. მათ ძალიან ბევრი რამ აკლიათ, რაც აქვთ, მაგალითად, აზერბაიჯანელებს საქართველოში. მე ვიმედოვნებ, რომ ეს მდგომარეობა გაუმჯობესდება. პრეზიდენტს გადავეცი სპეციალური თხოვნა ამის გამო და იმედი მაქვს, განხილული იქნება ამ წერილში მოცემული დებულებანი.

აიაზ მუთალიბოვი: ის, რაზეც შევთანხმდით, სიმშვიდის გარანტი იქნება ქართველებისთვისაც აზერბაიჯანში, და აზერბაიჯანელებისთვისაც — საქართველოში.

ვლადიმერ გოგოლაშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური. ორ მეზობელ სახელმწიფოს აქვს საერთო საზღვარი — მეგობრობის საზღვარი. მაგრამ საზღვრებს აქვთ თავიანთი პრობლემები, სპეციფიკა. ხომ არ განიხილავთ ისინი? ხომ არ არის მიზანშეწონილი შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია საზღვარზე იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოშურნეთა მხრივ მოსალოდნელი პროვოკაციები, ხელი შევუშალოთ კრიმინალურ ელემენტებს ნარკოტიკებისა და იარაღის გატანაში?

ზვიად გამსახურდია: ამ პრობლემატიკის გამო სპეციალურად შეიქმნება კომისია. ახლა განვიხილეთ ზოგადპოლიტიკური საკითხები. მომავალში ითანამშრომლებენ შინაგან საქმეთა ორგანოებიც. ის ხელშეკრულება, რომელიც ჩვენ დავდეთ, კარგ საფუძველს უქმნის სწორედ ასეთ თანამშრომლობას. და ეს აუცილებელია, რადგან, სამწუხაროდ, ხდება უაღრესად უსიამოვნო ფაქტები ამ სფეროში.

აიაზ მუთალიბოვი: მე უნდა დავადასტურო ნათქვამი. ეს საკითხები ჩვენც ძალიან გვაწუხებს. აზერბაიჯანში გაიზარდა ნარკომანია. ეს ბოროტება უნდა აღიკვეთოს, მიმდინარეობს ბრძოლა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ. ალბათ, ჩვენც უნდა მივაქციოთ ყურადღება ამას ჩვენი ხელშეკრულების ფარგლებში, შევქმნათ კარგი კომისია და ვიმუშაოთ. მე ვეთანხმები საკითხის ამგვარად დაყენებას.

ვადიმ ანასტასიადი: „ვეჩერნი ტბილისი“: კითხვა აზერბაიჯანის პრეზიდენტს. ბატონო პრეზიდენტო, როგორც ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის გაწიოს შუამავლობა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გადაწყვეტაში. როგორ აფასებთ თქვენ ამ ნაბიჯს? რა კომპრომისებს შეიძლება მიმართოს ორივე მხარემ მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის?

აიაზ მუთალიბოვი: ჯერ ერთი, მე ოფიციალურად ვუპასუხე პატივცემულ ზვიად კონსტანტინეს ძეს. პასუხში მადლობა გადავუხადე ამ მშვიდობისმყოფელი ინიციატივისათვის. მე მთლიანად და სავსებით ვიზიარებ ასეთი მიმართულებით საქმიანობას, და დღეს ჩვენ ვამუშავებთ მის გარკვეულ ნაწილს. ახლა მოგახსენებთ იმ პრობლემების ნორმალიზაციის გზაზე, რომლებიც მეოთხე წელია აწუხებს სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს. უწინარესად, ნორმალიზაციის მთავარი პრინციპია აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში ჩარევის შეწყვეტა. არაერთგზის ითქვა, რომ მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. მაგრამ თუ მე გეტყვით, რომ როგორც სუვერენული სახელმწიფოს პრეზიდენტს მე არ შემიძლია მშვიდად, თავდასხმის ან პროვოკაციის შიშის გარეშე ვიყო ჩემი ქვეყნის განუყოფელ ნაწილში, ალბათ, ყველანი დამეთანხმებით, რომ მდგომარეობა არანორმალურია. ჩვენ არაერთგზის ვეუბნებით კოლეგებს სომხეთიდან, რომ ძალისმიერი ზემოქმედება, იარაღის გამოყენება, ძალის ფაქტორი ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტაში — როცა კონფლიქტს არა აქვს არც რელიგიური, არც ეთნიკური, არც რასობრივი ხასიათი— ის გზა არ არის. ჩვენი კონცეფცია მარტივია. მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის განუყოფელი ნაწილია, იგი შედის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურაში, ორივე თემის ყველა მოქალაქე, რომლებიც ამ ოლქში ცხოვრობენ, აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან. ყარაბაღის ტერიტორიაზე მოქმედებს აზერბაიჯანის კონსტიტუციური კანონი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოების წევრთა და მოქალაქეთა ქცევას. ჩვენ ვამბობთ ასე: უნდა აღვადგინოთ სტატუს — კვო, რომელიც არსებობდა სეპარატისტების მიერ 1988 წელს მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში დაწყებულ მოვლენებამდე. ჩვენ დღეს გვაქვს კონტაქტები მთიანი ყარაბაღის სომეხი მოსახლეობის დიდ ნაწილთან, რომელსაც სურს ხიდების გადება და შერიგება. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დესტრუქციულ-ელემენტებს, რომლებმაც თავის დროზე ეს საკითხი აღძრეს, ესმით, რომ თუ ჩვენ მალე მოვაწესრიგებთ ამ პრობლემას, აღვადგენთ სტატუს — კვოს, ორივე ხალხი პასუხს მოსთხოვს იმათ, ვინც ორივე მხრიდან სამ წელიწად-ნახევარია აბუჩად იგდებს და სიკვდილს თესავს, და პასუხისგებაში მისცემს მათ. ამიტომ ჩარევა გრძელდება. ჩარევა უკიდურესად შეიარაღებული ძალებით. მინდა გაცნობოთ აქ დამსწრეთ, რომ არც კავშირის, არც აზერბაიჯანის ოფიციალურ სტრუქტურებს სამწლი-ნახევრის განმავლობაში არ აღურიცხავთ არც ერთი ფაქტი, რომ აზერბაიჯანელებს გადაელახოთ სომხეთის საზღვრები, და არც ერთი იურიდიულად გაფორმებული დოკუმენტი, რომ ყოფილიყოს აზერბაიჯანელთაგან შედგენილი ბანდების ფორმირებანი.

ამავე დროის მანძილზე ასიათასობით მომაკვდინებელი იარაღი ჩამოერთვით აზერბაიჯანისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროების ძალებით. ერთი მხარე დაცული, შეიარაღებულია, მეორეს ხელ-ფეხი შეუკრეს და ეუბნებიან — მიდი, ეცით... რაც უფრო მალე მიხვდებიან ამას სომხეთში, მით უფრო სწრაფად მოვახდენთ ურთიერთობის ნორმალიზაციას. უწინარეს ყოვლისა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი ჩვენი ტერიტორიაა. და მეორე წავალთ, წინ — ავაგებთ ხიდებს სომხეთთან, ნელ-ნელა აღვადგენთ ურთიერთობას, რომელიც ჩვენ შორის იყო. ჩვენ თვითონ უნდა მოვაგვაროთ ეს საკითხი, ეს პოზიტიური პროცესი მიმდინარეობს, ყარაბაღის სომეხი მოსახლეობის 70 პროცენტი გამოთქვამს სურვილს, იცხოვროს მშვიდობიანად. ახლა მუშაობენ შემთანხმებელი კომისიები. მე მომმართავს უამრავი სომეხი, რომლებიც მოგვიწოდებენ გავანეიტრალოთ ეს იატაკქვეშა ტერორისტული დაჯგუფებანი. სხვათა შორის, ჩვენ არ მიგვიღია არავითარი გადაწყვეტილებანი ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, თუმცა სომხებმა მარშან მიიღეს გადაწყვეტილება სომხეთთან მთიანი ყარაბაღის შეერთების შესახებ. ეს ხომ ყაჩაღობაა დღისით — მზისით, რომელი ცივილიზებული სახელმწიფო მისცემს თავს ამგვარი მოქმედების ნებას. სამწუხაროდ, ამას ახალისებს ზოგიერთი, მათ შორის ცენტრშიც... მე ოპტიმისტურად შევყურებ მომავალს, მიმაჩნია, რომ ხელშეკრულება, რომელიც დღეს დავდეთ, ხელს შეუწყობს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ გვექნება შეხვედრა, შესაძლოა აქ, თბილისში, სადაც ვილაპარაკებთ სამნი, განვსაზღვრავთ ურთიერთობას. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურვილი არის. მაგრამ მანამდე უნდა მოვახდინოთ ავტონომიასთან ჩვენი ურთიერთობის ნორმალიზაცია. სხვაგვარად ეს იქნება ჩარევა აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში. ეს არის დეტალი, რომელიც მინდა გაგაცნოთ.

მზია ბაქრაძე, საქართველოს რადიო: ჩვენს რესპუბლიკაში ერთმნიშვნელოვნად ითქვა, რომ ხელს არ მოვაწერთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. როგორ ეკიდება ამას აზერბაიჯანელი ხალხი?

აიაზ მუთალიბოვი: აზერბაიჯანელი ხალხის დამოკიდებულება გამოვლინდა 17 მარტის რეფერენდუმზე, თუმცა არის ერთგვარი ეჭვი, რომ მან დემოკრატიულად არ ჩაიარა. მაგრამ ფაქტები, რომლებიც გვაქვს, გარჩევა გვიჩვენებს, რომ ეს, გულახდილად რომ გითხრათ, ჭორია. საქმე ეხება იმას, რომ პოლიტიკურ სიტუაციას და სამწელიწად-ნახევრის მანძილზე შექმნილ სიტუაციას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებითი კორექტივები შეჰქონდა კავშირისადმი ჩვენს დამოკიდებულებაში. არ დაგიმალავთ, აზერბაიჯანში რომ ყოფილიყო მიღებული გადაწყვეტილება თუნდაც ერთი დღით რეფერენდუმის გადატანის შესახებ, იმავე დღეს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი შეატყობინებდა ცენტრს, რომ იგი მხარს უჭერს კავშირს, ხოლო რადგან ისინი ომის მდგომარეობაში არიან აზერბაიჯანთან, პრეზიდენტ გორბაჩოვს სთხოვეს დაეწესებინა პრეზიდენტის მმართველობა, ალყა შემოერტყათ ჯარებს ოლქის საზღვრებისათვის და მოეხდინათ მათი იზოლირება. სწორედ ამან გვაიძულა გამოგვეჩინა სიბრძნე, რადგან ვფიქრობდით, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტი-

(დასასრული მე-2 გვ.)

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის აიაზ მუთალიბოვისა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია

(დასასრული)

ტუციამიც იქმნება პუნქტი ნებაყოფლობითი შესვლისა და გამოსვლის შესახებ. როცა დრო დადგება, და თუ აზერბაიჯანის ხალხი მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, ყოველთვის უფლება გვექნება დავსვათ ეს საკითხი.

თამაზ ლომსაძე, „სვობოდნაია გრუზია“: ორი კითხვა მაქვს ბატონ მუთალიბოვთან. წელან განაცხადეთ, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის შეიქმნება უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი. ამავე დროს სამოკავშირეო ხელშეკრულების ახალი პროექტი გულისხმობს — და ნიშანდობლივ გუშინდელი გამოსვლაც ამას ადასტურებს, — რომ ასეთი რეჟიმი იქნება მხოლოდ იმ რესპუბლიკებს შორის, რომლებიც ხელს მოაწერენ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ აზერბაიჯანი, რომელსაც ჯერ ხელი არ მოუწერია ხელშეკრულებაზე, უკვე არღვევს მის დებულებას?

და მეორე კითხვა: თქვენ ბრძანდებოდით აზერბაიჯანის ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელი, რომელმაც მოაგვარა ურთიერთობა დემოკრატიულ ოპოზიციასთან. ამ ბოლო დროს, როგორც ვიცით, ეს ურთიერთობა ნელ-ნელა იშლება. რა არის ამის მიზეზი?

აიაზ მუთალიბოვი: არა მგონია, რომ მუხლი, რომელიც გულისხმობს მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმს, არსებითს გავლენას მოახდენს იმ ეკონომიკურ სივრცეზე, რომელსაც ერთმანეთს შორის ჩამოაყალიბებს ცხრა რესპუბლიკა, რადგან ხვედრითი თანაფარდობითაც და ეკონომიკური პოტენციალითაც ეს არ არის ისე დიდი ციფრები, რომ მათ გავლენა მოახდინონ კავშირში საქმის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მეორე, ვხელმძღვანელობთ რა კეთილმეზობლობის პრინციპებით და იმით, რომ ეს ჩვენი ურთიერთობის ქვაკუთხედია, ეკონომიკის სფეროშიც უნდა დავუახლოვდეთ ერთმანეთს, ვითანამშრომლოთ. ჩვენ გვაქვს პრობლემები. ეს-ეს არის ვილაპარაკეთ მათზე, ისინი უკავშირდება საქართველოში დიდ აზერბაიჯანულ კოლონიას, არის აზერბაიჯანში ქართული კოლონიის პრობლემები. დამეთანხმებით, ეს არის მთავარი, რაც დღეს ჩვენი საზრუნავი უნდა იყოს. ყველა საშუალება, მათ შორის ეკონომიკურიც, კარგია იმისათვის, რომ დავიცვათ ეს მთავარი სტრატეგიული გზა. არა მგონია, რომ ვარღვევ შეთანხმებას. თითქმის ყველა მუხლის ტექსტი გადმოგვცეს ქართველმა მეგობრებმა და ეს განმარტება ჩამოყალიბდა აქ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ შეიძლებოდა უფრო საშუალო აწონილ-დაწონილი ფორმულირება, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიე დავტოვო ყველაფერი ისე, როგორც არის.

რაც შეეხება ოპოზიციას, მისდამი ჩემი დამოკიდებულება არ შეცვლილა. სიამოვნებით თანავმოქმედებ ოპოზიციის ლიბერალურ ნაწილთან, რომელიც პრობლემათა გადაჭრის არაძალადურ მეთოდს ადგას. მტკიცედ ვილაშქრებ ყოველგვარი ძალისმიერი ზემოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც იყენებს ოპოზიციის რადიკალური ნაწილი, და სანამ პრეზიდენტი ვიქნები, ასეთად დავრჩები. ოპოზიციის მრავალ ლიდერთან მაქვს ურთიერთობა, ჩემი კაბინეტის კარი ყოველთვის ღიაა მათთვის, არ ყოფილა თვე, რომ რამდენჯერმე არ შევხვედროდით ერთმანეთს. გუშინ ჩემთან იყო სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელი, რომლის მიმართ სიმპათიით ვართ გამსჭვალული და, ჩემი აზრით, ამ პარტიას დიდი მომავალი აქვს. იგი ასახელებს თავის კანდიდატს პრეზიდენტის პოსტზე. მე ვუთხარი, რომ მივესალმები ამას. თუ სახალხო ფრონტის ყრილობა დაასახელებს თავის კანდიდატს, ამასაც მივესალმები. სხვათა შორის, არავის არ დაუძალებია ჩემთვის გავსულიყავი პრეზიდენტის არჩევნებზე, მაგრამ დავეთანხმე ოპოზიციის წინადადებებს, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ საყოველთაო-სახალხო არჩევა, და ასეც ვქენი, რათა წინ წამეწია დემოკრატიული ცვლილებანი, ხალისი დამეკარგა იმათთვის, ვინც ცდილობს ახლაც წარმოგვადგინოს კომუნისტურ მონსტრად, რომელიც შორს არის დემოკრატიისაგან. არავითარი მეტამორფოზა ოპოზიციასთან ურთიერთობაში არ არის, ეს ურთიერთობა კვლავაც განვითარდება.

ვახტანგ ბახტაძე, საინფორმაციო კორპორაცია „მაცნე“: გვითხარით, კვლავ პოპულარულია თუ არა აზერბაიჯანში ჰეიდარ ალიევი?

აიაზ მუთალიბოვი: მიჭირს ალიევზე ლაპარაკი, რადგან, როცა ამას ისმენს, ცოტა არ იყოს სწყინს. თუმცა ცუდი მის შესახებ ჯერ არაფერი მითქვამს. ალიევი — ეს წარსულია, რომელიც საკმაოდ კარგად არის ცნობილი. მან სცადა ხანდაზმულობაში პოლიტიკური საქმიანობის მეორე წრე დაერტყა. მე არ ვურჩევ მას დაიწყოს ყველაფერი თავიდან. ყველაფერი, რის ნახვაც შეიძლებოდა, ნახა, თავისი სიტყვა აზერბაიჯანის ისტორიაში თქვა, ახლა დროა იჯდეს, წეროს მემუარები, გალიოს სიცოცხლის დარჩენილი წლები. ერთი სიტყვით, აკეთოს ის, რაც ყველა ჩვენგანის ხვედრია. არ დაგიმალავთ, მას ჰყავს თაყვანისმცემლები, მომხრეები, მაგრამ არანაკლებნი არიან ისინიც, ვინც მას სამართლიანად აკრიტიკებს.

ნოდარ ბროლაძე, „ნეზავისიმაია გაზეტა“: ჩვენ შორის თანამშრომლობა რთულ პირობებში, ცენტრისა და რესპუბლიკების დაპირისპირების პირობებში მიმდინარეობს. როგორია ცენტრის პოზიცია ხელშეკრულებისადმი, შესაძლო რეაქცია, ხომ არ შექმნის იგი დაბრკოლებებს?

ზვიად გამსახურდია: შემიძლია გითხრათ: ცენტრს უნდოდა, რომ ეს მოლაპარაკება მისი ეგიდით გამართულიყო. თუმცა ეს ოფიციალურად არ განუცხადებია, მაგრამ შევამჩნიე მას რაღაც მოქმედებანი, რომლებიც მიზნად ისახავს იმას, რომ მოლაპარაკება ჩაშალოს, რათა შემდეგ თვითონ გამართოს მოლაპარაკება, რათა სტაბილიზაციის პროცესი მას მიეწეროს. ეს ახლაც გრძელდება. არ მინდა ყველაფრის თქმა, მაგრამ, შესაძლოა, არც ისე ძალიან უხარია ცენტრს, რომ პრეზიდენტი მუთალიბოვი ჩვენთან ჩამოვიდა, რომ ჩვენ შორის მიმდინარეობს დიალოგი, ხელმოწერილია შეთანხმებანი. ეს მათ არ მოსწონთ. ეს ეწინააღმდეგება მათს ინტერესებს. ისინი ჩვენ გვიყურებენ როგორც ბავშვებს, რომლებსაც მეურვეობა უნდა გაუწიო. არა მგონია, რომ ისინი არ შეეცდებიან ჩაშალონ სამმხრივი შეხვედრა. ამიტომაც უნდა გამოვიჩინოთ შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე, რათა წინააღმდეგობა გავუწიოთ ამას.

აიაზ მუთალიბოვი: მე დავძენდი, რომ დღეს, თუ ვიხელმძღვანელებთ ხელშეკრულებით „9+1“, ჭარბობს ჰორიზონტალური კავშირურთიერთობანი. და თუ ჩვენ ვლაპარაკობთ რესპუბლიკების სუვერენიტეტზე, აზერბაიჯანს უფლება აქვს კავშირში შემავალ თუ არშემავალ რესპუბლიკებთან, ნებისმიერ სახელმწიფოებთან დაამყაროს თავისი ურთიერთობა. ამიტომ არ დავსვამდი ასე საკითხს ცენტრისადმი ორი რესპუბლიკის დაპირისპირების შესახებ. იქნებ ეს ზოგი ვინმესათვის ხელსაყრელი იყოს იმისათვის, რომ გაამწვავოს კიდევ ერთხელ მდგომარეობა, მაგრამ არაფერს ცუდს და საშიშს ცენტრისათვის ჩვენი ურთიერთობა არ წარმოადგენს. მაგრამ ერთხელ კიდევ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რაზეც ვილაპარაკე ბატონ პრეზიდენტთან — ჩვენს პასუხისმგებლობას რეგიონში მდგომარეობისათვის.

ირაკლი კენჭოშვილი, „ჯორჯიენ მესენჯერი“: როგორ უყურებთ, ბატონო პრეზიდენტო, შევარდნაძის იდეას შექმნას საბჭოთა კავშირში დემოკრატიული პარტია და რას ფიქრობთ კავშირის მომავალზე? ბატონო გამსახურდია, იქნება თუ არა ხელმოწერილი ანალოგიური შეთანხმება სომხეთთან? ხომ არ აპირებს საქართველოს ხელმძღვანელობა გამოვიდეს ოფიციალური განცხადებით იუგოსლავიაში შექმნილი მდგომარეობის გამო?

აიაზ მუთალიბოვი: ექვსითა განცხადებას არაერთმნიშვნელოვნად აღიქვამენ საზოგადოებაში. ორთოდოქსალური კომუნისტების თვალსაზრისით, ეს არის პარტიის ძირის გამოთხრის ცდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გათიშვის ცდა. შემდგომი დემოკრატიული ცვლილებების თვალსაზრისით, ეს არის მისწრაფება ცივილიზებული ოპოზიციისადმი, რომელსაც ეცოდინებოდა, რა სურს და რომელიც კონსტრუქციული პროგრამით ხელს შეუწყობდა საზოგადოების განვითარებას. ოპოზიციური, პლურალისტური სისტემა სახელმწიფოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის თანამედროვე დონეა. მაგრამ ოპოზიციური მოძრაობა არსებობს არა ნგრევისათვის, არამედ ჯანსაღი მეტოქეობისათვის, რომლის საფუძველზე მოგებულია საზოგადოება. ექსივე, მათ შორის შევარდნაძეც, ასეთ აზრს აქსოვს ამაში. რაც შეეხება სსრ კავშირის მომავალს, კატეგორიული მსჯელობა არ შეიძლება. მომავალი გვიჩვენებს —არის ასეთი ფრთოსანი გამოთქმა. მე ხელს მაძლევს მდგომარეობა, რომლის დროსაც რესპუბლიკები იქნებოდნენ რეალურად სუვერენული და თავიანთ ურთიერთობას აგებდნენ ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე — ეს არის თანამეგობრობა, სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი, კონფედერაციული კავშირი. მაგრამ უნდა იყოს ამ კავშირის თითოეული სუბიექტის სუვერენიტეტის უფლება.

ზვიად გამსახურდია: ჩვენ მოველაპარაკეთ ბატონ ტერ-პეტროსიანს ანალოგიური შეხვედრისა და ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე. ეს იქნება ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის მომავალი შეხვედრის წანამძღვარი. რაც შეეხება იუგოსლავიას... მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი სლოვენიაში მთავრობის ჯარების შეჭრის თაობაზე. ახლა კი ვფიქრობთ სლოვენიის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ცნობაზე.

მზია შერვაშიძე, „საქართველოს ცის ქვეშ“: როგორ აფასებთ საქართველოში და აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებს, რა მსგავსებაა და სხვაობაა მათ შორის?

აიაზ მუთალიბოვი: საერთოა მისწრაფება სუვერენიტეტისადმი, სრულისადმი. ეს არის მთავარი მსგავსება. განსხვავებაა ამ მისწრაფებათა რეალიზაციის დონე. ჰოდა ისიც, რომ ჩვენთან პარლამენტში უმრავლესობა კომუნისტები არიან, მაგრამ თავს ვთვლით რეფორმატორებად, არაორთოდოქსებად, ავსახავთ ეროვნულ ინტერესებს. და იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც გავამართლებთ ხალხის ნდობას, ვიქნებით ასეთები. ხვალ გაჩნდება ძალა, რომელიც გვაჯობებს, ჩვენ დავუთმობთ მას. მაგრამ ცივილიზებულ ფარგლებში, სროლის გარეშე, ფუჭი მსხვერპლის გარეშე.

ვან ბაიბურთი, „ერასტანი“: შარშან რომ თქვენთვის ეთქვათ, ერთი წლის შემდეგ მოლაპარაკება გექნებათ დისიდენტთან და ცნობილ სამართალდამცველთან გამსახურდიასთან, როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია? როგორ უყურებთ დღეს ჩვენს პრეზიდენტს, კაცს, რომელიც ცნობილია თავისი დემოკრატიული შეხედულებებით, კაცს, რომელიც არასოდეს არ ყოფილა კომპარტიის წევრი?

აიაზ მუთალიბოვი: საერთოდ აღარ მიკვირს არაფერი. შარშან ჩემთვის რომ ეთქვათ, საქართველოს დისიდენტი ჩაუდგებაო სათავეში, მე ჩავთვლიდი, რომ ეს ქართველი ერის უფლებაა— ვის მიანდოს ქვეყნის მეთაურობა. და თუ დღეს ხალხი მიენდო ყოფილ დისიდენტს გამსახურდიას, ეს მისი უფლებაა, მე მოვალე ვარ ვცნო იგი, როგორც მეზობელი და მეგობარი სახელმწიფოს ხელმძღვანელი. როგორი მომეჩვენა იგი როგორც ადამიანი? მასზე ბევრი ჭორი დადის, რომ იგი ლამის ნომერ პირველი ექსტრემისტია, მრავალი სხვადასხვაგვარი ეპითეტით ამკობენ. მაგრამ, ჩემი შთაბეჭდილებით, ის, რაზეც ვილაპარაკეთ პირისპირ, ბევრ რამეში ემთხვევა ჩემს თვალსაზრისს. გლობალურ საკითხებზე — უდავოდ. კაცმა რომ თქვას, ვერ ვხედავ დიდ განსხვავებებს პოზიციებში. რაც შეეხება მისი, როგორც ადამიანის შეფასებას, იგი საკმაოდ ინტელიგენტური და გარეგნულად ძალზე სასიამოვნო კაცია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

„ერასტანი“: აზერბაიჯანში პრეზიდენტის არჩევნები ხომ, როგორც რეფერენდუმი, საგანგებო წესების პირობებში ჩაივლის?

აიაზ მუთალიბოვი: საკითხი, ეტყობა, ეხება საგანგებო წესებს ბაქოში, ყარაბაღსა და ახლომდებარე რაიონებში. ჩვენი ბრალი არ არის, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიის ნახევარი საგანგებო წესების ზონაში აღმოჩნდა. ჩვენ დღეს ვიმყოფებით ჩვენს მეზობელ რესპუბლიკასთან ნამდვილი ომის პირობებში. ხოლო ბაქოზე მსჯელობა აზერბაიჯანში შექმნილი საერთო პოლიტიკური სიტუაციის მოწყვეტით, არ შეიძლება. ამიტომ საგანგებო წესებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ნება-სურვილის გამოხატვასთან. ჩვენთან აკრძალული არ არის არავითარი კრებები, გარდა მიტინგებისა და დემონსტრაციებისა, რომელთა შედეგი გახდა 1990 წლის იანვარი. ხოლო რაც შეეხება ყოველივე დანარჩენს... მრავალნი ჩამოდიან და უკვირთ: თქვენთან ყველაფერი ნორმალურად არის, არ ჩანს ტანკები, არავითარი ჯარისკაცები, არ არის კომენდანტის საათი. ეს ნორმალურად მიმაჩნია, თუმცა ოპოზიცია ამით ქულებს დააგროვებს, მაგრამ მე მაქვს საკუთარი, მკაცრი პოზიცია ამ საკითხში, მე ვიცავ ამ პოზიციას, რადგან მე, როგორც პრეზიდენტს, მეკისრება პასუხისმგებლობა აზერბაიჯანში მდგომარეობისათვის. მე, და, არა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას. მე მაქვს უფლება გადავწყვიტო ეს საკითხები.

„ერასტანი“: ჩვენ ყველანი მივესალმებით ჩვენი პრეზიდენტის ინიციატივას. მაგრამ თქვენ თუ გქონიათ არაოფიციალური კონტაქტები სომხეთის ხელმძღვანელობასთან?

აიაზ მუთალიბოვი: გვქონდა კონტაქტები ტერ-პეტროსიანთან, თუ იგი გყავთ მხედველობაში. საკმაოდ საფუძვლიანი და მრავალგზისი კონტაქტები. უკანასკნელად სამ საათს ვისაუბრეთ კრემლში. სასიამოვნო იყო, საუბარი, რომელზეც განვსაზღვრეთ ჩვენი პოზიციები. მე მომწონდა, რომ ბატონმა ტერ-პეტროსიანმა ცნო ბაქოს იურისდიქცია ავტონომიური ოლქის მართვისადმი, ამავე დროს განვუცხადე, რომ ჩვენ ვართ ცივილიზებული საზოგადოება, სახელმწიფო, იყო ავტონომია, და იქნება კიდეც, მაშასადამე, იქნება მისი სტრუქტურებიც, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა გადავწყვეტთ იქ გარკვეული ელემენტების არსებობას, რომლებიც ხელს გვიშლიან მეც და თქვენც. იგი მოვიდა ყარაბაღის მოძრაობის ტალღაზე. არ მალავს ამას. და ეს პირში ვუთხარი. რამდენიმე ხნის შემდეგ მეტყვიან— რატომ არ აბრუნებო ყარაბაღს. ყარაბაღი აქ არის ხურდა ფულივით, სამწუხაროდ. ჩვენ მოვილაპარაკეთ ზოგიერთ პოზიტიურ საკითხზე, პრესაში ურთიერთშეურაცხყოფაზე მორატორიუმის შესახებ. იმიტომ, რომ არ შეიძლება, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აყალიბებ მტრის სახეს, დათანხმდე მოლაპარაკებას. არ გამოვიდა. ეს იყო ნოემბერში, ხოლო იანვარში ჩვენთან დაიწყო იერიშები. არ ვიცი, ვისი დაჯგუფებებია ეს. ტერ-პეტროსიანი ამბობს, და მე არ შემიძლია არ დავუჯერო მას, სიტუაციას არ ვფლობო. იქნებ იქ არიან ძალები, რომლებსაც სურთ ხელი შეუშალონ მას? მაგრამ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე თავდასხმის ფაქტები იყო, სამხედრო მოსამსახურეთა მკვლელობანი იყო, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ქალის მკვლელობა იყო, არის ცეცხლის წაკიდების ფაქტები. ისინი არ წყდება. როგორ შეიძლება ასეთ პირობებში რაღაცაზე ლაპარაკი? და ამას შვრებიან ადამიანები, სიმშვიდის დამრღვევნი სომხეთსა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში. ჩვენ, ალბათ, შევთანხმდებით ამ ძალების ნეიტრალიზაციის შესახებ. ხალხის სიმშვიდის, დაახლოების გულისთვის.

„ნეზავისიმაია გაზეტა“: როგორი შეიძლება იყოს თვითსრულყოფის დაბრკოლებანი, არც საქართველო, არც აზერბაიჯანი ხომ წამყვანი ეკონომიკური, სამხედრო სახელმწიფო არ არის. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ გავარკვიო აი რა — რას ფიქრობთ იუგოსლავიის მიმართ დასავლეთის პოზიციასთან დაკავშირებით?

აიაზ მუთალიბოვი: სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანებაში საქართველოც და აზერბაიჯანიც განამტკიცებენ თავიანთ მდგომარეობას თანამიმდევრულად, საერთაშორისო კავშირურთიერთობის განვითარების კვალობაზე. ეს ერთბაშად ვერ მოხდება, ამისათვის უნდა ვიმუშაოთ. და თუ შევეხებით იმ ამოცანებს, რომლებსაც ვსახავ საკუთარი თავისა და ჩემი ხალხის წინაშე, ეს იმისათვის მოწოდებანი კი არ არის, რომ საჭიროა გქონდეს მაღალი კულტურა, არამედ მაღალი კულტურის მიღწევაა. უკეთ უნდა ვიმუშაოთ. დასავლეთის სამყარო სხვა სამყაროა. და მასთან დავა ისეთი მეთოდებით, აზროვნების იმ წესით, რომელიც ჩვენთან ამ ბოლო წლებში ჩამოყალიბდა, სწორი არ იქნებოდა. რაც შეეხება იუგოსლავიას. იცით რა, მე ისეთი პრობლემები მაქვს, რომ განსაკუთრებით არ ვადევნებ თვალყურს იუგოსლავიას. ასე ვიტყვი: არ მინდა იქ იყოს სისხლისღვრა, ადამიანის უფლებათა დარღვევები, რომ რომელიღაც მესამე ძალა არეგულირებდეს ხალხების ურთიერთობას, რომლებსაც შეუძლიათ თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება, ყველა მხარეს რომ ხელს აძლევდეს.

ზვიად გამსახურდია: ის, რომ ჩვენ დიდ როლს არ ვასრულებთ, საკვირველი არ არის. ჩვენ ვიყავით იმპერიის ნაწილი, ექსპლოატაციის საგანი. ახლა კი თანდათანობით ვაშენებთ ჩვენს ქვეყანას და, იქნებ, ახლო მომავალში, გავხდეთ კიდეც ძლიერი სახელმწიფოები. რაც შეეხება იუგოსლავიას, ის, რაც იქ ხდება, დიდი გაკვეთილია ჩვენთვის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დასავლეთი უხალისოდ უჭერს მხარს დამოუკიდებლობის მოძრაობას, რადგან ეშინია პატარ-პატარა ქვეყნებად სახელმწიფოთა დანაწევრებისა, რასაც შეიძლება კონფლიქტები და დესტაბილიზაცია მოჰყვეს. აი, რა აშინებს დასავლეთს. ამიტომ ჩვენ უნდა ვუჩვენოთ, რომ ჩვენს სახელმწიფოებს კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილიზაციის გზით გავუძღვებით. ჩვენ არ მივცემთ ამგვარი კონფლიქტების გაჩაღების უფლებას. ამიტომ არის საჭირო ჩვენი ძალისხმევა კავკასიაში, კერძოდ, ყარაბაღში, მშვიდობის დასამყარებლად.

თენგიზ გრიგალაშვილი, საქინფორმი: ორივე პრეზიდენტი დაეთანხმება იმას, რომ მეოცე საუკუნის დამლევს ახასიათებს კომუნისტური იდეოლოგიის დევალვაცია. კითხვას ვუსვამ ორივე პრეზიდენტს: როგორ აფასებთ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პერსპექტივებს?

აიაზ მუთალიბოვი: მე ვიტყვი, რომ კომუნისტური იდეები, ალბათ, შემთხვევით როდი იშვა არა ჩვენთან, არა იმ კონტინენტზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ეს ევროპის მისამართია. მაგრამ ეს თემა, რა თქმა უნდა, არსებობდა და ყოველთვის და გულისხმობდა სოციალური სამართლიანობის, სოციალისტური იდეის საზოგადოების მშენებლობას. იგი ძირითადად არსებობს დღესაც. კაპიტალიზმიც და სოციალიზმიც აშენებენ საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებას. მხოლოდ მშენებლობის მეთოდებია განსხვავებული, ჩვენთან ეს მეთოდები შეცვალეს, სოციალიზმის, კომუნიზმის მშენებლობის ყაზარმულ მეთოდად აქციეს. ჩვენთან სისტემა შობდა ავანტიურისტებს. ჩვენ, საერთოდ, წავახდინეთ ეს იდეები, თუმცა იდეები არაფერ შუაშია. მაგრამ ახლა მაინც დავამკვიდრებთ სოციალური სამართლიანობის პრინციპებს — იქნება ეს კომუნისტური, დემოკრატიული თუ სხვაგვარი. თორემ ხალხი დაამხობს ერთსაც, მეორესაც და მესამესაც, თუ იგი იცხოვრებს ქოხმახებში და არ ექნება საჭმელი. რაც შეეხება კომუნისტურ მოძრაობას... დიახ, მიმდინარეობს დევალვაციის პროცესი, თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ თანასწორობის იდეები, სოციალისტური იდეები არ გაქრება.

ზვიად გამსახურდია: მე ასე გიპასუხებთ. კომუნისტური მოძრაობანი უკვე აღარ არსებობს მსოფლიოში. არის იდეები, რომლებსაც მხარს უჭერენ ცალკეული ადამიანები. მაგრამ, უფრო მეტიც, იგი მალე არ იარსებებს სსრ კავშირშიც. პირველი ნიშანი — ეს არის ახალი პარტიის ძიება, რომელიც, ჩემი აზრით, მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობისაგან, და არა იმ პიროვნებისაგან, რომელმაც წამოაყენა ეს იდეა და, მე მგონი, წარმოადგენს შემცვლელ ფიგურას. მას აქცევენ დემოკრატად. თუმცა იგი ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და დღეს შეუძლებელია წარმოიდგინო, რომ იგი არ ემსახურებოდა მას. ხოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინტერესები დღეს — ეს არის იმათი ხსნა, ვინც სათავეში უდგას ამ პარტიას და იმ იმპერიას, რომელიც მან შექმნა. და ეს განწირულია ჩასაფუშავად. კომუნისტური მოძრაობის პირველი კატასტროფა იყო ევროკომუნიზმის კრახი. კრახს განიცდის მეორე მოძრაობაც სსრ კავშირში, რომელსაც სურს შექმნას დემოკრატიული პარტია, რომელიც იმოქმედებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ინტერესებისათვის.

აიაზ მუთალიბოვი: კითხვა, რა თქმა უნდა, პიკანტური იყო. მე უკვე ვთქვი — არის რეფორმატორული ყაიდის კომუნისტური მოძრაობა. რად გადაიქცევა იგი — ვნახოთ. მაგრამ, პრობლემები, რა თქმა უნდა, არის. მე ვფიქრობ, დაჩქარება, ინიციირება ან რაღაცნაირად ჩარევა — არ ღირს. ჩვენს სახელმწიფოს უკვე არაერთხელ განუცდია სამოქალაქო ომი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ერთხელ კიდევ მოხდეს.

ზვიად გამსახურდია: მაგრამ ისტორია თავისას იზამს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

თ. დ. ასანიძის ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თამაზ დავითის ძე ასანიძე ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 17 ივლისი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ბექან იუსუფის ძე გობაძე გათავისუფლებულია ხულოს რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან.

საქინფორმი.

საკუთარ სახლში

სანთელ-საკმეველი გზას მაინც იპოვნის

ბევრი მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვა ოცდაათიანმა წლებმა. იმ ათასობით სიცოცხლეს შორის, ბოროტებამ რომ შეიწირა, იყო გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე თეიმურაზ ჭუმბურიძე. სანთელ-საკმეველმა გზა მაინც იპოვნა და საზოგადოებამ კვლავ დაიბრუნა უსასრულობაში გადასულთა სახელები.

ამ დღეებში, ქუთაისში, პაოლო იაშვილის ქუჩაზე მდებარე იმ სახლს, სადაც რეპრესირებული მამულიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მემორიალური დაფა გაუკეთდა. აქ მოვიდნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, თეიმურაზ ჭუმბურიძის ახლობლები.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ მწერალი და მეცნიერი ლევან სანიკიძე, პროფესორი ბიძინა ჭუმბურიძე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ივანე ვარლამიშვილი, რომელთაც ისაუბრეს თეიმურაზ ჭუმბურიძის ღვაწლზე ქართული ეროვნული პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში.

თეიმურაზ ჭუმბურიძის ვაჟმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ირაკლი ჭუმბურიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და ქალაქის მესვეურთ მისი მამის არდავიწყებისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ ისტორიას საბოლოოდ ჩაბარდება ის სისხლიანი ტრაგედიები, რამაც ერის საუკეთესო შვილების განადგურება გამოიწვია.

მაკა კილაძე,
საქინფორმის კორ.

მცირე ჰესები ალაზნის ველზე

ენერგეტიკული შიმშილი კარგა ხანია იგრძნობა ჩვენში. ახლა მთავარია ყოველი საღად მოაზროვნე სპეციალისტის თაოსნობას მეტი გულისყურით მოვეკიდოთ. კარგა ხანია „იორწყალმშენის“ მთავარმა ინჟინერმა ვ. გოგინაშვილმა სიღნაღის რაიონის გაზეთ „ქიზიყის“ ფურცლებზე დაბეჭდა პრობლემური ხასიათის წერილი, სადაც კონკრეტულ წინადადებასაც სთავაზობდა ზემდგომ ორგანოებს.

მისი წინადადებით, ქვემო ალაზნის არხი უნდა გამოვიყენოთ მცირე ჰესების ასაგებად, რადგან წლის ყოველ დროს შესაძლებლობა გვექნება გამოვიმუშაოთ იაფი და მეტად საჭირო ელექტროენერგია. არხის სიგრძე ას კილომეტრამდეა და საშუალებას გვაძლევს, თელავის, გურჯაანის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონებში ავაშენოთ რამდენიმე მცირე ელექტროსადგური, სადაც 30-70 მეტრის სიმაღლიდან დაცემული წყალი აამოძრავებს დანადგარს. შეიძლება თითოეულ ამ რაიონში ორი-სამი სადგური აშენდეს. ამასთან ეს მშენებლობა ეკოლოგიურად გამართლებული იქნება.

მცირე ელსადგურების აგებას ორი წელიწადი მოუნდება და ძირითადად ეს ადგილობრივი საწარმოების ხარჯზე მოხდება. რა თქმა უნდა, სახელმწიფოც გაიღებს საკმაო თანხებს. იმედია, ამ პრობლემით რეგიონის პრეფექტები დაინტერესდებიან და საკითხს შემდგომი განხილვისათვის რესპუბლიკურ ორგანოებში დააყენებენ.

ვახტანგ გოზალიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

პოლემიკა

სიცრუე მრავალგვარია, სიმართლე — ერთადერთი

ამას წინათ ფრანგულ პრესაში („ლე ნუველ ობსერვატორი“) გამოქვეყნდა პიერ ბლანშეს წერილი „მესსია თბილისიდან“.

ავტორს პრეტენზია აქვს ფრანგ მკითხველს „თვითმხილველის“ პოზიციიდან გააცნოს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი მოვლენა.

წერილი იწყება განცხადებით, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში ახლად მოსული პრეზიდენტი შიშს თესავს.

„ოპონენტებს, ინტელექტუალებს და ეროვნულ უმცირესობებს ეშინიათ“, — წერს პიერ ბლანშე. წერილის ავტორი არ განმარტავს, თუ რატომ უნდა ეშინოდეთ მათ პრეზიდენტისა. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ იუმორიანი სიმართლით განაცხადონ: ინტელექტუალებს საფუძველი აქვთ „ეშინოდეთ“. ისინი თავიანთი ინტელექტით მუდამ „ჩაგრავდნენ“ რესპუბლიკის ნებისმიერ წინამორბედ ხელმძღვანელს, ახლა ეს უკვე „სახიფათო“ გახდა. საქართველოს არაინტელექტუალური პრეზიდენტი ამ მხრივ ინტელექტუალებისთვის ნამდვილად „საშიში“ პიროვნებაა.

რაც შეეხება „ეროვნულ უმცირესობათა“ შიშს, ეს რომ ასე იყოს, მაშინ ისინი არჩევნებში ხმას არ მისცემდნენ მათთვის საშიშ პრეზიდენტს. ოპონენტებსაც შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. პრეზიდენტი მათ შესახებ ამბობს, რომ ოდნავადაც კი არ არიან საშიში. ეს ნიშნავს, რომ მთავრობას სრულებით არ აწუხებს ოპონენტების პრობლემა. ყოვლად უსაფუძვლოა ბატონი ბლანშეს ასეთი განცხადება: „დღეს შეუძლებელია საქართველოში ოპოზიციური გაზეთის გამოცემა“. არა გვგონია კაცმა, რომელიც ზერელედ მაინც ადევნებს თვალს საქართველოში გაზეთების რაოდენობას და მათ პოლიტიკურ მიმართულებას, დამატებითი რაიმე საბუთი მოითხოვოს ბატონი ბლანშეს შეცდომის დასადასტურებლად.

აუცილებლად ყურადსაღებია, ერთი გარემოებაც — ავტორის ჟურნალისტური „მსოფლმხედველობა“ აშკარად განიცდის „ცენტრის“ საინფორმაციო წყაროების გავლენას. ასეთი მოსაზრების დასადასტურებლად ის ფაქტიც კმარა, რომ მის წერილში აჭარლები არაქართველებად არიან მოხსენიებული (აჭარლებისათვის ეროვნების „ჩამორთმევა“ რუსული პრესის დამსახურებაა).

ერთ ადგილას იგი წერს, რომ „გამსახურდია სახელმწიფო მოღვაწის საწინააღმდეგო ტიპია“, ცოტა ქვემოთ კი მას „ძალზე დახვეწილ პოლიტიკოსს“ უწოდებს.

ბატონ ბლანშეს ან მეხსიერება ღალატობს, ანდა ვერ შეძლო საქართველოს პრეზიდენტის ასეთი „გაორების“ მიზეზი განემარტა. მკითხველისთვის კი გაუგებარი რჩება ბლანშეს ფილოსოფია, რატომ შეიძლება „ძალზე დახვეწილი პოლიტიკოსი“ იყოს „სახელმწიფო მოღვაწის საწინააღმდეგო ტიპი“.

ბლანშე აღნიშნავს, რომ ოპონენტები გამსახურდიას მომავალ დიქტატორს, ხოლო „ინტელექტუალები“ მომავალ „მუსოლინის“ უწოდებენ.

წერილის ავტორი ამ საკითხში არც ერთ შემთხვევაში აშკარად არ ამჟღავნებს თავის პოზიციას. მოსალოდნელი იყო, მას დააინტერესებდა ის მოვლენა, რომ იგი საქართველოში ყოფნის დროს თითქმის მუდამ პრეზიდენტის ოპონენტთა წრეში ტრიალებდა (რაც მისი პუბლიკაციის „ობიექტურობის“ ხარისხითაც კარგად ჩანს) და მომავალი „დიქტატორის“ და „მუსოლინის“ საბრძანებელში არავინ იზრუნა პირიქით ყოფილიყო.

ერთ ადგილას იგი აღნიშნავს: გამსახურდიას „ყველაზე დიდი სურვილია მიიღოს ჯორჯ ბუშმა. საქართველოს პრეზიდენტი არ არის ისეთი მარტივი პიროვნება, ვინმემ გაიგოს, რა არის მისთვის ყველაზე დიდი პირადი სურვილი, ქართველი ხალხი კი ფიქრობს, რომ მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, „უდიდესი“ სურვილი ათასგზის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბუშთან შეხვედრა.

პიერ ბლანშე ცდილობს „დემოკრატი“ ჟურნალისტებისთვის დამახასიათებელი პეწით შემოსოს სათქმელი. ხშირად მიმართავს ინტიმურ პასაჟებს. მაგალითად, როცა ბატონ ნოდარ ნათაძეზე ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ იგი (ნ. ნათაძე — გ. ნ.) „ფორტეპიანოს მოხუც პროფესორს წააგავს“.

არ ვიცით, რამდენად დააინტერესა ფრანგი მკითხველი ნოდარ ნათაძის ბლანშესეულმა ფიზიკურმა პორტრეტმა. ჩვენთვის უფრო საინტერესო ის არის, რატომ უწოდებს ფილოსოფოს პროფესორ ნოდარ ნათაძეს ასე უდიერად „პრეზიდენტობის საბრალო კანდიდატს“. კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ პიერ ბლანშეს წერილისადმი ჩემი ინტერესი უფრო კონკრეტულია, ვიდრე საერთოდ მის შესახებ საუბარი იქნებოდა.

ერთი სიტყვით, ჩემი გარჯის ძირითადი მიზანია, მკითხველს ვაუწყო სიმართლე წერილში არასწორად წარმოდგენილი ერთი საინტერესო ეპიზოდის შესახებ, რომლის მონაწილე თვითონ ვიყავი. „საარჩევნო კამპანიის დროს, — გვიამბობენ სტუდენტები, — გამსახურდია მოულოდნელად მოვიდა ფაკულტეტზე შეხვედრის ჩასატარებლად. ოპონენტები ტრიბუნასთან ვერ მიდიოდნენ წესრიგის დამცველების გამო. პროფესორები, რომლებიც ადრე კომუნიზმს ასხამდნენ ხოტბას, ახლა პრეზიდენტს აქებენ“, — წერს ბლანშე. ასეთი ინფორმაციის წყარო ნამდვილად არასერიოზულია და ეს იქიდანაც ჩანს, რომ მასში ლაპარაკია ზვიად გამსახურდიას ფაკულტეტთან შესახვედრად მოსვლის თაობაზე. ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

ჩანს, ბატონ პიერ ბლანშეს უამბეს პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის დროს გამსახურდიასთან უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და თანამშრომელთა შეხვედრის ამბავი, რომელიც ამა წლის 24 მაისს გაიმართა.

როგორი იყო სინამდვილეში ეს შეხვედრა? ეს არ იყო არც მოულოდნელი და არც „კონფიდენციალური“ შეხვედრა. ხალხით იყო გაჭედილი საქტო დარბაზი, გასასვლელები და დერეფნები. ბატონმა გამსახურდიამ ოდნავ დააგვიანა, რისთვისაც საზოგადოებას ბოდიში მოუხადა და დაგვიანება უცხოელებთან შეხვედრის მიზეზით ახსნა. მთელი დარბაზი (ათასზე მეტი კაცი) ოვაციით და შეძახილებით — ზვიად! ზვიად! ზვიად! — გამოხატავდა თავის განწყობილებას პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ. ეს სიმართლე მოულოდნელი არ იქნებოდა პიერ ბლანშესთვის, რადგანაც მან იცის და წერს, რომ ზვიად გამსახურდია „26 მაისს წარმოუდგენლად მაღალი მაჩვენებლებით, ხმათა 87 პროცენტით იქნა არჩეული“.

რაც შეეხება განცხადებას, თითქოს „ოპონენტები ტრიბუნასთან ვერ მიდიოდნენ წესრიგის დამცველების გამო“, გაუგებარია, რომელ წესრიგის დამცველებს გულისხმობენ ამ აზრის ავტორები. დარბაზში წესრიგის დაცვის არავითარი საჭიროება არ იგრძნობოდა.

ისე კი, სამართლიანობა აუცილებლად მოითხოვს აღინიშნოს, რომ 24 მაისს უნივერსიტეტის საქტო დარბაზში მყოფი გამსახურდიას ყველა ოპონენტისთვის სიტყვით გამოსვლა „აკრძალული“ იყო. ათასკაციანი აუდიტორიის განწყობილება „კრძალავდა“ უარყოფით გამოსვლას. ასეთი თავყრილობის საერთო აზრის წინააღმდეგ გამოსვლა ნამდვილად უაზრო რისკი იქნებოდა, მით უმეტეს, როცა არც დემოსთენე ხარ და არც სერიოზული საბუთი რამ გაქვს. ალბათ, ასეთი შეგნების გამო, გამსახურდიას არც ერთ ოპონენტს არ გამოუთქვამს ტრიბუნაზე ასვლის სურვილი. დარბაზის განწყობილებას ნამდვილად ზვიად გამსახურდიის პიროვნება განსაზღვრავდა, მაგრამ ასეთი „დანაშაულისათვის“ ოპონენტები საყვედურს ვერ იტყვიან.

რაც შეეხება ბრალდებას, თითქოს შეხვედრაზე სიტყვით გამოსული პროფესორები „პრეზიდენტს აქებდნენ“, მე, როგორც ერთ-ერთ გამომსვლელს, შემიძლია „ბრალმდებლებს“ ასეთი პასუხი გავცე: გამომსვლელთა მიერ ძირითადად ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ პრეზიდენტობის არც ერთი კანდიდატი ბატონ ზვიად გამსახურდიასთვის სერიოზულ მეტოქეს არ წარმოადგენდა. ეს მარტივი ჭეშმარიტება სავსებით დაადასტურა 26 მაისის არჩევნებმა.

გამომსვლელებმა დაიცვეს გამსახურდია ბრალდებისაგან, მაგრამ ეს არ იყო ქება. მაგალითი? ინებეთ, ბატონო. ოპონენტები გამსახურდიას დღენიადაგ უსაყვედურებენ, რომ იგი ხშირად იცვლის შეხედულებას ადამიანების და მოვლენების მიმართ. ერთმა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ოდესღაც აბრამ ლინკოლნმა ასეთ ბრალდებას მშვიდად უპასუხა: არ მიყვარს ადამიანები, რომლებიც დღეს უკეთ არ აზროვნებენ, ვიდრე გუშინ! ამ მაგალითში არის ლოგიკის პატივისცემა და არა ვინმეს ქება. ბატონი ბლანშე აღნიშნავს: „ამიერიდან სტუდენტებს ეკითხებათ კურსი „მრგვალი მაგიდის პრეზიდენტის გმირული როლის შესახებ“. ასეთი ბრალდება დამძიმებულია იმ მოტივით, რომ, თურმე, „საქმე ეხება ათიათასობით ადამიანის მომავალს, რომლებიც დემოკრატიისათვის იბრძოდნენ“.

ყველას, ვინც შეშფოთებულია დემოკრატიისათვის მებრძოლი „ათიათასობით“ ადამიანის ცუდი მომავლის მოსალოდნელობით, მე, როგორც უნივერსიტეტის ლექტორმა და ამდენად, საქმეში ჩახედულმა კაცმა, შემიძლია დავამშვიდო — ამჟამად უნივერსიტეტში არ იკითხება არავითარი კურსი „მრგვალი მაგიდის“ შესახებ. ეს სიმართლე ბატონ ბლანშეს შეეძლო უნივერსიტეტის ნებისმიერი სტუდენტისაგან შეეტყო. მართალი არ იქნება, თუ ვინმე იტყვის, თითქოს არ ღირდეს და საერთოდაც არ ღირს პიერ ბლანშეს წერილზე და მსგავს პუბლიკაციებზე ყურადღების გამახვილება. ცრუ ინფორმაცია დროებით მაინც აბუნდოვნებს სინამდვილეს. სიცრუე მრავალგვარია, სიმართლე — ერთადერთი! ჩვენთვის აუცილებელია ვიბრძოლოთ იმ ერთადერთი სიმართლის გავრცელებისთვის, ვიბრძოლოთ ყველა მიღებული საშუალებით. მით უმეტეს, რომ საქართველოშიც და რუსეთშიც მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც დიდი რევერანსებით ეგებებიან საქართველოს შესახებ ევროპულ ცნობებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ცნობები ჩვენი ქვეყნისადმი ცილისწამებას შეიცავს.

დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ნამდვილად მსოფლიო პოლიტიკისათვის საინტერესო საკითხია. მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია ქართული სინამდვილის წარმოჩენის სასარგებლოდ. „დიდი პოლიტიკა“ მუდამ გულგრილია სენტენციისადმი: „დაიცავი სიმართლე ყველგან, სადაც მას თავს ესხმიან“.

გიორგი ნადირაძე

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, იგი არეგულირებს საწარმოთა ეკონომიკურ ურთიერთობებს, უზრუნველყოფს მათ თავისთავადობას და დამოუკიდებლობას, აწესებს სამეწარმეო საქმიანობის პროცესის მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.

კანონი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ვრცელდება მეწარმეობის ყველა სუბიექტზე. კანონი არ გამოიყენება იმ მოქალაქეების და იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც ეწევიან არაკომერციულ საქმიანობას.

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მეწარმეობა

მეწარმეობა არის ცალკეული მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირების და მათი გაერთიანებების ინიციატივაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური ფასეულობების, ფასიანი მომსახურების ან სხვა სამუშაოების წარმოებასა და რეალიზაციას და ამის საფუძველზე მოგების (შემოსავლის) მიღებას.

მეწარმეობა საქართველოს რესპუბლიკაში წარიმართება საერთო ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკური ძლიერებისა და ეროვნული სიმდიდრის ზრდისათვის, ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობის, ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპების სრული დაცვით.

მუხლი 2. მეწარმე

მეწარმე შეიძლება იყოს — საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს თავის სამეურნეო საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

— მოქალაქეთა გაერთიანებები, კოლექტიური მეწარმეები (პარტნიორები);

სამეწარმეო საქმიანობას შეიძლება ეწეოდეს უშუალოდ მესაკუთრე ან სუბიექტი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად მესაკუთრის მიერ დადგენილ ფარგლებში ქონება გადაეცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

საწარმოს იჯარით გაცემის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულების პერიოდში მეწარმის უფლებით სარგებლობს მოიჯარე.

მეწარმის სტატუსი მიიღება ამ კანონით დადგენილი წესით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ან საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის შედეგად. მეწარმეობა რეგისტრაციის გარეშე აკრძალულია. მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს როგორც იურიდიული პირის შექმნით, ასევე მის გარეშე.

მეწარმის სტატუსი საქართველოს რესპუბლიკაში შეუთავსებელია მოგების (შემოსავლის) მიღების მიზნით ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო, ანტიჰუმანურ დანაშაულებრივ საქმიანობასთან.

მეწარმეს, განურჩევლად მისი იურიდიული სტატუსისა, უფლება აქვს ჰქონდეს ბეჭედი, ანგარიშსწორების და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.

მეწარმე საწარმოზე საკუთრების უფლებას იძენს საწარმოს შექმნით, ყიდვით ან სხვა სამოქალაქო გარიგებით.

მუხლი 3. საწარმო

საწარმო არის გარკვეული სახის პროდუქციის წარმოების, სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული.

საწარმო შეიძლება ფუნქციონირებდეს ამ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელსაც იგი ნებაყოფლობით ირჩევს.

საწარმო ეკონომიკურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია. იგი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, თავისი წესდების, დამფუძნებლებს შორის დადებული ხელშეკრულების და მის მიერ აღებული ვალდებულებების საფუძველზე.

საწარმო, განურჩევლად მისი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ექვემდებარება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას საგადასახადო, საბიუჯეტო, საკრედიტო და სხვა ეკონომიკური ბერკეტების მეშვეობით.

მუხლი 4. საწარმოს მესაკუთრენი

„საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების შესახებ“ კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს: კერძო, კოლექტიურ და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოები.

საქართველოს რესპუბლიკაში საწარმოს მესაკუთრენი შეიძლება იყვნენ: საქართველოს რესპუბლიკა, მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საზღვარგარეთის სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები.

კარი II

მეწარმის უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა და გარანტიები

მუხლი 5. მეწარმის უფლებები

მეწარმეს უფლება აქვს:

დაიწყოს და წარმართოს სამეწარმეო საქმიანობა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით, საწარმოს დაფუძნებით, ყიდვით ან გარდაქმნით, აგრეთვე, მესაკუთრესთან ხელშეკრულების გაფორმებით;

განახორციელოს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, თუ იგი არ არის აკრძალული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

სახელშეკრულებო საწყისებზე მოიზიდოს და გამოიყენოს ფინანსური სახსრები, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, ცალკეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და ქონებრივი უფლებები;

გახსნას ანგარიშსწორების და სხვა სახის ანგარიშები საბანკო (მათ შორის საზღვარგარეთის) დაწესებულებებში;

დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საქმიანობის მიმართულებები, აირჩიოს მომწოდებლები და მომხმარებლები, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს ფასები საკუთარ პროდუქციაზე, მომსახურებაზე და სამუშაოებზე;

განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები;

დამოუკიდებლად მართოს საწარმო;

გამოიყენოს დაქირავებულ მუშაკთა შრომა მათთან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე;

განაგოს საწარმოს მოგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, ხელშეკრულებების და საწარმოს წესდებათა მოთხოვნების შესაბამისად;

ისარგებლოს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის, სამედიცინო და სოციალური დაზღვევის სისტემების მომსახურებით;

შექმნას მეწარმეთა გაერთიანებები და კავშირები; შევიდეს მეწარმეთა გაერთიანებებში და კავშირებში;

იყოს მოპასუხე და მოსარჩელე სასამართლოში (მათ შორის საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოში);

მეწარმეს შეიძლება ჰქონდეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

მუხლი 6. მეწარმის მოვალეობანი

მეწარმე მოვალეა:

შეასრულოს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობიდან და მის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

შეასრულოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის რეგულირებას;

დაიცვას რესპუბლიკის ინტერესები საგარეო-ეკონომიკური გარიგებების დროს, უცხოური ინვესტიციების და სხვა რესურსების გამოყენებისას;

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად ან საწარმოს სახელით დადოს შრომითი ხელშეკრულება დაქირავებულ მოქალაქესთან ან მოქალაქეთა მიერ უფლებამოსილ ორგანოსთან;

დადებული ხელშეკრულების თანახმად, გაასწოროს ანგარიში საწარმოს ყველა მუშაკთან მიუხედავად საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა;

განახორციელოს დაქირავებული მოქალაქეების სოციალური, სამედიცინო და აუცილებელი დაზღვევის სხვა სახეები, უზრუნველყოს მათი შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელი ყველა პირობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და დადებულ ხელშეკრულებათა მოთხოვნების შესაბამისად;

შეასრულოს ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებანი ინვალიდების და შეზღუდული შრომის უნარის მქონე სხვა პირების სოციალური დაცვისათვის;

დროულად წარადგინოს დეკლარაცია შემოსავლების შესახებ და გადაიხადოს გადასახადები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

გამოაცხადოს საწარმო გაკოტრებულად იმ შემთხვევაში, თუ აღარა აქვს შესაძლებლობა გაუსწორდეს კრედიტორებს თავისი ვალდებულებების შესაბამისად.

მუხლი 7. მეწარმის პასუხისმგებლობა

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, მეწარმე პასუხს აგებს:

დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის;

სხვა სუბიექტების მიმართ ქონებრივი უფლებების დარღვევისათვის;

გარემოს დაბინძურებისათვის;

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის;

მომხმარებლის ინტერესების შელახვისათვის;

საქონლის არასწორი მარკირებისათვის, სტანდარტების და ტექნიკური პირობების დარღვევისათვის;

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების, ეროვნული ფასეულობების, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაზიანებისა და განადგურებისათვის;

ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანებისა და ესთეტიკური მოთხოვნების დარღვევისათვის;

შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობისათვის;

მის მიერ წარმოებული და რეალიზებული პროდუქციით მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისათვის;

მეწარმეს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესაბამისად კრედიტორების წინაშე ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე მეწარმე პასუხისმგებელია საწარმოს ქონების მესაკუთრის წინაშე მათ შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) შესაბამისად.

მუხლი 8. სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვები

მხოლოდ სახელმწიფო საწარმოებს ეძლევათ უფლება:

აწარმოონ და გაასაღონ ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები და პრეპარატები;

დაამზადონ და გაასაღონ იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები;

გამოუშვან ფულის ნიშნები, მონეტები და საფოსტო მარკები.

საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანოს სპეციალური ნებართვის გარეშე აკრძალულია:

წიაღისეული მადნების მოპოვება და დამუშავება;

სპორტული, სანადირო და სხვა სახის იარაღის შეკეთება;

მედიკამენტების წარმოება და რეალიზაცია;

იურიდიული პრაქტიკა;

უმავთულო კავშირგაბმულობით მომსახურება;

საგამოძიებო და დაცვითი საქმიანობა;

სასწავლო დაწესებულებების შექმნა;

სამედიცინო პრაქტიკა;

ვეტერინარული პრაქტიკა;

გასართობი და აზარტული თამაშობების ორგანიზაცია;

ლომბარდით მომსახურება.

მუხლი 9. მეწარმის მონაწილეობა საწარმოს მოგების განაწილებაში

ბიუჯეტთან, კრედიტორებთან ანგარიშსწორების, დივიდენდების გადახდის შემდეგ საწარმოს მოგება გადადის მეწარმის განკარგულებაში და დამოუკიდებლად გამოიყენება მის მიერ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საწარმოს წესდებით.

მეწარმეს, რომელიც მუშაობს ხელშეკრულებით (კონტრაქტით), შეუძლია მიიღოს შრომის ანაზღაურება როგორც ხელფასის, ასევე საწარმოს მოგებიდან წილის სახით.

მეწარმის შრომის ანაზღაურების ფორმები, წესი და პირობები განისაზღვრება საწარმოს ქონების მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულებით (კონტრაქტით).

იმ შემთხვევაში, როცა მეწარმეობას ახორციელებს ამა თუ იმ ფორმის ამხანაგობა, თითოეული პარტნიორის შემოსავალი განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

მეწარმის პირადი შემოსავალი იბეგრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. მეწარმის გარანტიები

საქართველოში მეწარმეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტი არის სახელმწიფო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა მეწარმის თანაბარ უფლებებს და იძლევა ამ უფლებათა დაცვის გარანტიებს მიუხედავად მათი საქმიანობის მიმართულებისა.

მეწარმე დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. სახელმწიფოს, საზოგადოებრივი და სხვა ორგანოების ჩარევა მეწარმის საქმიანობაში დაუშვებელია, გარდა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სახელმწიფოს, სხვა ორგანოების ან მათი თანამდებობის პირების მიერ კანონმდებლობის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებების, ან მათ მიერ მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შედეგად მეწარმისადმი მიყენებული ზარალი ანაზღაურდება ამ ორგანოების ან მათი თანამდებობის პირის მიერ. ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს იხილავს და წყვეტს სასამართლო ან საარბიტრაჟო სასამართლო.

კარი III

საწარმოთა ფორმები და სახეები

მუხლი 11. საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდნენ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები:

1. ინდივიდუალური საწარმო;
2. სრული სამეურნეო ამხანაგობა;
3. შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა;
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
5. ერთი პირის საწარმო.
6. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება;
7. სააქციო საზოგადოება;
8. სახელმწიფო საწარმო;
9. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო;
10. საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო.

საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდეს აგრეთვე სხვა ისეთი სახის საწარმოები, რომელთა შექმნა არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

რესპუბლიკაში შეიძლება შეიქმნას და ფუნქციონირებდეს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მცირე საწარმო. მცირე საწარმოს სტატუსი, მისი შექმნისა და მოქმედების თავისებურებანი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 12. ინდივიდუალური საწარმო

ინდივიდუალურია საწარმო, რომელიც ეკუთვნის მოქალაქეს საკუთრების უფლებით ან მისი ოჯახის წევრებს საერთო (წილობრივი ან ერთობლივი) საკუთრების უფლებით, თუ მათი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ინდივიდუალური საწარმოს ქონება იქმნება მოქალაქის (მისი ოჯახის) ყველა კანონიერი შემოსავლით.

ინდივიდუალური საწარმო შეიძლება შეიქმნას მოქალაქის (ოჯახის) მიერ სახელმწიფო, ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოს ან სხვა ქონების შეძენის და ახალი საწარმოს დაფუძნების გზით.

ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი. მისი ქონება განუყოფელია მეწარმის ქონებისაგან. მეწარმე საწარმოს ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

ინდივიდუალურ საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების მესაკუთრის გვარი.

მუხლი 13. სრული სამეურნეო ამხანაგობა

სრული სამეურნეო ამხანაგობა წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის რამდენიმე ფიზიკური და (ან) იურიდიული პირის გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე.

სრული სამეურნეო ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი. მისი ქონება განუყოფელია ამხანაგობის წევრთა ქონებისაგან. ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი წევრები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი მთელი თავიანთი ქონებით.

სრული სამეურნეო ამხანაგობის ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებით და სხვა კანონიერი წყაროებით და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

სრულ. სამეურნეო ამხანაგობაში შემავალი იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს. ამხანაგობა პასუხს არ აგებს თავისი წევრების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის ამხანაგობის საქმიანობასთან.

სრულ სამეურნეო ამხანაგობას აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების ერთი მესაკუთრის გვარი (ან სახელწოდება) მაინც.

მუხლი 14. შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა

შერეული სამეურნეო ამხანაგობა წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის რამდენიმე ფიზიკური და (ან) იურიდიული პირის გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე.

შერეული სამეურნეო ამხანაგობა შედგება ნამდვილი და მეპაიე-კომანდიტორი წევრებისაგან.

შერეული სამეურნეო ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი. ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი ნამდვილი წევრები სოლიდარულად არიან პასუხისმგებლები მთელი თავიანთი ქონებით, ხოლო მეპაიე წევრები (კომანდიტორები) იმ ქონებით, რომელიც მათ ხელშეკრულებით გადასცეს (მიანდეს) ამხანაგობას.

შერეული სამეურნეო ამხანაგობა არ არის პასუხისმგებელი მისი მეპაიე წევრების ქონებრივ ვალდებულებებზე.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის შემადგენლობაში უნდა იმყოფებოდეს სულ ცოტა ერთი ნამდვილი და ერთი მეპაიე-კომანდიტორი წევრი.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებით, სხვა კანონიერი წყაროებით და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

შერეული სამეურნეო ამხანაგობის მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

შერეულ სამეურნეო ამხანაგობას აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების სულ ცოტა ერთი ნამდვილი მესაკუთრე წევრის გვარი (ან სახელწოდება).

მუხლი 15. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირთა გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე. საზოგადოებას აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება მხოლოდ დამფუძნებელთა საპაიო შენატანებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი, მისი მონაწილეები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი შენატანის ფარგლებში. საზოგადოების წევრების შენატანების ერთი მესაკუთრისაგან სხვა მესაკუთრისათვის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების სხვა მონაწილეთა თანხმობით, საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებითა და სხვა კანონიერი წყაროებით. და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პასუხს არ აგებს მისი მონაწილეების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის საზოგადოების საქმიანობასთან.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების მიხედვით, აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 16. ერთი პირის საწარმო

ერთი პირის საწარმო წარმოადგენს ერთი პირის მიერ შექმნილ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნაირსახეობას, რომლის ქონებაც მას ეკუთვნის საკუთრების უფლებით. საწარმოს აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება დამფუძნებლის შენატანით.

ერთი პირის საწარმო შეიძლება შეიქმნას სახელმწიფო, ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოს ან სხვა ქონების შეძენის ან ახალი საწარმოს დაფუძნების გზით.

ერთი პირის საწარმო არის იურიდიული პირი. ერთი პირის საწარმოს ქონება წარმოადგენს მისი ქონების განკერძოებულ ნაწილს, რომელიც განკუთვნილია სამეწარმეო საქმიანობისათვის. საწარმოს ვალდებულებებზე იგი პასუხს აგებს საწარმოს ქონებით.

ერთი პირის საწარმო მოქმედებს საკუთარი წესდების მიხედვით. აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მისი ქონების მესაკუთრის გვარი.

მუხლი 17. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირთა გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე. საზოგადოებას აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება მხოლოდ დამფუძნებელთა საპაიო შენატანებით.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი მონაწილეები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მათ განკარგულებაში არსებული მთელი შენატანებით და თუ ეს საკმარისი არ არის, საზოგადოების წევრები პასუხს აგებენ საკუთარი ქონებით მათი საპაიო შენატანების პროპორციულად. საზოგადოების წევრების შენატანების ერთი მესაკუთრისაგან სხვა მესაკუთრისათვის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების სხვა მონაწილეთა თანხმობით, საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, მიღებული შემოსავლებითა და სხვა კანონიერი წყაროებით, და ეკუთვნის მის მონაწილეებს საერთო-წილობრივი საკუთრების უფლებით.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება პასუხს არ აგებს მისი მონაწილეების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის საზოგადოების საქმიანობასთან.

დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების მიხედვით, აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 18. სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება წარმოადგენს ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების გაერთიანებას, რომელთაც აქვთ აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი.

სააქციო საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, აქციების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლებით და სხვა კანონიერი წყაროებით. აქციების თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია და იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი პირობებით.

სააქციო საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი მონაწილეები სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი შენატანების (მათი კუთვნილი აქციების პაკეტის) ფარგლებში.

სააქციო საზოგადოება პასუხს არ აგებს მასში მონაწილე აქციონერების ქონებრივ ვალდებულებებზე.

სააქციო საზოგადოება მოქმედებს მისი მონაწილეების მიერ დამტკიცებული საკუთარი წესდების საფუძველზე, აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

სააქციო საზოგადოების მონაწილე იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს.

მუხლი 19. სახელმწიფო საწარმო

სახელმწიფო საწარმოს აფუძნებს საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მართოს სახელმწიფო ქონება.

სახელმწიფო საწარმოს ქონება, აგრეთვე, სახელმწიფოს შენატანები სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ქონებაში იქმნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებით, სხვა სახელმწიფო საწარმოების შენატანებით, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ყველა კანონიერი შემოსავლით. აღნიშნული ქონება საწარმოს გადაეცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

სახელმწიფო საწარმო არის იურიდიული პირი. იგი თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. სახელმწიფო პასუხს არ აგებს სახელმწიფო საწარმოს ვალდებულებებზე, სახელმწიფო საწარმო კი — სახელმწიფოს ვალდებულებებზე.

სახელმწიფო საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 20. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო

ადგილობრივ საწარმოს აფუძნებს ადგილობრივი მმართველობის ორგანო. ადგილობრივი საწარმოს ქონება, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შენატანები სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთა ქონებაში იქმნება ადგილობრივი ბიუჯეტის, სხვა ადგილობრივი საწარმოების სახსრების და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ყველა კანონიერი შემოსავლის ხარჯზე. აღნიშნული ქონება საწარმოს გადაეცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

ადგილობრივი საწარმო არის იურიდიული პირი. იგი საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო პასუხს არ აგებს ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებებზე, ხოლო ეს უკანასკნელნი — ადგილობრივი საწარმოების ვალდებულებებზე.

მუნიციპალურ საწარმოს აქვს საკუთარი სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 21. საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოს აფუძნებს საზოგადოებრივი ორგანიზაცია (ამ ორგანიზაციის მმართველობის ორგანო).

იგი იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონებით, რომელიც მას გადაეცემა სრულ სამეურნეო გამგებლობაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო არის იურიდიული პირი და საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. საწარმო პასუხს არ აგებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალდებულებებზე, ხოლო ეს უკანასკნელი კი — საწარმოს ვალდებულებებზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმოს აქვს საკუთარი საფირმო სახელწოდება, რომელშიც მითითებულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

მუხლი 22. ქვესაწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლობები

საწარმოს შეუძლია შექმნას ქვესაწარმოები იურიდიული პირის უფლებით, აგრეთვე ფილიალები, წარმომადგენლობები, განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მოქმედებენ საწარმოს მინდობილობით და უფლება აქვთ გახსნან ანგარიშსწორებისა და მიმდინარე ანგარიშები.

ქვესაწარმოები მოქმედებენ დამფუძნებელი საწარმოს მიერ დამტკიცებული წესდების საფუძველზე, ხოლო ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ერთეულები — საწარმოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

ქვესაწარმოები, ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ერთეულები იქმნება იმ წესების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება საწარმოების შექმნისა და რეგისტრაციისათვის.

მუხლი 23. საწარმოთა გაერთიანებები

საწარმოები შეიძლება გაერთიანდნენ კავშირებში, ასოციაციებში, კონცერნებში, დარგთაშორის რეგიონალურ და სხვა სახის გაერთიანებებში. გაერთიანებები იქმნება ნებაყოფლობითი ხელშეკრულების საფუძველზე ურთიერთშორის საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების, მათი უფლებების დაცვის, საწარმოთა სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური შესაძლებლობების გაფართოების მიზნით. დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით გაერთიანებებს შეიძლება გადაეცეთ ცალკეული საწარმოო-სამეურნეო და სხვა ფუნქციები.

გაერთიანება არის იურიდიული პირი. მასში შემავალი საწარმოები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს. გაერთიანებათა მმართველ ორგანოებს არ გააჩნიათ განმკარგულებელი ძალაუფლება იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც შედიან გაერთიანებებში და ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს საწარმოებთან ხელშეკრულების საფუძველზე.

გაერთიანებები იქმნება:

— საწარმოთა გაერთიანებებში ნებაყოფლობითი შესვლისა და გაერთიანების წესდებით განსაზღვრული წესით იქიდან გამოსვლის საფუძველზე;

— ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საფუძველზე;

— გაერთიანების ორგანიზაციული ფორმის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე.

ცალკეული სახის გაერთიანებების არსი და სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

გაერთიანებას აქვს საკუთარი სახელწოდება, რომელშიც მითითებულია მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, გაერთიანების წესდების და დამფუძნებელთა ხელშეკრულების საფუძველზე.

გაერთიანებათა შექმნა, რეგისტრაცია და ლიკვიდაცია ხდება ამ კანონის მიხედვით, საწარმოთათვის დადგენილი წესით.

კარი IV

საწარმოთა საქმიანობის საფუძვლები

მუხლი 24. საწარმოთა საქმიანობის სფერო

საწარმოს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ არის შეზღუდული ამ ან სხვა კანონით, საწარმოს წესდებით, მისი შექმნის შესახებ ხელშეკრულებით, რომელიმე სხვა დამფუძნებელი დოკუმენტით, ან არ არის აკრძალული სხვა წესით.

ზოგიერთი სახის სამეურნეო საქმიანობას, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საწარმო შეიძლება ეწეოდეს მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემთხვევაში.

ლიცენზიების მიღების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა ფიზიკურ, იურიდიულ პირთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელია საქართველოს მთავრობის ნებართვა. ასეთი ნებართვა არ მოეთხოვებათ სხვა სახელმწიფოების იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც აქვთ სურვილი შეიძინონ აქციები აქციონერთა საზოგადოებებისაგან.

მუხლი 25. საწარმოს საქმიანობის საწარმოო პროგრამა

საწარმო დამოუკიდებლად ადგენს თავისი საქმიანობის საწარმოო პროგრამას და განსაზღვრავს განვითარების პერსპექტივებს. სახელმწიფო (ადგილობრივი მმართველობის) ორგანოებთან აუცილებელ შეთანხმებას მოითხოვს იმ ღონისძიებათა გეგმაში შეტანა, რომელთა გატარებამაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ეკოლოგიური, სოციალური, დემოგრაფიული ან სხვა შედეგები იმ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, სადაც საწარმო იმყოფება.

მუხლი 26. ფასები და ფასწარმოქმნა

საკუთარი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და წარმოების ნარჩენების რეალიზაციას საწარმო ახდენს დამოუკიდებლად განსაზღვრული ფასებითა და ტარიფებით ან სახელშეკრულებო ფასებით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სახელმწიფო ფასებით.

სახელმწიფოს უფლება აქვს არეგულიროს ფასები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ პროდუქციისა და რესურსების ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება ფასების სახელმწიფო რეგულირება, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 27. საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობანი

საწარმოს ფინანსური რესურსების შექმნის წყაროებია: მოგება; ამორტიზაციის ანარიცხები; შემოსავლები ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან; შრომითი კოლექტივის წევრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საპაიო ან სხვა შენატანები; აგრეთვე სხვა შემოსულობანი.

საწარმო სარგებლობს ბანკის კრედიტით კომერციულ საფუძველზე. საწარმომ ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება კრედიტი მიიღოს აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან. მას უფლება აქვს გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ნებისმიერ ბანკში, აწარმოოს ანგარიშსწორება სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან როგორც ნაღდად, ისე უნაღდოდ. ნაღდი ანგარიშსწორება სხვადასხვა იურიდიულ პირებთან ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის მიერ საანგარიშებო და საკასო ოპერაციების ჩატარებისათვის დადგენილი წესით.

საწარმო, რომელიც ვერ ასრულებს თავის საანგარიშებო მოვალეობას, შეიძლება სამართლებრივი წესით გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ (გაკოტრებულად) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 28. საწარმოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა

საწარმო დამოუკიდებლად ახორციელებს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. ამ საქმიანობის შედეგად მიღებული სავალუტო ამონაგები ჩაირიცხება საწარმოს სავალუტო ანგარიშზე, სავალუტო მოგებიდან საწარმო იხდის დაწესებულ გადასახადს სახელმწიფო ბიუჯეტში. დარჩენილი სავალუტო მოგება საწარმოს საკუთრებაა და გამოიყენება მისი შეხედულებისამებრ, სახელმწიფო ბიუჯეტში სავალუტო მოგებიდან გადარიცხვების განაკვეთების რეგულირება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს პროდუქციის ჩამონათვალს, რომლის ექსპორტზეც წესდება სახელმწიფო მონოპოლია.

საწარმოს უფლება აქვს ისარგებლოს საზღვარგარეთის ბანკების კრედიტით, აგრეთვე, კომერციული კრედიტით საზღვარგარეთულ ვალუტაზე, შეისყიდოს ვალუტა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან აუქციონებზე და სავალუტო ბირჟებზე კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 29. შრომითი ურთიერთობანი საწარმოში

დაქირავების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის შრომითი კანონმდებლობით.

ამხანაგობის წევრობაზე დამყარებული შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებით და საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კანონმდებლობით. თითოეული მუშაკის შრომითი შემოსავალი განისაზღვრება საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებში მისი შრომითი წვლილის შესაბამისად. შემოსავლების მაქსიმალური სიდიდე განსაზღვრული არ არის.

შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებსა და ოდენობას, აგრეთვე შემოსავლების სხვა სახეებს საწარმო განსაზღვრავს დამოუკიდებლად.

მეწარმე, მიუხედავად საწარმოს საკუთრების სახისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი შრომის ანაზღაურების მინიმუმი, შექმნას შრომისათვის აუცილებელი პირობები და განახორციელოს მუშაკთა სოციალური დაცვა.

მუხლი 30. საწარმოს სოციალური საქმიანობა

საწარმო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს თავისი მუშაკების სოციალური გარანტიების დაცვას. საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მუშაკებისათვის შრომის უსაფრთხო პირობები. იგი დადგენილი წესით პასუხს აგებს მათი ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობისათვის მიყენებული ზიანის გამო.

საწარმოს შეუძლია თავის მუშაკებს დამოუკიდებლად მისცეს დამატებითი შვებულება, დაუწესოს შემოკლებული სამუშაო დღე და სხვა შეღავათები.

მუხლი 31. საწარმოს აღრიცხვა და ანგარიშგება, კომერციული საიდუმლოება და საქმიანობისადმი კონტროლი

საწარმო ვალდებულია აწარმოოს აღრიცხვა და ანგარიშგება სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის და სხვა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ დადგენილი წესით. მონაცემები, რომლებიც არ გაითვალისწინება სტატისტიკური ანგარიშგებით, საწარმოების მიერ შეიძლება გაცემულ იქნეს ხელშეკრულების საფუძველზე ან იმ ორგანოთა მოთხოვნით, რომელთაც კანონმდებლობით უფლება აქვთ გააკონტროლონ საწარმოთა საქმიანობის ცალკეული სფერო.

საწარმო აქვეყნებს თავისი საქმიანობის შესახებ მონაცემებს წლიური ბალანსის ჩათვლით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმწიფო ანგარიშგების დამახინჯებისათვის საწარმოს თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრებათ ადმინისტრაციული, მატერიალური და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საწარმოს კომერციული საიდუმლოებაა წარმოებასთან, ტექნიკურ ინფორმაციასთან, მართვასთან, ფინანსურ და სხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებული ის მონაცემები, რომელთა გამოქვეყნებაც ზიანს მიაყენებს საწარმოს ინტერესებს.

იმ მონაცემების გამოყენებისა და დაცვის წესს, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოს კომერციულ საიდუმლოებას, განსაზღვრავს მეწარმე.

საწარმოთა საქმიანობის იმ სახეების ჩამონათვალს, რომელთა შესახებ მონაცემები არ შეიძლება იყოს კომერციული საიდუმლოება, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დგინდება პასუხისმგებლობა საწარმოს კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებისათვის ან მისი შენახვის წესის დარღვევისათვის.

საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია ტარდება წელიწადში ერთხელ მესაკუთრის ინიციატივით.

საწარმოს მიერ საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ამოწმებს საგადასახადო სამსახური, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მისი შემოწმების შედეგების საფუძველზე — სამართალდამცავი ორგანოები. საწარმოს საქმიანობის ცალკეულ მხარეებს ამოწმებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. შემოწმებათა შედეგები ეცნობება საწარმოს.

საწარმოს უფლება აქვს არ შეასრულოს ამ ორგანოთა მოთხოვნა საკითხებზე, რომლებიც არ შედის მათ კომპეტენციაში და არ გასცეს მათ მასალები, რომლებიც არ ეხება კონტროლის საგანს.

(გაგრძელება მე-4 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ

(დასასრული)

მუხლი 32. საწარმოთა პასუხისმგებლობა

სახელშეკრულებო, საკრედიტო საანგარიშგებო და საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ისეთი საქონლის რეალიზაციისათვის, რომელთა გამოყენებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ასევე სამეწარმეო საქმიანობისათვის დადგენილი სხვა წესების დარღვევისათვის საწარმო პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებით, გარემოს გაჭუჭყიანებით წარმოების უსაფრთხოების წესებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით გამოწვეული ყოველგვარი ზარალი.

კარი V

საწარმოს მართვა

მუხლი 33. საწარმოს მართვის საფუძვლები

საწარმოს მართვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და საწარმოს წესდების საფუძველზე. საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მართვის ორგანოების სტრუქტურას და მათ შესანახ ხარჯებს.

მესაკუთრე თავის უფლებას წარმოების მართვის სფეროში ახორციელებს უშუალოდ ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების (ცალკეული პირების) მეშვეობით.

მესაკუთრეს ან მის მიერ უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მოახდინოს წარმოების მართვის უფლების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება საწარმოს მართვის იმ უმაღლესი ორგანოსადმი, რომელიც გათვალისწინებულია მის წესდებაში (საბჭო, გამგეობა და ა. შ.).

ცალკეული სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების მართვა ხორციელდება საწარმოს წესდებით და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 34. საწარმოს ხელმძღვანელი

საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) წარმოადგენს მესაკუთრის უფლებას. ამ უფლების რეალიზაცია მის მიერ ხდება უშუალოდ, აგრეთვე მის მიერ უფლებამოსილი იმ ორგანოების მეშვეობით, რომელთაც დელეგირებული აქვთ საწარმოს მართვის უფლება.

სხვადასხვა დამფუძნებლის მიერ შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) ხდება დამფუძნებელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, საწარმოს ქონებაში მათი წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით.

საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავების (დანიშვნის, არჩევის) დროს მასთან იდება ხელშეკრულება (კონტრაქტი), სადაც მას განესაზღვრება: უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა ქონების მესაკუთრისა და საწარმოს მუშაკთა მიმართ, შრომის ანაზღაურების პირობები, კონტრაქტის ვადა, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების პირობები.

საწარმოს ხელმძღვანელი მინდობილობის გარეშე მოქმედებს საწარმოს სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს, განაგებს ქონებას, დებს ხელშეკრულებებს (მათ შორის შრომითს), გასცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს, სარგებლობს საწარმოს სახსრების განკარგვის უფლებით, ამტკიცებს შტატებს, გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება აუცილებელია საწარმოს ყველა მუშაკისათვის.

კარი VI

საწარმოს შექმნისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის ზოგადი პირობები

მუხლი 35. საწარმოს შექმნის წესი

საწარმო შეიძლება შეიქმნას ქონების მესაკუთრის (მესაკუთრეების), მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით, აგრეთვე საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა გამო საწარმოთა იძულებითი გაყოფის გზით.

საწარმოს შექმნის წესი / და თანამიმდევრობა განისაზღვრება ამ კანონით და ცალკეული სახის საწარმოების შესახებ შესაბამისი კანონებითა და მათი შექმნის მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 36. საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტები

საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებია წესდება და გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება.

წესდებაში მოცემულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დასახელება, იურიდიული სტატუსი, ადგილმდებარეობა, საქმიანობის მიმართულებანი და საგანი, მართვის და კონტროლის ორგანოები, მოგების განაწილებისა და საწარმოს ფონდების წარმოქმნის წესი, საწარმოს რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის პირობები. სხვადასხვა სახის საწარმოთა წესდებაში შესაძლებელია სხვაგვარი მონაცემების შეტანაც. წესდებას ამტკიცებს დამფუძნებელი (დამფუძნებლები).

დამფუძნებელი დოკუმენტების შინაარსი, ფორმა და დამტკიცების წესი განისაზღვრება იმ ნორმატიული აქტებით, რომლებიც ახდენენ ცალკეული სახის საწარმოთა შექმნის რეგლამენტაციას.

მუხლი 37. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია

საწარმო დაფუძნებულად ითვლება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. არარეგისტრირებული საწარმოს საქმიანობა აკრძალულია. არარეგისტრირებული საწარმოს შემოსავალი ამოიღება სასამართლოს წესით და შეიტანება ადგილობრივ ან სახელმწიფო ბიუჯეტში.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციას საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ახორციელებენ რაიონის და ქალაქის მმართველობის ორგანოები, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში — მმართველობის რაიონული ორგანოები.

სხვადასხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო იქმნება სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, მის რეგისტრაციას ახდენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

სახელმწიფო რეგისტრაციისათვის საწარმო იხდის სარეგისტრაციო გადასახადს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ რეგისტრირებულ საწარმოებს სარეგისტრაციო გადასახადი შეაქვთ ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში — რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის შესაბამის ორგანოს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

დამფუძნებლის (დამფუძნებლების) განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ;

საწარმოს წესდება;

გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება;

მოწმობა სარეგისტრაციო გადასახადის გადახდის შესახებ.

გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან არგატარების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ყველა საჭირო დოკუმენტის ჩაბარებიდან ოცდაათი დღის ვადაში.

იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელ დოკუმენტებში შევა ცვლილებები ან დამატებები, აგრეთვე საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის შემთხვევაში, აუცილებელია მოხდეს საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. საწარმო ხელახალ რეგისტრაციას ექვემდებარება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი კანონით დადგენილი წესით გაიყიდება, გაიცემა იჯარით ან სხვა წესით გადაეცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ან სახელმწიფოს.

საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები რეგისტრაციაში გამტარებელმა ორგანომ ათი დღის განმავლობაში უნდა აცნობოს საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილ იმ ორგანოს, რომელსაც ევალება სახელმწიფო რეესტრის წარმოება.

მუხლი 38. უარი საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციაზე

საწარმოს შეიძლება უარი ეთქვას სახელმწიფო რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელი დოკუმენტები არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სხვა ნებისმიერი მოტივით რეგისტრაციაზე უარის თქმა არაკანონიერია.

შესაბამისი ორგანო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში წერილობითი ფორმით აცნობოს საწარმოს დამფუძნებელს თავისი გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან მასზე უარის შესახებ.

საწარმოს რეგისტრაციაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს, დამფუძნებელს შეუძლია სასამართლოს წესით აანაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მიაყენა შესაბამისი ორგანოს არაკანონიერმა გადაწყვეტილებამ.

მუხლი 39. ნებართვა მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსების გამოყოფის შესახებ

იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს საქმიანობისათვის საჭიროა მიწის ნაკვეთის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფა, ნებართვას გასცემს საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო.

მმართველობის აღნიშნული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფის შესახებ მეწარმის განცხადების საფუძველზე. მმართველობის ეს ორგანო ვალდებულია განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში განიხილოს საკითხი მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფის შესახებ და მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით სამი დღის განმავლობაში აცნობოს საწარმოს დამფუძნებელს.

მმართველობის ორგანოს შეუძლია არ გასცეს მიწა ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსი იმ შემთხვევაში, თუ:

საწარმოს მავნე გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და ბუნებაზე აღემატება საქართველოს რესპუბლიკას კანონმდებლობით დადგენილ ეკოლოგიურ და სამედიცინო ნორმებს;

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საწარმოს დამფუძნებელს უფლება აქვს გაასაჩივროს მმართველობის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსების გამოყოფაზე უარის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფიდან ერთი წლის განმავლობაში საწარმო არ იქნება რეგისტრირებული დამფუძნებლის (დამფუძნებლების) მიერ, გადაწყვეტილება კარგავს ძალას.

მუხლი 40. საწარმოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

საწარმოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს მესაკუთრის ან მისი უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით. საწარმოს ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს აგრეთვე სასამართლომ და საარბიტრაჟო სასამართლომ საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში საწარმოს შეიძლება აეკრძალოს საქმიანობა, თუ მან განსაზღვრულ დროში ვერ უზრუნველყო ამ მოთხოვნათა დაცვა.

საწარმო ლიკვიდირებულად ან რეორგანიზებულად ითვლება სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრიდან მისი ამოღების მომენტიდან.

საწარმოს რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს საწარმოთა ურთიერთშერწყმის ან მათი დაყოფის გზით. როგორც ურთიერთშერწყმის, ისე დაყოფის შემთხვევაში რეორგანიზებული საწარმოს ქონებრივი უფლებები და მოვალეობები გადადის ახლადშექმნილ საწარმოზე.

საწარმოს ლიკვიდაცია ხორციელდება სალიკვიდაციო კომისიის ან სხვა ორგანოს მიერ, რომელსაც ამ მიზნით ქმნის საწარმოს ქონების მესაკუთრე ან მისი რწმუნებული ორგანო. მათი გადაწყვეტილებით ლიკვიდაცია შეიძლება დაეკისროს თვით საწარმოს მართვის ორგანოსაც.

საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში მისი ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

სალიკვიდაციო კომისიის (ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანოს) დანიშვნის მომენტიდან საწარმო იღებს სალიკვიდაციო საწარმოს სტატუსს: საწარმოს მართვის ორგანოებს ერთმევათ უფლებამოსილება; საწარმოს მართვის ორგანოების ფუნქციებს ასრულებს სალიკვიდაციო კომისია ან ლიკვიდაციის განმახორციელებელი სხვა ორგანო; საწარმოს უფლება ეძლევა განახორციელოს მხოლოდ ისეთი გარიგებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სალიკვიდაციო საწარმოს საქმიანობის მარეგლამენტირებელ კანონებს.

მესაკუთრე, სასამართლო ან ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებისა და დამფუძნებელი დოკუმენტების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ადგენს ლიკვიდაციის წესს და ვადას, რომლის ხანგრძლივობაც როგორც წესი, არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები ლიკვიდაციის შესახებ განცხადების გამოქვეყნების მომენტიდან.

სალიკვიდაციო კომისია ან სხვა ორგანო, რომელიც ახორციელებს საწარმოს ლიკვიდაციას, საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს განცხადებას ლიკვიდაციის და კრედიტორების პრეტენზიების წარმოდგენის ვადებისა და წესის შესახებ; სალიკვიდაციო კომისია ვალდებულია ამოიღოს საწარმოს დებიტორული დავალიანებები და გამოავლინოს კრედიტორთა პრეტენზიები; იგი აფასებს საწარმოს სახეზე არსებულ ქონებას; ახდენს ანგარიშსწორებას კრედიტორებთან; ადგენს სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს მას მესაკუთრეს ან სალიკვიდაციო კომისიის შემქმნელ ორგანოს.

მუხლი 41. კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილება

კრედიტორთა პრეტენზიები სალიკვიდაციო საწარმოსადმი კმაყოფილდება ამ საწარმოს ქონებიდან, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, უწინარეს ყოვლისა, იფარება ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე.

პრეტენზიების წარმოსადგენად დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ გამოვლენილი და წარმოდგენილი პრეტენზიები კმაყოფილდება საწარმოს ქონებიდან, რომელიც დარჩა პირველი რიგის პრეტენზიების, გამოვლენილი პრეტენზიების, აგრეთვე, დადგენილ ვადაში განცხადებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ.

ქონების უკმარისობის გამო დაუკმაყოფილებელი პრეტენზიები დაფარულად ითვლება. დაფარულად ითვლება აგრეთვე პრეტენზიები, რომლებიც სალიკვიდაციო კომისიამ ან ლიკვიდაციის განმახორციელებელმა სხვა ორგანომ არ ცნო კანონიერად და კრედიტორებმა მას შემდეგ, რაც მიიღეს შეტყობინება პრეტენზიების მთლიანად ან ნაწილობრივ არცნობის შესახებ, ერთი თვის განმავლობაში არ შეიტანეს სარჩელი სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო.

საწარმოს ლიკვიდაციის დროს ხორციელდება დროითი გადასახდელების კაპიტალიზაცია, რომლებიც ამ საწარმოს მართებს მოქალაქისათვის დასახიჩრების, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების მიყენების ან მისი გარდაცვალების გამო.

საწარმოს ლიკვიდაციის დროს, მის მუშაკებს კუთვნილი ანაზარი მიეცემათ ფულადი ფორმით ან ფასიანი ქაღალდებით კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ.

კრედიტორებისა და საწარმოს მუშაკთა პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება მესაკუთრის მითითებისამებრ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბრძანებულება

პროექტი

„საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“

ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობათა საფუძვლების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. იმ სატრანსპორტო საშუალებების ანუ ყველა სახეობის ავტომობილების, ტრაქტორების და სხვა თვითმავალი მანქანების, ტრამვაისა და ტროლეიბუსების, აგრეთვე მოტოციკლებისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის, რომლებიც გადაკეთებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე, ან არ არის რეგისტრირებული დადგენილი წესით, ან გავლილი არ აქვს სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, ან არ აქვთ მარკირებული მაშუქები და საქარე მინები, ან აღჭურვილი არიან ისეთი ტონირებული მინებით, რომელთა შუქგამტარობა არ შეესაბამება დადგენილ ნორმატივებს, ან სამუშაო საათების შემდეგ, ღამით სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალების გარაჟის გარეთ დაყენებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალების არადანიშნულებით გამოყენებისათვის, მძღოლები დაჯარიმდებიან ორმოცდაათი მანეთით.

მძღოლების მიერ ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა, რომელთა ექსპლოატაცია აკრძალულია, ან ისეთი ავტომოტოსატრანსპორტო და სხვა თვითმავალ საშუალებათა ექსპლოატაცია. რომელთა გამონაფრქვევში მავნე ნივთიერებათა შემცველობა ან მათი ხმაურის დონე აღემატება დადგენილ ნორმატივებს (თუ იგი გამოწვეულია მძღოლების მიერ აღნიშნულ საშუალებათა დაუდევარი ექსპლოატაციით), გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდაათი მანეთით.

ქარხანა-დამამზადებლის მიერ გათვალისწინებული უსაფრთხოების ღვედების ან მოტოჩაფხუტების ხმარების წესების დარღვევისათვის მძღოლები დაჯარიმდებიან ოცდაათი მანეთით.

2. სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები დადგენილი სიჩქარის გადაჭარბებისათვის (მოძრაობის სიჩქარე შოწმდება სპეციალური და გადასაადგილებელი გამზომი ტექნიკური საშუალებების მეშვეობით), შუქნიშნის ან მარეგულირებლის ამკრძალავი სიგნალების უგულებელყოფისათვის, ტროტუარებსა და ქვეითად მოსიარულეთა ბილიკებზე მოძრაობისათვის, პრიორიტეტის, ამკრძალავი და მიმთითებელი საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნების მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის, მოძრაობის უპირატესობის მიკუთვნების, მგზავრთა გადაყვანის, გასწრების, სატრანსპორტო საშუალებათა გაჩერების ან ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელების გავლის, დღე-ღამის ბნელ დროს ან არასაკმარისი ხილვადობისას სანათი ხელსაწყოების გამოყენების წესების ან ხმოვანი სიგნალების მიცემის წესების ბოროტად არაერთჯერადი დარღვევისათვის, ან წესების დარღვევისათვის, რომლებმაც გამოიწვიეს ავარიული მდგომარეობის შექმნა, დაჯარიმდებიან ასი მანეთით, ან სამი თვით ეკრძალებათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა.

3. მოტოციკლებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, რომელიც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან ქმნის საავარიო მდგომარეობას, ჯარიმდებიან ორასი მანეთით ან ეკრძალებათ სატრანსპორტო საშუალებათა მართვა ექვსი თვით.

4. რკინიგზის გადასასვლელების გავლის წესების დარღვევისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები დაჯარიმდებიან ორასი მანეთით ან ეკრძალებათ სატრანსპორტო საშუალებების მართვა ექვსი თვით.

5. სატრანსპორტო საშუალებათა მთვრალ მდგომარეობაში მართვისათვის, ასევე სატრანსპორტო საშუალების მთვრალ მდგომარეობაში მყოფ პირზე სამართავად გადაცემისათვის, სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები დაჯარიმდებიან შვიდასი მანეთით ან ეკრძალებათ ყველა სახის (კატეგორიის) სატრანსპორტო საშუალებათა მართვა ერთი წლიდან სამ წლამდე ვადით, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების არმქონე პირები დაჯარიმდებიან რვაასი მანეთით.

დადგენილი წესის თანახმად სიმთვრალის შემოწმებაზე თავის არიდებისათვის, დადგენილი წესის დარღვევით იმ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვებისათვის, რომლის მონაწილენიც თვითონ არიან, სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების შესახებ მილიციის მუშაკების მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის, სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები ჯარიმდებიან ერთი ათასი მანეთით ან ერთიდან სამ წლამდე ეკრძალებათ ყველა სახის (კატეგორიის) სატრანსპორტო საშუალებათა მართვა.

შენიშვნა: მილიციის მუშაკის მოთხოვნა სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ გამოიხატება სიგნალის მიცემით, ხელის ჟესტით ან კვერთხით ერთდროულად სიგნალის მიცემით წივილით, აგრეთვე ხმამაღლა მოლაპარაკე / მოწყობილობით ისე, რომ ამ მოთხოვნათა შესრულებამ არ შექნას ავარიული მდგომარეობა.

6. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის არ შეიძლება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის აკრძალვა იმ პირთათვის, რომლებიც ამ საშუალებებით სარგებლობენ ინვალიდობასთან დაკავშირებით, გამონაკლისს შეადგენს სატრანსპორტო საშუალების მართვა მთვრალ მდგომარეობაში.

7. ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული დარღვევების გარდა საგზაო მოძრაობის წესების სხვა დარღვევებისათვის მძღოლები დაჯარიმდებიან ოცდაათი მანეთით.

8. სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირების მიერ, რომლებსაც თან არ აქვთ მძღოლის მოწმობა ან მართვის დროებითი ნებართვა, ან სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტები, ექვემდებარება ჯარიმას ოცდაათი მანეთით.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვა იმ პირების მიერ, რომლებსაც აკრძალული აქვთ ამ საშუალებათა მართვის უფლება, ექვემდებარება ჯარიმას ერთი ათასი მანეთის ოდენობით.

9. მძღოლები ან სხვა პირები, რომლებიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს და რომელთა მიმართ არსებობს საკმაო საფუძველი იმისა, რომ ისინი მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებიან, ექვემდებარებიან სატრანსპორტო საშუალების საჭიდან ჩამოცილებას და სიმთვრალეზე შემოწმებას.

10. ქვეითები საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნათა უგულებელყოფისათვის, სავალ ნაწილზე უადგილო ადგილზე გადასვლისათვის, აგრეთვე გზით მოსარგებლე პირები, რომლებიც მართავენ ველოსიპედებს, მოპედებს, საჭაპანო ტრანსპორტს და სხვას, საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი საშუალებების პრიორიტეტის, ამკრძალავი ან მიმთითებელი საგზაო ნიშნების მოთხოვნათა უგულებელყოფისათვის, ექვემდებარებიან გაფრთხილებას ან დაჯარიმდებიან ათი მანეთით.

ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული პირები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა ავარიული მდგომარეობის შექმნა, ადამიანთათვის ზარალის მიყენება, ასევე სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთის, გზების, საგზაო ნაგებობათა ან სხვა ქონების დაზიანება, დაჯარიმდებიან ორმოცდაათიდან ას მანეთამდე.

11. საგზაო მოძრაობის მონაწილეთა მიერ წესების დარღვევები, რომლებმაც ადამიანებს ზარალი მიაყენეს, ასევე გამოიწვიეს სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთის, გზების, რკინიგზის გადასასვლელების, საგზაო ნაგებობათა და საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებათა ან სხვა ქონების დაზიანება, ასევე საგზაო მოძრაობაში წინასწარგანზრახული შეფერხებათა შექმნა, მათ შორის გზის საფარის გაჭუჭყიანებით, გზების სავალ ნაწილზე პირუტყვის უმეთვალყუროდ დატოვება, რამაც გამოიწვია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, ექვემდებარება ჯარიმას ორასი მანეთით, ან სატრანსპორტო საშუალებების მართვის აკრძალვას ექვსი თვით.

12. სატრანსპორტო საშუალებათა ისეთი ტექნიკური უწესივრობებით ხაზზე გაშვებისათვის, რომლის დროსაც აკრძალულია მათი ექსპლოატაცია, ან არ გააჩნია მარკირება, ან გადაკეთებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე, ან გამონაფრქვევში აღნიშნებათ გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმებს, ან არ გაუვლიათ სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, საწარმოთა, დაწესებულებათა, კოოპერატივთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ან სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლოატაციისათვის პასუხისმგებელი სხვა თანამდებობის პირები დაჯარიმდებიან ასი მანეთით.

სატრანსპორტო საშუალებათა სამართავად მთვრალ მდგომარეობაში მყოფ მძღოლთა ან სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების არმქონე პირთა დაშვებისათვის, ასევე იმ სატრანსპორტო საშუალებათა ხაზზე გაშვებისათვის, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული სათანადო წესით ან აქვთ სხვა სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშანი, ამ მუხლში მითითებული თანამდებობის პირები დაჯარიმდებიან სამასი მანეთით.

მოძრავი შემადგენლობით, გზებისა და ქუჩების, რკინიგზის გადასასვლელებისა და სხვა საგზაო ნაგებობათა შენახვისა და ექსპლოატაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ მიცემულ მითითებათა შეუსრულებლობისათვის, ასევე არსებული ნორმატივების უგულებელყოფის ტონირებული მინების დამზადებისათვის ან სახელმწიფო ავტოინსპექციის შესაბამისი ნებართვის გარეშე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების სარემონტოდ მიღებისათვის საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელები დაჯარიმდებიან ორასი მანეთით.

13. გზების, რკინიგზის გადასასვლელებისა და სხვა საგზაო ნაგებობათა უსაფრთხო მოძრაობისათვის საჭირო მდგომარეობაში შენახვის წესების დარღვევისათვის, ან გზების ცალკეულ უბნებზე მოძრაობის დროულად აკრძალვის ან შეზღუდვის მიზნით ღონისძიებათა გაუტარებლობისათვის, როცა ამ გზებით სარგებლობა საფრთხეს უქმნის მოძრაობას, გზების, რკინიგზის გადასასვლელებისა და სხვა საგზაო ნაგებობების მდგომარეობისათვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირები დაჯარიმდებიან ორასი მანეთით.

საწარმო-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოოპერატივთა, ხელმძღვანელები და სხვა პირნი, რომლებიც თვითნებურად მოაწყობენ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებთან მიერთებას, ან აწარმოებენ გზის ღერძიდან 100 მეტრზე ახლოს სხვადასხვა ობიექტის მშენებლობას, ან გადათხრიან მის სავალ ნაწილს სათანადო შეთანხმების გარეშე, დაჯარიმდებიან ორასი მანეთით.

14. 16-დან 18 წლამდე ასაკის პირები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ექვემდებარებიან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საერთო საფუძველზე.

16 წლამდე ასაკის პირთა მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, ამ ბრძანებულების შესაბამისად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ მშობლებს ან მშობლების შემცვლელ პირებს ან სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს.

15. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დამნაშავე მოქალაქენი და თანამდებობის პირნი ექვემდებარებიან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, თუ ეს დარღვევები, თავისი ხასიათის მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

16. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე ოქმს ადგენს მილიციის მუშაკი.

ისეთი დარღვევის დროს, რომლისთვისაც ამ ბრძანებულების შესაბამისად შეიძლება დამრღვევს დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი ჯარიმის ან სატრანსპორტო საშუალებათა მართვის აკრძალვის სახით, მას ჩამოერთმევა მძღოლის მოწმობა სასჯელის სისრულეში მოყვანამდე, რის შესახებაც კეთდება ჩანაწერი სამართალდარღვევის ოქმში, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის დროებით ნებართვაში, რომელიც მიეცემა მძღოლს ჩამორთმეული მოწმობის ნაცვლად.

იმ შემთხვევაში, როცა დამრღვევი პირი არ დავობს ჩადენილი დარღვევისათვის განსაზღვრული ადმინისტრაციული სასჯელის გამო (გაფრთხილება ან ჯარიმა არა უმეტეს 30 მანეთისა) ოქმი შეიძლება არ შედგეს. ამ შემთხვევაში დაკისრებული ჯარიმა შეიძლება ამოღებულ იქნეს მილიციის თანამშრომლის მიერ უშუალოდ დარღვევის ადგილზე. ჯარიმის გადახდის შესახებ დამრღვევს ეძლევა დადგენილი ნიმუშის ქვითარი, რომელიც მკაცრი საფინანსო აღრიცხვის დოკუმენტია.

17. იმ შემთხვევაში, როცა მძღოლი არ ემორჩილება მილიციის მუშაკების მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ და როცა ეს მოთხოვნა მათ არაერთხელ გამოხატეს დადგენილი წესით, მილიციის მუშაკს უფლება აქვს სატრანსპორტო საშუალების იძულებითი გაჩერებისათვის გამოიყენოს სპეციალური ტექნიკური საშუალებანი (გამოდევნება, სავალი ნაწილის ფიზიკური ჩაღობვა და ა. შ.).

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა აღკვეთის, ოქმის შედგენის, საქმის დროული და სწორი განხილვის უზრუნველყოფისა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების შესრულების მიზნით მილიციის მუშაკი უფლებამოსილია სამართალდამრღვევი პირი ადმინისტრაციული წესით დააკავოს არა უმეტეს სამი საათისა.

სატრანსპორტო საშუალებათა იძულებით გაჩერებას, სატრანსპორტო საშუალებათა საჭიდან პირების ჩამოშორებას, მძღოლის მოწმობის ჩამორთმევასა და დაბრუნებას, სატრანსპორტო საშუალებათა დროებითი მართვის ნებართვის გაცემას, იმ სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის აკრძალვას, რომლებსაც გააჩნიათ ისეთი უწესივრობანი, ასევე საბურავები, რომლებიც არ შეესაბამება საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნებს და საშიშროებას უქმნის მოძრაობას, ან რომლებიც გადაკეთებულია შესაბამისი ნებართვის გარეშე, ან არ აქვთ გავლილი სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, ახორციელებენ შინაგან საქმეთა ორგანოების ამ საქმის რწმუნებული თანამდებობის პირები საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილი წესით.

18. საქმეებს დარღვევათა შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების 1-6 და მე-8 მუხლებით, მე-10 მუხლის მეორე ნაწილით, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებით, განიხილავენ სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილების (განყოფილების, სამმართველოს) უფროსები ან მათი მოადგილეები. თუ სარაიონო და საქალაქო შინაგან საქმეთა განყოფილებაში არ არის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ქვეგანყოფილება (განყოფილება), აღნიშნულ საქმეებს განიხილავენ შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე. საქმეებს დარღვევათა შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია ამ ბრძანებულების 1 მუხლის მეორე და მესამე ნაწილით, მე-7 მუხლით, მე-10 მუხლის პირველი ნაწილით, განიხილავენ ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების გარდა სახელმწიფო ავტოინსპექციის სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც საგზაო მოძრაობაზე ზედამხედველობას ახორციელებენ.

19. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების შესახებ საქმეები განიხილება დარღვევის ადგილზე, ხოლო საქმეები ისეთ დარღვევებზე, რომლისთვისაც კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალებათა მართვის აკრძალვა — სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის ან დამრღვევის საცხოვრებელ ადგილზე სათანადო შეტყობინების შემდეგ, მისი თანდასწრებით საქმის მიღებიდან არაუმეტეს 15 დღის განმავლობაში, ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრღვევის გარეშე.

20. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დადებული ჯარიმა 5 დღის ვადაში შეიტანება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში, გამონაკლისს შეადგენს სამართალდარღვევის ადგილზე ამოღებული თანხა.

დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, იგი ამოღებული იქნება იძულებითი წესით დამრღვევი პირის ხელფასიდან ჯარიმის დამდები ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ ჯარიმის დადების შესახებ გამოტანილ დადგენილების საფუძველზე. ჯარიმის გადახდას ვადის გადაცილებისათვის გადასახდელ თანხას დაერიცხება საურავი ერთი პროცენტის ოდენობით თითოეულ გადაცილებულ დღეზე.

თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს, ან ჯარიმის ამოღება დამრღვევი პირის ხელფასიდან შეუძლებელია სხვა მიზეზების გამო, მაშინ ჯარიმის ამოღება ხდება სასამართლო აღმასრულებლის მიერ დამრღვევი პირის პირადი ქონებიდან, დამაჯარიმებელი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ ჯარიმის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე.

21. მძღოლი ითვლება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლებაჩამორთმეულად ამ აკრძალვის შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან. თუ მძღოლმა არ ჩააბარა მძღოლის მოწმობა და მართვის აკრძალვის პერიოდში დაკავებული იქნა სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის — აკრძალვის ვადა ამ დაკავების დღიდან გამოითვლება.

22. თუ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაჩამორთმეული პირი შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას იჩენს და სამაგალითოდ იქცევა, სასჯელის დამდებ ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის შუამდგომლობის შემთხვევაში, შეუძლია შეუმციროს მართვის აკრძალვის ვადა ამ ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ.

23. საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი პირი შეიძლება განთავისუფლდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და მის შესახებ მასალები განსახილველად გადაეცეს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან შრომითი კოლექტივის ამხანაგურ სასამართლოს, თუ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მის მიმართ გატარდეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა:

ამ ბრძანებულების მე-18 მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან დამრღვევის სამუშაო ადგილის მიხედვით მიაწოდონ ინფორმაცია შესაბამის ადმინისტრაციას და შრომით კოლექტივს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ამ ბრძანებულების 1, 4, 5 მუხლების, მე-8 მუხლის მეორე ნაწილით, მე-10 მუხლის მეორე ნაწილით, მე-12 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომების გატარების შესახებ.

23^1. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ადმინისტრაციებს პროფკავშირების კომიტეტებთან შეთანხმებით შეუძლიათ ნაწილობრივ შეუმცირონ ან საერთოდ არ მისცენ წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით განსაზღვრული პრემია ან ჯილდო, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შეღავათიანი საგზურები იმ პირებს, რომელთა მიმართ წინამდებარე ბრძანებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის გატარდა სასჯელის ადმინისტრაციული ზომები; მათ შეუძლიათ აგრეთვე შეცვალონ აღნიშნული პირების მიერ საცხოვრებელი ბინისა და ავტომობილის მისაღები რიგითობა.

24. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1991 წლის 1 ივნისიდან.

25. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 241^1 მუხლის, I, II და IV ნაწილებში გათვალისწინებული ჯარიმების ნაცვლად დაწესდეს ჯარიმა ერთი ათასი მანეთი.

ფიქრი

მთავარზე კი არცერთი სიტყვა!

მიმდინარეობს თუ არა ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნა (ქვეყანაში ტრადიციით ვგულისხმობ საბჭოთა კავშირს, რომლის შემადგენლობაშიაც საქართველო, სადაც მაქვს ბედნიერება ვიცხოვრო, მადლობა ღმერთს, მგონი, გამოდის)? იდეოლოგიური თვალსაზრისით, — რა თქმა უნდა: დაემხო კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობა, ადამიანები განთავისუფლდნენ წარსულის მრავალი შავბნელი აჩრდილისაგან, მაგრამ... ამას არ მოჰყოლია მეურნეობის გარდაქმნა. იღებდნენ გადაწყვეტილებებს, სახავდნენ პროგრამებს — და ყოველივე ეს ქარს მიჰქონდა. რატომ? იმიტომ, რომ დღემდე არ არის ისეთი მექანიზმები, რომლებიც აამოქმედებდნენ ამ პროგრამას. შვიდი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა იმპერიაში შექმნილი უდიდესი ძალაა მისი უდიდებულესობა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა, რომელსაც მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებს: დაამუხრუჭოს გარდაქმნა, — იმდენად სულელი როდია, რომ არ ჰქონდეს შეგნებული: საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბების შედეგად იგი ავტომატურად კარგავს ყველა თავის პრივილეგიას. მეორე მხრივ, სულ უფრო მძლავრად იჩენენ თავს დემოკრატიული ძალები, ფართო ასპარეზზე გამოდიან დემოკრატიული პარტიები, რომლებიც იზიდავენ ხალხს. ისინი იკრებენ ძალას, მათზე უკვე ძნელია ხელჩაქნევით, აგდებულად და დაცინვით თქვა „ეგრეთ წოდებული დემოკრატები". აი, უკვე, მათ ელცინიც პრეზიდენტად გაიყვანეს... თუმცა, მძლავრი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა, და თანაც, კავშირში არანაკლებ მძლავრი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ალბათ, შეძლებენ ელცინის „ჭკუაზე მოყვანას", მაგრამ, თუ ვერ შეძლეს? ჩვენთვის იოლი სათქმელია — აღდგომა და ხვალაო; მაგრამ დემოკრატები ხომ არ თვლემენ. მაშასადამე, მაქსიმალურად უნდა გავუტეხოთ სახელი საერთოდ დემოკრატებს, მთელი მათი პარტიებითა და სხვა ორგანიზაციებით.

მაინც, რა უნდა ვიღონოთ. ჰოდა, დემოკრატიული კავშირის პარტიის მოსკოვის ორგანიზაციის გაზეთი „გრაჟდანსკი პუტ" — „სვობოდნოე სლოვო" ბეჭდავს კონსტანტინე გოლოდიაევის სტატიას, პირდაპირ გენიალური სათაურით: „დემოკრატია თუ დემონიზმი?" უკვე სათაურიდან აშკარად ჩანს, რომ, რა თქმა უნდა — „დემონიზმი", თორემ რა საჭირო იყო საერთოდ ასეთი კითხვის დასმა?

გოლოდიაევის აზრით, გარდაქმნის მზე სადაცაა ჩაესვენება. ამავე დროს კი, ჩვენთან ნამდვილი გარდაქმნა ჯერ კიდევ წინაა. გარდაქმნის მოთავეებს, როგორც ჩანს, მთლად კარგად არ ჰქონდათ შეგნებული ის, თუ, კერძოდ, რის გარდაქმნას აპირებდნენ. სოციალიზმის? მაგრამ, იგი ჩვენს ქვეყანაში ხომ არასდროს არ ყოფილა, — მხოლოდ სტალინის დროს მეტ-ნაკლები წარმატებით მოქმედებდა მისი მხეცური საყაზარმო ორეული, რომელიც დაფუძნებული იყო ყოვლად უდანაშაულო მილიონობით ადამიანის სისხლზე. ეგრეთ წოდებული „უძრაობის" ეპოქაში კი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა, რომელმაც თავი დააღწია თავისი ბელადის ტირანიას, ქვეყანას ფაქტობრივად არ მართავდა, და თავისი უმოქმედობით, აგრეთვე იმ მწირი სიმდიდრის გაფლანგვით, რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა, ნელ-ნელა, მაგრამ დამაჯერებლად უბიძგებდა ქვეყანას უფსკრულისაკენ, რომელშიც იგი უკვე დღეს იჩეხება.

იბადება კითხვა, განა შეიძლება იმის გარდაქმნა, რაც საერთოდ არ აშენებულა? ალბათ, სწორედ ეს იგრძნეს, და ჩვენში ალაპარაკდნენ სოციალიზმზე „ადამიანური სახით" (რითაც, არსებითად, აღიარებენ, რომ აქამდე ყოფილა სოციალიზმი „არაადამიანური სახით". რადგან ასეთი რამ საერთოდ შეუძლებელია, საქმე გვაქვს უარყოფასთან დასამტკიცებელის აბსურდამდე დაყვანის გზით).

ნამდვილი გარდაქმნა ჩვენში უნდა დაიწყოს მაშინ, როცა ყოვლისშემძლე ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა ძირფესვიანად დაინგრევა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ სერიოზულად მეურნეობის გაძღოლის საბაზრო სისტემის განვითარებაზე, მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა ნამდვილად ქმედითი ხასიათი დასავლეთის დახმარებას. დღეს ამას ელის ჩვენგან მთელი მსოფლიო, მაგრამ ამაზე, მთავარზე, გოლოდიაევის სტატიაში ერთ სიტყვასაც კი ვერ ვნახავთ. სამაგიეროდ, ღვარძლი დემოკრატიული პარტიების მიმართ — რამდენიც გნებავთ. აი, მაგალითად, ვ. ნოვოდვორსკაია — დემოკრატიულ კავშირში „რევოლუციური ფრთის" იდეოლოგი (ჰა-ჰა!) „ვილნიუსში იანვრის სისხლიანმა მოვლენებმა აავსეს მისი მოთმინების ფიალა, გადმოანთხიეს არაძალადობრივი ზნეობრივი წინააღმდეგობის იდეაც". გრძნობთ ბოროტ ქირქილს? წავიკითხოთ შემდეგ: „ყოფილი „განდისტი" მოიცვა რისხვამ, არა აქვს მნიშვნელობა სამართლიანმა, თუ უსამართლომ" (ეს როგორ გავიგოთ? რატომ არა აქვს მნიშვნელობა? მაგრამ, აი, თურმე, საქმე რა ყოფილა?! მომდევნო ფრაზა ყველაფერს ნათელს ფენს: „სამართლიანი რისხვა საერთოდ არ არსებობს"). აი, რა მწყრალად ყოფილა ლოგიკასთან საბრალო გოლოდიაევი! თუ სამართლიანი რისხვა საერთოდ არ არსებობს, მაშ, რატომ ამბობს იგი: — „არა აქვს მნიშვნელობა სამართლიანმა, თუ უსამართლომო"? მაშასადამე, მაინც ყოფილა სამართლიანი რისხვა! და სულაც არ არის „უმნიშვნელო" სამართლიანია თუ არა ნოვოდვორსკაიას, ნამდვილი რუსი პატრიოტის რისხვა, რომლის სულში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის და მის ფარგლებს გარეთაც მცხოვრები ყველა წესიერი ადამიანის სულში, ბობოქრობს რისხვა იანვრის სისხლისღვრის გამო, — ჩვენი გოლოდიაევისაგან განსხვავებით, რომელიც ნოვოდვორსკაიას ფრჩხილადაც არ ღირს. როცა მოსკოვში რამდენიმე გაბედულმა ახალგაზრდამ გამართა მჯდომარე საპროტესტო დემონსტრაცია ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეჭრის წინააღმდეგ, გამვლელები კი მათ პანღურებით უმასპინძლდებოდნენ (მათ შორის ვიქტორია ნოვოდვორსკაიასაც), ამ გამვლელებს შორის შემთხვევით გოლოდიაევიც ხომ არ იყო? თუ არ იყო, ალბათ, რა თქმა უნდა, შემთხვევით. ეჰ, როგორ მინდა ვნახო, თუ მკითხველის რისხვა, რომელიც მიხვდება გოლოდიაევის ორპირობასა და სიყალბეს, როგორ დაატყდება მის ჭკვიან თავს...

მაგრამ, რაც ყველაზე თავშესაქცევია — ეს არის გოლოდიაევის ლანძღვა კომუნისტების მისამართით, ლანძღვა წმინდა მოჩვენებითი, როგორც ამას ახლა ჩვენ ვნახავთ. თურმე, დემოკრატიულმა პარტიებმა „მნიშვნელოვანწილად გადაიღეს კომუნისტური პარტიის მანკიერი თვისებები, საიდანაც, არსებითად, იკრიბებოდა მათში წევრთა დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით ხელმძღვანელობაში... ჰოდა, გარდაქმნის დასასრულს მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც დაჩვეული არიან იცხოვრონ სიცრუით, იმუშაონ უკვე დრომოჭმული მეთოდებით, თავი „დემოკრატებად" გამოაცხადეს და შექმნეს სულიერი გადაგვარებისათვის განწირული პარტიები".

განა, გულწრფელია გოლოდიაევი, როცა ასე ხელაღებით ლანძღავს კომუნისტებს? განა შეიძლება, მას არ ესმოდეს, რომ იმათ შორის, ვინც დატოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგები (თუმცა, პარტიაში დარჩენილთა შორისაც) არიან როგორც პატიოსანი, ისე წესიერი ადამიანები.

აი გოლოდიაევის დაკვირვებით, რა საშინელი სურათი იხატება „გარდაქმნის დასრულების ჟამს": გაჩნდა უამრავი პარტია, რომლებმაც გამოაცხადეს თავიანთი ანტიკომუნისტური მიმართულება. თუმცა, ეს „აშინებს წესიერ ადამიანს თავსართის „ანტის" დამანგრეველი აზრის გამო". როგორ გავიგოთ ყოველივე ეს? მაშასადამე, წესიერი ადამიანი უნდა უფრთხოდეს ყოველივე „აზრს", რომელიც ნგრევით ემუქრება კომუნიზმს? საოცარია პირდაპირ...

რა თქმა უნდა მე, როგორც რუსს, არ შეიძლება გამუდმებით არ მაწუხებდეს გულისტკივილი ჩემი ხალხისათვის, რომელსაც უკვე ამდენი წელია აბუჩად იგდებენ ბინძური პოლიტიკანები და უნიჭო, გონებაჩლუნგი ბიუროკრატები. მაგრამ როგორც რუსს, რომელიც ცხოვრობს საქართველოში, მთელი სულითა და გულით რომ თანაუგრძნობს მის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, არ შეიძლება არ გამიჩნდეს პროტესტი, — არა, ასე აღარ შეიძლება: სამართლიანი რისხვაა, როცა ვხედავთ, თუ როგორ სწამებენ ცილს ამ მოძრაობას ყველა ჯურის გოლოდიაევები. ალბათ, არაფერს ახალს არ ვიტყვი, თუ გავიხსენებ, რომ ამ უკანასკნელ ხანს, რამდენი ცილისწამება დაატეხეს თავს ქართველ ხალხს, მაგრამ როგორც მწერალი ლევან ხაინდრავა აღნიშნავს, რომელსაც ძალზე დიდ პატივს ვცემ, მეც მივიჩნევ, რომ სათანადო რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს ბინძური ცილისმწამებლების არც ერთი გამოხდომა.

ჩვენთან საქართველოში, — ამტკიცებს დემოკრატიას ასე მოწყურებული გოლოდიაევი, — ღრმად გაუშვა თავისი მეტასტაზები „სოვეტიზმმა". „ჩემთვის გაუგებარია, — ჩივის ჩვენი დემოკრატებისა და კომუნისტების მგმობელი, — როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო მზიურ საქართველოში, რომელმაც ამდენი ტანჯვა-წამება გადაიტანა კომუნიზმისაგან, და ახლა, თვალზე ლიბრგადაკრული, ნეობოლშევიზმისაკენ მიექანება".

უკვე დიდი ხანია ყველას მოაბეზრა თავი ზვიად გამსახურდიას მიმართ წამოყენებულმა ცილისწამებამ, რომ იგი დიქტატურის მომხრეა, და ეს თვით გოლოდიაევს არ მოუგონებია, რაც მართალია, მართალია, მაგრამ ნახეთ, რა „გეშოვნებით" აფორმებს იგი ყოველივე ამას (აქ, ალბათ, მთავარია ლაკონიურობა, იგი ხომ ნიჭის ტყუპისცალია). ბრალდება მრავალია, მაგრამ თითოეულ მათგანზე ახლა აქ არ შევჩერდები, გამოვყოფ მხოლოდ ყველაზე მთავარს.

ბრალდება პირველი. „ზვიად გამსახურდიამ, როცა იგი ხელისუფლების სათავეში მივიდა, ოპოზიცია კანონგარეშედ გამოაცხადა. დაიხურა ყველა არასაპარლამენტო გაზეთი...". თავხედური სიცრუეა, სწორედ ჰებელსს რომ შეეფერება! გოლოდიაევმა უნდა იცოდეს, რომ თბილისში ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გამომავალი 60-ზე მეტი გაზეთიდან მხოლოდ ათიოდეს მეტ-ნაკლებად აკონტროლებს პარლამენტი. პრაქტიკულად ყველა ასე თუ ისე, მნიშვნელოვან ოპოზიციურ პარტიას ან ორგანიზაციას აქვს თავისი გაზეთი.

ბრალდება მეორე. „გამოცხადებულმა ლოზუნგმა „საქართველო ქართველებისათვის" გამოიწვია ახალი პოლიტპატიმრები, ცეცხლში გახვია სამხრეთ ოსეთი".

პოლიტპატიმრები საქართველოში არ არიან. და ნუთუ ზვიად გამსახურდიას ბრალია, რომ „ცეცხლში გახვეული სამხრეთ ოსეთი" (ასე უწოდეს გოლოდიაევის მიერ „გალანძღულმა" კომუნისტებმა უძველეს ქართულ მიწა-წყალს — შიდა ქართლს, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა სამაჩაბლო)? განა, ზვიად გამსახურდიას რომ არ გამოეცხადებინა ლოზუნგი „საქართველო ქართველებისათვის", ახლა მშვიდობა იქნებოდა სამაჩაბლოში? თავხედური, უსინდისო სიცრუეა!

დავიწყოთ იმით, რომ უკვე მალე 200 წელი გახდება, რაც საქართველო არ არსებობს ქართველებისათვის. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ოსებს აქვთ თავიანთი ისტორიული სამშობლო, ჩრდილოეთ ოსეთი. აზერბაიჯანელებს — აზერბაიჯანი, სომხებს — სომხეთი, რუსებს — რუსეთი... ქართველს კი, საქართველოს გარდა, სხვა არაფერი არა აქვს, და სწორედ ყოველთვის ემუქრებოდნენ მათ სამშობლოს წართმევით. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იმპერია ყოველთვის სისხლიან გაკვეთილებს აძლევდა ხოლმე, რაც სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ ქართველი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს. საქართველოს ნიადაგ ემუქრებოდა გარუსების საფრთხე. კიდევ მეტის, ასეთი ლოზუნგი რომ გამოეცხადებინათ: „არაქართველებო — გაეთრიეთ საქართველოდან!" მაგრამ ეს არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო. ზ. გამსახურდია ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ერთადერთი, რასაც მისი ხალხი ითხოვს, არის ის, რომ საქართველო უნდა იყოს საქართველო, და მასში მცხოვრები სხვა ხალხების ყველა წარმომადგენელი ვალდებულია პატივი სცეს იმ ქვეყანასა და ხალხს, სადაც იგი ცხოვრობს. ქართველებს იმისთვისაც კი მოუხდათ ბრძოლა, რომ მათი ენა სახელმწიფო ენად გამოეცხადებინათ, მათი სამშობლოს ტერიტორიაზე, და ეს ბრძოლა იყო მძიმე და სისხლისმღვრელი.

სამაჩაბლოში დღევანდელი კონფლიქტის წარმოქმნას საფუძველი ჯერ კიდევ 1922 წელს ჩაეყარა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია. მაშინ ცხინვალში ოსების სულ 4 ოჯახი ცხოვრობდა, იყო რამდენიმე ოსური სოფელი. ახალმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, დაიწყო მასობრივი მიგრაცია ჩრდილოეთ ოსეთიდან. რატომაც არა: იქ იხურებოდა ოსური სკოლები, უმაღლეს სასწავლებელში სწავლა რუსულ ენაზე იყო, მაშინ, როცა სამაჩაბლოში ყოველ ოსურ სოფელში იყო თავისი სკოლა, ცხინვალში კი პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს ოსური სკოლებისათვის, არის ოსური ეროვნული თეატრიც კი, რომელიც დაარსებულია ქართველი თეატრალური კულტურის მოღვაწეთა მხარდაჭერით...

მიუხედავად ყოველივე ამისა, ოსმა ექსტრემისტებმა სამაჩაბლოში გააჩაღეს ნამდვილი ძმათამკვლელი ომი, რომელიც მიზნად ისახავს ქართველების გაძევებას და გამოდევნას ამ უძველესი ქართული მხარიდან. მათ მხეცობაზე შეიძლება საათობით ვილაპარაკოთ. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ფაქტი, რომელზეც პირში წყალი ჩაიგუბეს ცენტრალურმა პრესამ და ტელევიზიამ. მიმდინარე წლის 18 მარტს ოსმა ექსტრემისტებმა ხეს მიაბეს ოთხი ქართველი, რომლებიც გზაზე შეიპყრეს, გადაასხეს ბენზინი და ცოცხლად დაწვეს. და ყოველივე ეს ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების აშკარა წაყრუებით. ეს უკანასკნელნი არა მარტო აიარაღებენ ექსტრემისტებს თანამედროვე იარაღით (მათ შორის — „დედამიწა-დედამიწის" კლასის რაკეტებითაც), არამედ იფარავენ კიდეც მათ ქართველთა წინააღმდეგ „სადამსჯელო ოპერაციების" დროს, ამავე დროს განაიარაღებენ ქართულ მილიციას, ცდილობენ ომი ქართველი ხალხის წინააღმდეგ გადაიტანონ სამაჩაბლოს ფარგლებს გარეთ. ამ ცოტა ხნის წინათ ისინი შეიჭრნენ გორის რაიონის სოფელ დვანში, დაწვეს და დაანგრიეს საკმაოდ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ორი ძველი ქრისტიანული ტაძარი.

რატომ ხდება ყოველივე ეს? ალბათ, იმიტომ, რომ საქართველომ უარი თქვა სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ზვიად გამსახურდია, ქართველი ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი, ყოველივე ამაში დამნაშავეა ისე, როგორც ნებისმიერი ქართველი, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს მონობას. ნუთუ არ სცხვენია გოლოდიაევს, რომელიც უსინდისო კითხვას სვამს? „განა არ გაწუხებთ ის ფაქტი, რომ რუსეთის სფსრ და საქართველოს ლიდერებმა ერთმანეთში დადეს შეთანხმება, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის დამორჩილებისათვის თანამშრომლობის შესახებ. ელცინ-გამსახურდიას პაქტი?", როგორც რუსი მკითხველი, ვუპასუხებ გოლოდიაევს: — არა, არ მაწუხებს, პირიქით მახარებს! სამაჩაბლოში უნდა აღდგეს სამართლიანობა და წესრიგი, იმ მხრიდან ემიგრირებული ყველა ოსი და ქართველი უნდა დაუბრუნდეს საკუთარ სახლებსა და სოფლებს. სისხლისღვრის ყველა საბაბი უნდა აღმოიფხვრას. არ ვაპირებ ვინმეს თავს მოვახვიო ჩემი შეხედულება, მაგრამ მიმაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქი არ უნდა აღდგეს. იგი, სხვათა შორის, თვით ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის მთავრობამ გააუქმა, როცა გამოაცხადა, რომ ავტონომიური ოლქის ნაცვლად შეიქმნა... სამხრეთ ოსეთის მოკავშირე რესპუბლიკაო! ჰოდა, კავკასიის მოძმე ხალხებს შორის სიძულვილისა და მტრობის ეს კერა, რომელიც ბოლშევიკებმა შექმნეს, უნდა მოისპოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, შენარჩუნებული უნდა იქნეს კულტურული ავტონომია...

ბრალდება მესამე. „საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმანეთს ესვრიან დემოკრატები. უცნობმა პირებმა დაჭრეს საქართველოს ეროვნული კონგრესის ლიდერი გიორგი ჭანტურია. ეჭვი მიიტანეს „მრგვალ მაგიდაზე"... კარგი იქნებოდა, დაგვეზუსტებინა: თავისით იშვა ეს ეჭვი, თუ როგორ არის საქმე? მესმის, რომ თავდასხმის მსხვერპლი ადანაშაულებს იმათ, ვისაც თავის მტრებად მიიჩნევს, მაგრამ იქნებ მაინც ვინმე პროვოკატორის ესროლა? ის, ვინც თავის მოწინააღმდეგეს ესვრის, ხომ მის წისქვილზე მოუშვებს წყალს, რადგან დაზარალებულმა არ შეიძლება თანაგრძნობა არ გამოიწვიოს.

პირადად მე მგონია, რომ „მრგვალი მაგიდა" არ არის დაინტერესებული ესროლოს ოპოზიციის ლიდერს, სხვათა შორის, რომელიც მისთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან ამ ოპოზიციამ თითქმის დაკარგა ხალხის ნდობა. როცა ჩირქს სცხებ მას, და თანაც (ვიღაცის მძლავრი მხარდაჭერით) ყოველივე ამას აკეთებს საქართველოს ფარგლებს გარეთ, ანუ ცდილობს ჩირქი მოსცხოს იმ ძალების საერთაშორისო რეპუტაციას, რომლებსაც თანამიმდევრულად მიჰყავთ საქართველო საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისაკენ.

სწორედ ისინი, ვისაც ესმის, რომ იმპერიის დაშლა უთუოდ გამოიწვევს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის დაშლას, პრესიდან და ტელევიზიის ეკრანიდან ამტკიცებენ, რომ მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ეკონომიკური ინტეგრაცია და ჩვენ არ გვსურს „იარაზე მარილის მოყრა"... მაგრამ ვინ თქვა, რომ სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლა ნიშნავს მისი ეკონომიკური კავშირურთიერთობის გაწყვეტას სხვა რესპუბლიკებთან? პირიქით, კავშირურთიერთობა გახდება კიდევ უფრო სამართლიანი, რადგან მას საფუძვლად დაედება საბაზრო ურთიერთობა!

მინდა შევჩერდე კიდევ ერთ აღმაშფოთებელ ფაქტზე. უკანასკნელ ხანს საქართველოში, როგორც ცნობილია, შეიმჩნევა დანაშაულობის ზრდა. გახშირდა მკვლელობის შემთხვევებიც, თანაც, ხშირად ქართველი ქართველს კლავს. ქართული პატრიოტული ღირსების კანონით ასეთ გაუგონარ ტენდენციას, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ აეღელვებინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც დაგმო ასეთი მკვლელობები. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ქართველები ისედაც მცირერიცხოვანი ერია. მთელი ხალხისადმი კათალიკოსის მიმართვის ტექსტი აბსოლუტურად არაორაზროვნად მოწმობს ამას. მაგრამ, გოლოდიაევი რა გოლოდიაევი იქნებოდა აქაც რომ საქვეყნოდ არ გამოემზეურებინა თავისი ბოროტი ტენდენციურობა. აი როგორ აწვდის ამას იგი თავის მკითხველს: „სრულიად საქართველოს კათოლიკოსმა ილია მეორემ გამოსცა უზენაესი ბრძანებულება, რომელშიც „სულით წმინდის სახელით ბრძანებს (!), ქართველი ერის მტრად ჩაითვალოს (!) „ყოველი ქართველის მკვლელი (!), მოკლულის დანაშაულის ან უდანაშაულობის მიუხედავად".

შენიშნეთ, არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმაზე, რომ საქმე ეხება ქართველის მიერ ქართველის მკვლელობას! გარდა ამისა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მიმართვაში არსად არ არის ნათქვამი ის, რომ ერთი ქართველი, რომელსაც აღიარებენ მეორე ქართველის მკვლელად, თავისი სამშობლოს მოღალატედ, უთუოდ უნდა მოკვდეს. მკვლელობისთვის სასჯელის ზომას პატრიარქი არ განსაზღვრავს, მაგრამ იგი ზნეობრივად ვალდებულია დაგმოს მკვლელობის ფაქტი. გოლოდიაევი კვლავ არ თაკილობს საშინელ სიცრუეს, ცდილობს ჩააგონოს მკითხველს: თუ რომელიმე თქვენგანი, ღმერთმა დაიფაროს და მოხვდება საქართველოში, და იქ თავს დაგესხმებათ ქართველი, თქვენ კი, თავდაცვისას, წინასწარგანუზრახველად მოკლავთ მას, სიკვდილი არ აგცდებათო. სწორედ ასე წერს კიდეც: „...სანამ კაცს მოკლავდე, მანამ იგი ხალხის მტრად უნდა შერაცხო. და მაშინ, აღარც ცოდვა იქნება, აღარც ადამიანი, უფრო სწორად — ორივე". შემდეგ კი, უკვე საბოლოოდ გათავხედებული ისეთ გამოთქმას კადრულობს, რომელიც, საერთოდ არ შეეფერება თუნდაც მაინც ზრდილობიან კაცს: „ძველია როგორც სამყარო — და მაინც ახალია, როგორც... მომიტევეთ შედარების არაესთეტიურობა, მაგრამ ილია მეორის ინდულგენცია უფრო მეტად ყარს". ღმერთო ჩემო, რა სიბილწეა! კარგით, გოლოდიაევი, რა თქმა უნდა, სულ ცოტა სახეში შეფურთხებასა და სილაქს იმსახურებს, და თუ როდესმე მომიწევს მასთან შეხვედრა, უთუოდ ვიზამ ამას, მაგრამ მინდა ვიკითხო: ნუთუ გაზეთ „სვობოდნოე სლოვოს" რედაქციაში არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი კაცი, რომელიც იტყოდა: „ბიჭებო, ასეთი სიტყვებით არავის შეურაცხყოფა არ შეიძლება, მით უმეტეს კათოლიკოს-პატრიარქისა, და მით უმეტეს მაშინ, როცა მას ეს არ დაუმსახურებია! როგორც ჩანს, ასეთი კაცი არ აღმოჩნდა. ისე, სამწუხარო კია... მაშასადამე, გოლოდიაევისთანები ჯერ კიდევ მრავლად ყოფილან რუსეთში. „სვობოდნოე სლოვო", როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ მას შეუძლია აბსოლუტურად დაუსჯელად ლანძღოს და აგინოს სასულიერო პირი. მაგრამ აქედან ხომ მხოლოდ ერთი ნაბიჯილაა იქამდე, როგორც მოექცნენ რუსეთში მღვდელს, გვარად მენს...

უწმინდესო და უნეტარესო მამაო, სრულიად საქართველოს პატივცემულო კათოლიკოს-პატრიარქო ილია მეორევ, მუხლს ვიყრი თქვენს წინაშე და მორჩილად შეგთხოვთ: მომიტევეთ გოლოდიაევების მთელი ხროვისათვის, რომლებთანაც, ჩემდა სამწუხაროდ, მაკავშირებს ეროვნება. მერწმუნეთ, მცხვენია იმ ნაძირალების გამო, რომლებმაც თავიანთი სიტყვებით მთლიანად დაადასტურეს ევანგელისტის სიმართლე, ასე რომ ბრძანა: „...არარაი არს კაცის გარეთ შემავალი მისა, რომელმანცა შეაგინა იგი; არამედ რომელი გამოვალს მისგან იგი არს, რომელი შეაგინებს კაცსა". (მარკოზი, 7.15).

გოლოდიაევის მთელი სტატიის ლოგიკა (იგი ხომ, ბოლოს და ბოლოს, ქართველებისთვის არ დაწერილა) სავსებით მარტივია: კომუნისტებს მაინც ყველა ლანძღავს, — ახლა ამით ვერავის ვერ გააკვირვებ, ასე რომ, მათი ლანძღვა შემდგომშიც შეიძლება. დემოკრატებს კი ახლა დავუწყებთ ლანძღვას იმისათვის, რომ ისინი იქცევიან როგორც კომუნისტები, არიან კომუნისტთა ზეგავლენის ქვეშ, მასობრივად რომ შეერწყნენ მათ რიგებს, რომ ისინი კომუნისტებზე უარესები არიან, იმიტომ, რომ კვლავ ატყუებენ ხალხს აუხდენელი დაპირებებით. მაგრამ, დაუჯერებენ კი გოლოდიაევს რუსი ხალხი და სხვა ჯერჯერობით მოტყუებული ხალხები. თუ იგი მომავალშიც „დაასაბუთებს" თავის ცილისწამებას დემოკრატების მიმართ ისეთი ცრუ ბრალდებებით, როგორიც წამოაყენა საქართველოში „მრგვალი მაგიდის" წინააღმდეგ, თამამად შემიძლია ვთქვა: არ დაუჯერებენ! და მაშინ, შეიგნებენ, რომ მისი ყველა დაპირება და მოწოდება — ისეთი, როგორიც არის „ვიფიქროთ მომავლისათვის, გვახსოვდეს წარსული, აწმყოთი კი ვიცხოვროთ... მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება სწორედ ახლა არსებულ ხალხებთან, არსებულ ხელისუფლებასთან ერთად". — ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის ხელმძღვანელთა მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთი, მორიგი ცდაა გაიხანგრძლივონ თავიანთი ყოფნა საზოგადოებრივ ტაბლასთან.

სერგი სერებრიაკოვი,
საქინფორმი.

საკუთარ სახლში



გაგრა მართებულად ითვლება შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ერთ-ერთ საუკეთესო კურორტად. მას ვიწრო სანაპირო ზოლი უკავია, ცალ მხარეს ნახევარრკალად შემორტყმია კავკასიონის მთავარი ქედის ციცაბო კალთები, რომლებიც პირდაპირ ზღვაში ეშვებიან. მთებით შემორტყმულ კურორტს მდინარეები ჟოეკვარა და გაგრიფში კვეთენ.

გაგრასთან ზღვის წყალი გამოირჩევა მაღალი ტემპერატურით. საბანაო სეზონი ხანგრძლივია — მაისიდან დაწყებული ნოემბრის ჩათვლით.

წელს, ცნობილი მიზეზების გამო დამსვენებელთა რაოდენობა გაგრაში მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ ვინც ჩამოვიდა ნამდვილად არ ნანობს. ნებადართულ ადგილებში ისინი სიამოვნებით ცურაობენ ზღვაში, იღებენ მზის აბაზანებს პლაჟზე. ბევრს იზიდავს ზღვის სანაპირო პარკის გრილი და სუფთა ჰაერი. აქ შეგიძლიათ დაისვენოთ მწვანე მდელოებზე, ხეების ჩრდილში, პირი ჩაიტკბარუნოთ კაფეებსა და ბარებში, მაიმუნებთან ერთად ფოტოგრაფთან გადაიღოთ სამახსოვრო სურათები.

სურათებზე: სასიამოვნოა ზღვაში ცურაობა; ზღვის სანაპირო პარკში; დამსვენებელთა საყვარელი მაიმუნი.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ელენობა" თელავში

1991 წელი ელენე ახვლედიანის 90 წლისთავის წელია და მის საყვარელ ქალაქ თელავში ამას წინათ გაიმართა „ელენობის" დღესასწაული, რომელსაც ყოველ წელს აწყობს აქ ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში მომუშავე „ადამიანის ინსტიტუტი" (ხელმძღვანელი — ქალბატონი ელენეს დისწული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის მეცნიერებათა საბჭოს სწავლული მდივანი ირინე კალანდაძე).

ეს დღეები გადატვირთული იყო საინტერესო პროგრამით. პირველ დღეს თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა მხატვრის ხსოვნისადმი მიძღვნილი სემინარი თემაზე: „ჰუმანიზმი და ქართული კულტურა", რომელშიც მიიღეს მონაწილეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შოთა ნადირაშვილმა, ბიზანტიოლოგმა და ენათმეცნიერმა ნელი მახარაძემ, ძველი ქართული ენის სპეციალისტმა თინა ცქიტიშვილმა, ენათმეცნიერმა ბელა ქობალავამ, ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ლევან დალაქიშვილმა, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ გიორგი მარჯანიშვილმა, აგრეთვე თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა გოგი ჯავახიშვილმა, სხვა პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. ჰუმანიზმთან დაკავშირებით სემინარმა განიხილა როგორც ზოგად-საკაცობრიო, ასევე, საერო-ქართული ეროვნული პრობლემატიკა, საღამოს კი თელავის სახელმწიფო თეატრში გაიმართა გალა-კონცერტი. დამსწრენი მონაწილენი გახდნენ დიდი სამუსიკო ზეიმისა, რომელიც ბევრჯერ მიუძღვნიათ ელენესათვის საქართველოს სახალხო არტისტს ნოდარ ანდღულაძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ელენე ძამაშვილს, საქართველოს სახალხო არტისტს ლიანა კალმახელიძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ტატიანა მალიშევას, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს როდამ ჯანდიერს. კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლუდმილა ნადიბაიძე, ვ. დოლიძის კონკურსის დიპლომანტი მაია ქასრაძე, ლადო ათანელაშვილი, ვოკალური დუეტი ეთერ კოხოძის და ნაირა ნაჩხატაშვილის მონაწილეობით.

მეორე დღეს ელენე ახვლედიანის ლამაზი ქუჩა მასპინძლობდა სტუმრებს. საგაისოდ გათვალისწინებულია თელავში ელენეს სახლ-მუზეუმის გახსნა. დღის სამ საათზე თელავის სახელმწიფო თეატრში გაიმართა კონცერტი-წარმოდგენა მე-9 მუსიკალური სკოლის ნიჭიერ ბავშვთა და 53-ე სკოლის კვინტეტის მონაწილეობით. წარმოდგენას საფუძვლად დაედო ირინე კალანდაძის მოგონებები ქალბატონ ელენეზე (კომპოზიციის ავტორია მეთოდისტი, ამ სკოლის პედაგოგი ლია ცქიტიშვილი). ნორჩმა კომპოზიტორმა „სიმღერა და ქორეოგრაფია 91" კონკურსის ლაურეატმა ნიკა მემანიშვილმა (დამსახურებული მასწავლებლის გაბუნიას კლასის და პედაგოგ შუღლიაშვილის საკომპოზიციო კლასის მოსწავლე) ჭეშმარიტად მოხიბლა დამსწრენი საკუთარი ნაწარმოებების შესრულებით.

დღესასწაულის დაგვირგვინება იყო ახალგახსნილი საქართველოს სამუსიკო-პედაგოგიური ინსტიტუტის კონცერტი. ინსტიტუტის რექტორმა მედეა ფანიაშვილმა, მისი ხელმძღვანელობით ანსამბლმა „კამერატამ" და სტუდენტებმა ბრწყინვალე პროგრამა მიუძღვნეს ქალბატონი ელენეს ხსოვნას. კონცერტს უძღვებოდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლია მიქაძე.

ღმერთმა ქნას, მარად გაგრძელდეს ეს ტრადიცია.

ესმა გომელაური

სტიქია

ორმაგი ტრაგედია

მიწისძვრის შედეგად დაზარალებული რაიონის მოსახლეობაში ეჭვს იწვევს დანგრეული საცხოვრებელი ადგილების აღდგენა. მეწყრული პროცესების განვითარების საკითხებზე ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის დეპარტამენტის რაჭა-ლეჩხუმის მუდმივმოქმედი საინჟინრო გეოლოგიური სამსახურის უფროსს ცეზარ ტოგონიძეს.

— ყველამ ვიცით, თუ რა ტრაგედია მოჰყვა რაჭაში მიწისძვრას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია მოსახლეობამ იცოდეს, რომელი სოფლიდან ან სახლიდან უნდა გაიხიზნოს ხალხი და რამ გამოიწვია ასე სწრაფად მეწყრული პროცესების განვითარება?

— მართლაც ასეა. ტრაგედიაა დაგვენგრეს საცხოვრებელი, მაგრამ ორმაგი ტრაგედიაა მიატოვო მამაპაპისეული ადგილ-სამყოფელი, და გადასახლდე:

როგორც მოგეხსენებათ, რაჭის მთაგორიანი რეგიონი, საშიში გეოლოგიური პროცესების გავრცელებით და ამის შედეგად სახალხო სამეურნეო ობიექტებისადმი მიყენებული ზარალით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. აქ ვითარდება თითქმის ყოველგვარი გეოლოგიური პროცესები: მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ეროზია, წყალდიდობა და მასთან დაკავშირებით დატბორვა, გრუნტის წყლით გამოწვეული შეტბორვა, კარსტული და სეფოზიური ჩაქცევა, თოვლის ზვავი და სხვა ყოველივე ამას მიზეზად რელიეფის რთული ხასიათის, გეოლოგიური აგებულების და კლიმატური თავისებურებების გვერდით წამყვან და ხშირად განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება ადამიანის ზემოქმედება და მისი ზედმეტად აქტიური ჩარევა ბიოსფეროში. ადამიანმა თავის საქმიანობის სფეროში ჩააბა მისთვის ხელმისაწვდომი ბუნების მთელი რესურსები, რამაც დაარღვია ბიოსფეროს ცალკეულ ელემენტებს შორის კავშირურთიერთობა.

ჩვენს მიერ დამუშავებული ისტორიული მასალები გვიჩვენებს, რომ რეგიონში სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარება ყოველთვის შეიმჩნეოდა 10-12 წელიწადში ერთხელ, მაგრამ ბოლო დროს ჩვენი უყურადღებობით და უსულგულობით პროცესების გააქტიურების სიხშირის პერიოდი დაირღვა და ახლა თითქმის ყოველწლიურად ვლინდება. მაგალითისათვის გეტყვით: 1987-1990 წლებში ონის რაიონის ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების ზემოქმედება განიცადა 45-მა დასახლებულმა უბანმა, საიდანაც მდგრად ადგილზე გადასატანი გახდა 211 საცხოვრებელი შენობა, გაფუჭდა 6500 ჰექტარი სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი, მატერიალურმა ზარალმა 30 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ანალოგიური მდგომარეობაა ამბროლაურის რაიონშიც.

29 აპრილისა და შემდგომმა მიწისძვრებმა აამოძრავა ზღვრულ წონასწორულ მდგომარეობაში მყოფი ფერდობები და დაიწყო მეწყრული პროცესების განვითარება, რომლებმაც მოიცვა საკმაოდ დიდი დასახლებული ტერიტორია.

— თქვენ ახსენეთ ადამიანის ზედმეტად აქტიური ჩარევა ბუნებაში. რას გულისხმობთ?

— აქ იგულისხმება მცენარეული საფარის განადგურება, ციცაბო ფერდობების ღრმად დამუშავება ერთწლოვანი კულტურებისთვის, მძიმე მექანიზაციის გამოყენებით ფერდობების გამოჭრა გზების გასაყვანად და შენობა-ნაგებობების ასაგებად, ისედაც გეოლოგიურად არამდგრად ციცაბო ფერდობებზე მძიმე ტიპის შენობების მშენებლობა. მდინარეთა კალაპოტებში ჰიდროტექნიკურ დამცავ ნაგებობათა მშენებლობის მცდარი მიმართულება და კალაპოტების ხელოვნური შევიწროვება ჭალების ათვისების მიზნით. სოფლებში წყალსადენების უწესო ექსპლუატაცია, წყალსაცავების და კაშხალების მშენებლობა და სხვა.

— მიწისძვრის შემდეგ რამდენი სოფელი დაიმეწყრა და რამდენი ოჯახი უნდა გადასახლდეს. არის თუ არა მათთვის საჭირო სამოსახლო ფართი რაჭაში?

— სადღეისოდ ჩვენმა სამსახურმა პირველი ეტაპის სამუშაოები განახორციელა და დაადგინა, რომ რიგ სოფლებში მშენებლობა აღარ შეიძლება. ონის რაიონში მთლიანად დაანგრია და შთანთქა მეწყრულმა პროცესმა სოფელი ჩორდი. ალბათ, იმაზე მძიმე სურათის წარმოდგენა შეუძლებელია, რაც ჩვენ იქ ვნახეთ. მოსახლეობა თვალცრემლიანი უყურებდა, თუ როგორ ნთქავდა პირდაღებული უფსკრული მათ ნაშრომ-ნაამაგარს და საცხოვრებელს. ამ სოფლიდან გამოყვანილია ყველა 71 ოჯახი. ასევე მეწყრული პროცესები განვითარდა და მთლიანად გამოხიზნულია სოფელი ბაჯიხევი — 76 ოჯახი ნაწილობრივ დაზიანდა და გადასასახლებელი გახდა რიგი სოფლები: ირი, ბარი, ჟაშქვა, ღები, შეუბანი, სევა, ფარახეთი და სხვა. ამბროლაურის რაიონში მეწყერმა ნაწილობრივ დააზიანა სოფლები ღადიში, პირველი და მეორე ტოლა, ჟოშხა, ბუგეული, სადმელი, ველევი და სხვა. სულ ონის რაიონიდან გადასახლებას საჭიროებს 470, ხოლო ამბროლაურის რაიონიდან 450 ოჯახი.

რაც შეეხება თქვენს მეორე კითხვას, გიპასუხებთ, რომ ჩვენ ყოველნაირად ვეცდებით დაზარალებული მოსახლეობა მთლიანად დავაკმაყოფილოთ საკარმიდამო ნაკვეთებით თავისავე რაიონებში. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები ტერიტორიის შესარჩევად და გამოსაყოფად. იმედი გვაქვს რაჭველი კაცის სულგრძელობისა და ერთმანეთისათვის მხარში ამოდგომისა. ალბათ, არც ერთი სოფელი წინ არ აღუდგება თავისი სოფლის ტერიტორიაზე დამეწყრილი ოჯახების ჩასახლებას, რითაც ხელს შევუწყობთ ისედაც დაცლილ რაჭას, რომ უკეთესი საცხოვრებელი ადგილები გამოვუნახოთ და უკეთესი სოციალური პირობები შევუქმნათ, რათა მომავალმა თაობებმა ქალაქებს კი არ მიაშურონ, არამედ პირიქით სოფლისკენ იბრუნონ პირი.

— შესაძლებელია თუ არა, რომ მეწყრული პროცესები კიდევ განვითარდეს?

— მე მოგახსენებთ, რომ განხორციელებულია პირველი ეტაპის სამუშაოები, პროცესების განვითარება დამოკიდებულია მიწისძვრით გამოწვეულ შემდგომ ბიძგებსა და ატმოსფერულ ნალექებზე, გვაქვს ცხელი წერტილები, სადაც მიმდინარეობს რეჟიმული დაკვირვებები.

საშიში მდგომარეობაა შექმნილი ღვარცოფულ აუზებში, რადგან მის კერებში მიწისძვრის შედეგად დიდძალი მყარი მასალა დაგროვდა. ასეთი აუზებია მდინარეებში: მუშუანი, ოჟანური, ღლეიორა, გლოლის ხევი, ზნაკვურა, ტოლის ხევი და სხვა.

— რაკი ასეთი საშიშროება ახსენეთ, არის კი დანარჩენი მოსახლეობისათვის გარანტიები?

— ამ კითხვაზე შემიძლია ასე გიპასუხოთ: რაჭის სოფლების უმეტესობა განსახლებულია ძველ, სტაბილურ, მეწყრული წარმოშობის ფერდობებზე. ჩვენთვის, სპეციალისტებისათვის, თვითდაზღვევის მიზნით, ალბათ, ყველაზე ადვილია ვთქვათ, რომ აქედან მოსახლეობა გადასასახლებელია და შედეგად რაჭის მოსახლეობა დაგვრჩება მხოლოდ მდინარეთა ჭალებში და ალპურ ზონებში. ასეთი რაჭა კი, ალბათ, ყველასათვის წარმოუდგენელია.

— მაშ, რა გამოსავალს ხედავთ?

— თუ მოსახლეობა შეასრულებს ჩვენს რეკომენდაციებს, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება, ისე კი დანგრეული და დაზიანებული შენობების აღდგენითი სამუშაოების შესრულების დროს, თითოეული კონკრეტული საეჭვო შემთხვევისათვის მშენებლებთან ერთად გადავწყვიტეთ სამშენებლო მოედნის ვარგისიანობის საკითხი. ასე რომ, ვიმეორებ, ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით ხალხს არ მივატოვებინოთ თავიანთი სამკვიდრო.

— დღეს საქართველოში არც ერთი ორგანიზაცია არ არსებობს, რომ პრობლემები არ ჰქონდეს. თქვენ რა პრობლემები გაქვთ?

— ჩვენ დავამუშავეთ და არაერთხელ გადავეცით მინისტრთა საბჭოს ორივე რაიონის ყველა სოფელში ჩასატარებელი მეწყერსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ნუსხა. ჩვენთან შექმნილია პროფილაქტიკური და კაპიტალური ღონისძიების განმხორციელებელი ორგანიზაციები, მაგრამ სამუშაოებისთვის საჭირო სახსრები არსაიდან ჩანს, დრო კი არ ითმენს. თუ სასწრაფოდ არ განხორციელდა ზემოთ აღნიშნული სამუშაოები, გვიანღა იქნება და რაჭის ისედაც გაპარტახებული ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, მით უმეტეს ყოველწლიური ხარჯები ამ სამუშაოების წარმოებისათვის ერთიანად ნაკლები იქნება, ვიდრე სტიქიით მიყენებული ზარალი.

თემურ ბურდილაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის"
სპეც. კორ.

საზღვარგარეთ

პირველი ოფიციალური ვიზიტი

ამა წლის 22 ივნისიდან 8 ივლისამდე გერმანიაში საარის მხარის მთავრობის მიწვევით ოფიციალურ ვიზიტად და საფრანგეთში საფრანგეთ-საქართველოს საზოგადოების მიწვევით იმყოფებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე ბატონი თედო პაატაშვილი და ამავე კომისიის ეკონომიკური კავშირების ქვეკომისიის თავმჯდომარე ბატონი ლევან ასათიანი.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ ესაუბრა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი ზურაბ სიხარულიძე.

ბატონო თედო! ბოლო პერიოდში გახშირდა საქართველოს უმაღლესი დონის ვიზიტები საზღვარგარეთ, რით იყო ღირსშესანიშნავი თქვენი მოგზაურობა?

საარის მხარის მთავრობის მიწვევით 22 ივნისს გავემგზავრეთ გერმანიაში. ეს იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარმომადგენლების პირველი ოფიციალური ვიზიტი საზღვარგარეთ, რომელსაც პოლიტიკური და ეკონომიკური დატვირთვაც ახლდა. დასაწყისი კარგი იყო, რადგან ახლა სეიმის მიწვევით ოფიციალური ვიზიტით მივემგზავრებით პოლონეთში, ხოლო სექტემბერში პარლამენტის ოფიციალური მიწვევით გავემგზავრებით უნგრეთში. მაინის ფრანკფურტისაკენ მიმავალ თვითმფრინავში ჩვენ დაგვემგზავრა ესტონეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი არნოლდ რუიტელი. ზუსტად იმ დღეებში საქართველოს რამდენიმე ესტონურ სოფელში გაიმართა ესტონელთა მსოფლიო შეკრება, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

რუიტელთან 25-წუთიანი საუბრის დროს რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრა, კერძოდ, თუ როგორ ახორციელებენ ბალტიისპირეთის ქვეყნები და მათ შორის ესტონეთი საგარეო ურთიერთობას. არნოლდ რუიტელი ფრიად კმაყოფილი იყო, რომ სკანდინავიის ქვეყნების აქტიური მხარდაჭერის შედეგად ესტონეთს უფლება მიეცა ევროპის მთელ რიგ ორგანიზაციებში მონაწილეობა მიეღო დამკვირვებლის სტატუსით. რუიტელთან საუბრის დროს განვიხილეთ ნაზარბაევის ცნობილი ინიციატივა, რომელიც გულისხმობს 15 რესპუბლიკის შეხვედრას უცენტროდ. კერძოდ, აღინიშნა, შეხვედრის დროს ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ რესპუბლიკებს ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვთ. მეორე მომენტი იყო ეკონომიკური ურთიერთობა. აქაც საჭირო იყო, რომ რესპუბლიკებს განეცხადებინათ, ერთმანეთის მიმართ არც ეკონომიკური პრეტენზიები გვაქვსო. ამით ცენტრს წაერთმეოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოზირი. ეს იყო ბატონი რუიტელის ვარიანტი. ჩვენი ინიციატივა, რომელიც ბატონ სიგუას ეკუთვნის, გაცილებით უკეთესია. იგი გულისხმობს იმას, რომ თუ კეთილსინდისიერად დაითვლება, აღმოჩნდება, რომ — რესპუბლიკებს კი არა, ცენტრს მართებს ვალი. მაგალითად, ცენტრისა საქართველოს მართებს დაახლოებით 9 მილიარდი მანეთი, ჩვენ კი საერთო-საკავშირო ბიუჯეტიდან 20-25 მილიარდი მანეთი გვერგება.

ბატონო თედო! ხომ ვერ გვეტყვით ვინ ამუშავებს ამ საკითხებს?

ამ საკითხებს საკმაოდ საფუძვლიანად ამუშავებს სპეციალური სამთავრობო კომისია ბატონ თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით. ჩვენი ეს მოსაზრება საკმაოდ მნიშვნელოვნად ეჩვენა ბატონ არნოლდ რუიტელის, რადგან არც ესტონეთი იქნება ცენტრის წინაშე ვალში.

მაინის ფრანკფურტში ჩვენ დაგვხვდა საარის მხარეს წარგზავნილი მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი ბატონი დავით დუმბაძე, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია აქ ყოფნის დროს.

ქართველი მკითხველისათვის ცნობილია, რომ საარის მხარეს საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. საინტერესოა, როგორ შუქდება საქართველოში მიმდინარე მოვლენები საარში?

განსხვავებით გერმანიის სხვა მხარეებისაგან, რომლებიც მეტნაკლებად უჯერებენ საკდესის დეზინფორმაციას, საარის მხარის პრესა შედარებით ობიექტურია და ეს ტენდენცია თვალში საცემია. ამავე დროს ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიურპრიზით წარვსდექით გერმანელთა წინაშე. საქმე ეხება წიგნებს, რომლებიც გერმანიიდან წითელმა არმიამ გამოზიდა და განაწილდა მთელ საბჭოთა კავშირში. საქართველოში მოხვდა დაახლოებით 200 ათასი ტომი. ლაპარაკია მე-16-17 საუკუნის უნიკალურ გერმანულ წიგნებზე. ამჟამად ეს წიგნები არის საჯარო ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და მისი უდიდესი ნაწილი ყოველგვარი დახარისხების გარეშე დევს აკადემიის ბიბლიოთეკაში. წიგნების გერმანიის მხარისათვის გადაცემის იდეა ეკუთვნის ამ ბიბლიოთეკის დირექტორს ბატონ გურგენიძეს და ბატონ კენჭოშვილს. საქმის კურსშია ბატონი ზვიად გამსახურდიაც. საერთოდ, ეს მოქმედება საქართველოს კეთილი ნების ნაბიჯია, საბჭოთა კავშირთან ამ საკითხის მოგვარება გერმანელებს უჭირთ, ამიტომ ჩვენი პოზიცია გერმანია-საქართველოს ახალი ურთიერთობის დაწყების საწინდარი უნდა იყოს.

წიგნებს გადასცემთ საარის მხარეს, როგორც საქართველოსთან დაძმობილებულს, თუ ეს მთელი გერმანიის საჩუქარია?

ჩვენ გერმანელ ხალხს ვუბრუნებთ ამ წიგნებს იმის გამო, რომ საარის მხრესთან უფრო ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს. წიგნების გადაცემის საკითხს სათავეში ჩაუდგება საარის პრემიერი ბატონი ოსკარ ლაფონტენი. ეს ალბათ სექტემბერ-ოქტომბერში მოხდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გერმანია — საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დროს შესაძლოა საბჭოეთში გაზიდული 25 მილიონი წიგნის საკითხიც გადაჭრან, ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ საქართველოს შესანიშნავი ინიციატივა მოსკოვმა არ მიიჩქმალოს.

როგორ გამოეხმაურა გერმანიის პრესა საქართველოს ინიციატივას?

ამის თაობაზე ცენტრალურ გაზეთებში მიუნხენის „ზუდოიჩე ცაიტუნგში" და „ფრანკფურტერ ალგემაინეში" გამოქვეყნდა მასალები. საარის მხარის პრესაც ფართოდ გამოეხმაურა ჩვენს ინიციატივას.

ბატონო თედო! ორიოდ სიტყვით გვითხარით გერმანიაში ვიზიტის მიზანზე.

ეს იყო ურთიერთგაცნობის ვიზიტი, რომელიც მას დიდად გასცდა. საარის მოსახლეობა საქართველოს კარგად იცნობს, ბევრი ჩვენთან ნამყოფია და შეყვარებულია საქართველოზე, აფასებენ ქართულ სტუმართმოყვარეობას. ამავე დროს გაისმის საყვედურის ნოტებიც, რომ კარგად დაწყებული საქმე შემდგომში ბიუროკრატიული ბარიერების გამო კონკრეტულ განვითარებას ვერ პოულობს. საარბრიუკენში შევხვდით მხარის კანცელარიის საგარეო ურთიერთობათა გამგეს ქალბატონ კრემერს, გერმანია-საქართველოს მეგობრობის გამგეობის წევრს ბატონ მანფრედ იაკობს, კანცელარიის უფროსს ბატონ ვოლფგან ვებერს. მათთან საუბრის დროს სხვა საკითხებთან ერთად ზუსტდებოდა თუ რა ეკონომიკური ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს საარის მხარესა და საქართველოს შორის. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები ტურიზმის, ბანკების ურთიერთთანამშრომლობისა და კვების პროდუქტების ერთობლივი დამზადების თაობაზე.

ლევან ასათიანი: შევხვდით ხორცის მწარმოებელი ფირმის „სოლომონის" მეპატრონეს ბატონ ლუის სოლომონს. ვისაუბრეთ საქართველოში ხორცის დიდი პარტიის შემოზიდვაზე. აღინიშნა, რომ თუ ხორცის პარტია გადააჭარბებს 15 ათას ტონას მაშინ ერთი კილოგრამის ფასი დოლარზე ნაკლები იქნება. წინადადება ჩვენთვის ხელსაყრელია, რადგან ხორცი დიდი რაოდენობით გვჭირდება „სოლომონმა" დაგვაკავშირა პარიზში არსებულ ფირმა „ევროგრეფს", რომელიც საქართველოდან გაცვლითი ოპერაციებისათვის ნებისმიერ ნედლეულს მიიღებს: ხე-ტყეს, ნავთობს, ქვანახშირს, მარგანეცს, ლითონს. შევხვდით ფირმა „ვილფრიდ პოსტის" ხელმძღვანელს ბატონ გიუნტერ მაიერს, რომელსაც უკვე ჰქონდა კავშირები ფოთის ფირმა „არგოსთან" და ბიუროკრატიული ბარიერების გამო ამ კავშირების ნახევრად უკმაყოფილო იყო. შევხვდით ეკონომიკის მინისტრს ბატონ კოქსს, რომელმაც დაგვაკავშირა საბანკო წრეებთან. ვიყავით „ლანდეს" ბანკში, სადაც შევხვდით ქალბატონ ვალტერს და ბატონ გრეზერს. დაისახა ერთობლივი ბანკის შექმნის და სპეციალისტთა მომზადების გზები. ამის თაობაზე ჩვენ გავცვალეთ ინფორმაციები და ახლა შევარჩევთ კანდიდატებს იქ გასაგზავნად. მოგვიანებით პარიზში შევხვდით ფირმა „ექსა ინტერნასიონალის" წარმომადგენლებს, რომლებთანაც გაგრძელდა რამდენიმე თვის წინათ დაწყებული საუბარი საქართველოს ენერგეტიკის განვითარების პროგრამის ევროპის ქვეყნებიდან დაფინანსების შესახებ.

ბატონო ლევან! საქონლის გაცვლა საქართველოსა და გერმანიას შორის როგორი მარშრუტით გესახებათ?

საქონელი შესაძლებელია გაიცვალოს არა მარტო გერმანიასა და საქართველოს შორის, არამედ ნებისმიერ სხვა ევროპულ ფირმასთან, რომელიც დაკავშირებულია გერმანულ საწარმოსთან ნებისმიერი ევროპული პორტიდან. ამავე დროს ბატონ სოლომონთან საუბრის დროს აღინიშნა, მაღალპროდუქტიული შვეიცარული მთის ჯიშის, ავსტრიული ლაქებიანი, ზიმენტალის ჯიშების ცოცხალი პირუტყვის გადმოზიდვა უფრო მიზანშეწონილი იქნება თვითმფრინავით, ჩარტერული რეისებით.

რა წინააღმდეგობებს ხვდებით მოსკოვის მხრიდან ახალი კავშირების დამყარების მცდელობისას?

ლევან ასათიანი: ამის თაობაზე ბევრის თქმა შეიძლება. მაგალითად საარბრიუკენსა და თბილისს შორის ჩატარებული რეისის მოწყობის დროს აეროფლოტის მესვეურების მხრიდან დიდ წინააღმდეგობებს ვაწყდებით. ჩვენ ამაზე რეაგირებას ვახდენთ. კერძოდ, აეროფლოტის მიერ ხელოვნურად არის გაზრდილი საჩარტერო რეისის ფასი. საარბრიუკენ-მოსკოვის საჩარტერო რეისის ფასია 22 ათასი მარკა, თბილისამდე კი 34 ათას მარკას ითხოვენ. მანძილში კი დიდი განსხვაობა არ არის. საჭიროა, რომ საქართველოს მთავრობამ ამ საკითხების მოსაგვარებლად მიმართოს აეროფლოტს.

ბატონო თედო! კიდევ რა შეხვედრები გქონდათ გერმანიაში?

ჩვენ შევხვდით თავისუფალი ლიბერალური პარტიის საარის რეგიონის თავმჯდომარეს ბატონ იურგენ კირკჰაბერს. ეს პარტია გერმანიაში მმართველ პარტიათა ბლოკშია, საარში კი ოპოზიციაშია. ბატონი კირკჰაბერი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს დიტრიხ გენშერის ახლო მეგობარია და შეგვპირდა, რომ დაეხმარება საქართველოს ოფიციალურ პირებს გენშერთან შეხვედრაში. მოგეხსენებათ, რომ ასეთი დონის მოღვაწეებთან, ექსპრომტად შეხვედრა ძნელია, მას გარკვეული მოსამზადებელი დრო სჭირდება.

ამავე დღეს შევხვდით განათლებისა და სპორტის მინისტრს ქალბატონ მარიანა გრანტს, რომელიც ასევე კონკრეტული წინადადებით გამოვიდა, კერძოდ, მოსწავლეთა ურთიერთგაცვლის თაობაზე და სპორტული დელეგაციათა გაცვლა-გამოცვლასთან დაკავშირებით. ალბათ საჭიროა ამ უწყებასთან ჩვენმა განათლების საქმეთა მინისტრმა და სპორტის დეპარტამენტის მინისტრმა ჯეროვანი კონტაქტები დაამყარონ.

ჩვენი მოგზაურობის ერთ-ერთი საინტერესო მომენტი იყო ვიზიტი სტრასბურგში. ეს უკვე საფრანგეთია, თუმცა საარბრიუკენიდან სამი საათის სავალზეა. სტრასბურგს ხშირად ევროპის დედაქალაქს უწოდებენ, რადგან აქ მუშაობს ევროპარლამენტი და ევროპის საბჭო. სტრასბურგში გამგზავრება ძალიან საინტერესოდ მოხდა. ჩვენი ევროპის საბჭოში ჩასვლა ერთი თვის წინ უნდა მომხდარიყო, მაგრამ გულცივი დამოკიდებულება ვიგრძენით. ეს ის საბჭოა, რომელმაც თავის დროზე არ მიიღო ბორის ელცინი, ხოლო ევროპარლამენტმა კი მას ძალიან ცუდი შეხვედრა მოუწყო, რაც ევროპული პოლიტიკის კიდევ ერთ შეცდომად და არაშორსმჭვრეტელობად შეიძლება მივიჩნიოთ. ამჟამად სტრასბურგიდან თავად დარეკეს საარში და დაინტერესდნენ ჩვენი ამბით, შეხვედრის სურვილიც გამოთქვეს. სტრასბურგში შევხვდით გერჰარდ შომბგენს, ეს გახლავთ ევროსაბჭოს პოლიტიკური კონსულტანტი, იგი გამოცდილი დიპლომატია, რამდენიმე წელი მოსკოვში გერმანიის საელჩოში მუშაობდა. მასთან ორსაათიანი საუბრის დროს განვიხილავდით საკითხს, თუ როგორ უნდა ჩაება საქართველო ზოგადევროპულ ცხოვრებაში. ევროსაბჭო რამდენიმე მიმართულებით მუშაობს და ერთ-ერთია რეგიონალური შეხვედრები. გერხარდ შომბგენმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ დასაწყისისათვის საქართველომ მონაწილეობა მიიღოს რეგიონალურ შეკრებებში. ჩვენ უკმაყოფილება გამოვთქვით, რადგან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იურიდიულად არ ვართ, განვაცხადეთ, რომ გვერჩივნა ინდივიდუალურად წარვმდგარვიყავით ევროპის საბჭოში, რაზეც გვითხრეს, რომ რეგიონალურ საბჭოში გამოსვლის უფლება აქვს არა მარტო მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლებს, არამედ საქართველოს უზენაესი საბჭოს ნებისმიერ დეპუტატსაც შესაძლებლობა ექნება თავისი პირადი ინიციატივითა და სახელით გამოვიდეს ამ საბჭოში.

ხომ ვერ დაგვისახელებთ რამდენიმე რეგიონს, რომლებიც ამჟამად წარმოდგენილი არიან ევროპის საბჭოს რეგიონალურ შეკრებებზე?

აქ შედის საფრანგეთის არაერთი რეგიონი, შოტლანდია და უელსი, ფლამანდრია, იუგოსლავიის რესპუბლიკები, რომლებიც ამჟამად დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, სლოვაკია და მრავალი სხვა. რეგიონალურ საბჭოში ჩვენი მონაწილეობა იმიტომაც არის გამართლებული, რომ თვით საბჭოთა კავშირიც ევროსაბჭოს სტუმრის სტატუსით არის შესული. კიდევ ერთი მომენტი, რომელმაც კმაყოფილება მოგვგვარა, ის არის, რომ სექტემბრიდან, როდესაც ევროსაბჭოში არდადეგები დამთავრდება, მუშაობას დაიწყებს დარგობრივი კომისიები: ეკოლოგიის, ადამიანთა უფლებების დაცვისა და სხვა. გვითხრეს, რომ ამ ეტაპზე ალბათ საქართველოს წევრად მიღება ვერ მოხერხდება, ვიქნებით საპატიო სტუმრის ან თუ მოხერხდა მეთვალყურის სტატუსით. მესამე მომენტი, რომელიც საქართველომ შესაძლებელია გამოიყენოს ევროსაბჭოში, გახლავთ მის პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაციაში მონაწილეობა. ე. ი. საქართველოს სხვადასხვა პარტიებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნება ევროსაბჭოს პოლიტიკურ პარტიათა ორგანიზაციაში იმუშაოს, ასე რომ ამ მიმართულებითაც ძალიან საინტერესო მუშაობა მოგველის.

ევროსაბჭოში ასეთი საინტერესო შეხვედრების შემდეგ დავბრუნდით საარში, სადაც შევხვდით მხარის ჯანმრთელობის მინისტრს ქალბატონ ქრისტინა კრაევსკის. სწორედ მას ეკუთვნის ინიციატივა საქართველოს მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის გერმანიაში დახმარების შეგროვებისა. ძალიან საინტერესო იყო საარის მხარის პრემიერთან ოსკარ ლაფონტენთან შეხვედრა, რომელიც შესანიშნავად ერკვევა საქართველოში შექმნილ ვითარებაში. იგი ძალიან დაინტერესდა წიგნების საკითხით და ამ საქმეს თავად ჩაუდგება სათავეში, ამავე დროს საქართველოში არსებული ის გერმანული წიგნები, რომლებსაც ამა თუ იმ ბიბლიოთეკების ბეჭდები არ ექნება, დარჩება საარბრიუკენში. მე ჩავიტანე მე-17 საუკუნის ბიბლია, მე-16-17 საუკუნეების ძველი ფსალმუნები და რელიგიური სიმღერების კრებული, თვითოეულის ფასი რამდენიმე ათასი მარკაა, ასე რომ გერმანიაში სულიერ საგანძურთან ერთად დიდი მატერიალური ფასეულობაც ჩადის. მომავალში გერმანელთა დახმარებით თბილისში შესაძლებელია გაიხსნას ევროპული ბიბლიოთეკა.

ბატონო თედო! საქართველო, რომელიც საბჭოთა იმპერიაში ძალმომრეობით იქნა შეყვანილი, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, როგორც საზარბაზნე ხორცი მონაწილეობდა გერმანიის წინააღმდეგ ომში. გაიღო დიდი სისხლი. ბრძოლის ველზე დატოვა 400 ათასამდე ადამიანი. უამრავი ადამიანი დასახიჩრდა. ქართულ გენოფონდს უდიდესი ზარალი მიადგა, აქედან გამომდინარე გერმანიის მხარისათვის წიგნების უანგარო გადაცემა, მართალია, შესანიშნავი საქციელია, მაგრამ საქართველოს დაღვრილი სისხლისათვის განა არ ეკუთვნის კომპენსაცია?

წიგნები გერმანელი ხალხის საკუთრებაა, იგი საბჭოთა არმიამ გამოზიდა და სამშობლოში უნდა დაბრუნდეს, რაც შეეხება კომპენსაციას, საქართველომ თავისი წილი უნდა მიიღოს და მომავალ შეხვედრებზე ამ საკითხს ალბათ დავსვამთ.

ბატონ ოსკარ ლაფონტენს გადავეცი ბატონ ზვიად გამსახურდიას მოკითხვა და საქართველოში მოწვევა, რაც სიამოვნებით იქნა მიღებული.

ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა საარის მხარის ახალ დანიშნულ ობერბურგომისტრთან ბატონ ჰოფმანთან, რომელიც ადრე საარის მხარის ეკონომიკის მინისტრი იყო. მასთან შევხვდით ბატონ კლაუსს, რომელიც ხელმძღვანელობს ფირმა „ასტ დრაიზდენს". სწორედ ეს ფირმა ახორციელებს ჩარტერულ რეისებს საქართველოში. სექტემბერში საარბრიუკენში მოეწყობა საქართველოს კულტურის დღეები, ამ ღონისძიებას სათავეში ჩაუდგება კულტურის მინისტრი რაიტენბახი.

ლევან ასათიანი: საარბრიუკენში საქართველოს კულტურის დღეების დროს კარგი იქნება, თუ მასში ქართველი მეწარმეებიც მიიღებენ მონაწილეობას და გამოფენენ ქართულ ნაწარმს. ეს დიდად წაადგება საქართველოს.

ბატონო თედო! პარიზის შეხვედრებზე რას გვეტყოდით?

პარიზში სამი დღე ვიყავით. გავერკვიეთ ლევილის მამულთან დაკავშირებულ საკითხებში, პარიზის „ქართული სახლის პრობლემებში, ბატონ ნოზაძის მიერ ანდერძით საქართველოსათვის გადმოსაცემი 12 სურათის ბედში. შევხვდით ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს, რომელთა საუბრებში საკმაოდ კარგად შემუშავდა ის იურიდიული მექანიზმი, რომლითაც უნდა მოხდეს ლევილის საქართველოს იურისდიქციაში შესვლა, ქართული არქივებისა და სურათების მოსკოვის გვერდის ავლით სამშობლოში დაბრუნება, შევხვდით ვიქტორ ხომერიკსაც.

საფრანგეთში ყოფნისას ჩვენ ღრმად დავრწმუნდით, რომ პარიზში ჩასასვლელია გამოცდილი იურისტი. ჩვენ გვქონდა ამის თაობაზე საუბარი ჯონი ხეცურიანთან და ალბათ იგი გაემგზავრება პარიზში

ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა ბატონ კლოდ ქემულარიასთან, რომელიც დაკავშირებულია საფრანგეთის საბანკო წრეებთან. მას უნდა, რომ ჩამოვიდეს ხოლმე საქართველოში. რადგან არც ერთი თავის თავისპატივისმცემელი ევროპელი „აეროფლოტის" თვითმფრინავში არ ჩაჯდება, მან სურვილი გამოთქვა, რომ სტამბოლიდან გაიხსნას რეისი თბილისში, თუნდაც კვირაში ორჯერ, რომელსაც უცხოური ავიაკომპანია მოემსახურება. თურქეთთან კარგი ურთიერთობა ისახება და ბატონ ზვიადის მითითებით შეიქმნება კომისია, რომელიც სტამბოლ-თბილისის რეისის საკითხებს მოაგვარებს, ეს კი გააქტიურებს საქართველოს საქმიან ურთიერთობებს, არა მარტო თურქეთთან არამედ მთელ მსოფლიოსთან. აგრეთვე ბატონმა ქემულარიამ სურვილი გამოთქვა, რომ საკუთარი ხარჯით მოამზადოს 3 სპეციალისტი ეკონომისტი და ერთი იურისტი. ეს კანდიდატურებიც შესარჩევი გვყავს.

საერთოდ მიმაჩნია, რომ საქართველოდან რაც შეიძლება მალე უნდა წავიდეს ჩვენი მოქალაქე, რომელიც მუდმივად იქნება პარიზში, საქართველოს წარმომადგენლის სტატუსით.

რამდენიმე სტრიქონით

საბჭოთა კავშირის ფინანსთა მინისტრის განცხადებით ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი 170 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. საბჭოთა კავშირს საზღვარგარეთისა ამჟამად მართებს 25 მილიარდი დოლარი. წლის ბოლომდე ეს ვალი 150 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. ზოგიერთი მონაცემებით ამჟამად საბჭოთა კავშირის დავალიანება არა 25, არამედ 46 მილიარდ დოლარს შეადგენს.

კუბაში 30 წლის პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლეს ლათინური ამერიკის ერთ-ერთი უხუცესი პოლიტპატიმარი მარიო ჩანეს დე არმასი. იგი თავის დროზე ფიდელ კასტროსთან ერთად იბრძოდა მონვადას ყაზარმებში და სიერა-მაესტრას მთებში. მარიო ჩანეს დე არმასს პატიმრობა მიუსაჯეს კუბის უმაღლეს ხელისუფლებაზე თავდასხმის მოწყობის ცდისათვის.

ამერიკელი ექიმები ნებაყოფლობით უნდა გაესინჯონ აქვთ თუ არა შიდსი და თუ ის აღმოაჩნდათ, შეწყვიტონ სამედიცინო პრაქტიკა. პირველ რიგში ეს ეხებათ ქირურგებს, გინეკოლოგებსა და კბილის ექიმებს. ასეთი რეკომენდაცია წამოაყენა ატლანტაში განლაგებული დაავადებისადმი კონტროლის ფედერალურმა ცენტრმა.

ბელგრადის ტელევიზიის ცნობით იუგოსლავიაში წლეულს ეთნიკურ ნიადაგზე გარდაიცვალა 300 და დაიჭრა 500 ადამიანი. ამ მონაცემებში არ შედის სლოვენიაში იუგოსლავიის არმიისა და სლოვენიის ტერიტორიული ძალების შეტაკების მსხვერპლის რიცხვი. ამჟამად იუგოსლავიაში არმიის გარდა 200 ათასი შეიარაღებული ადამიანია. აქედან ხორვატიაში 100 ათასი კაცი, ხოლო სლოვენიაში — 55 ათასი.

ციმბირსა და ურალში დამთავრდა ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი პრემიერის ედგარ სავისაარის მეთაურობით. მან ხელშეკრულებები გააფორმა კრასნოიარსკის მხარის, ირკუტსკისა და სვერდლოვსკის ოლქის ხელმძღვანელობასთან. მხარეები უკვე შეთანხმდნენ, რომ უკვე წლეულს შექმნიან ერთობლივ საწარმოებს.

ნარკომაფიის ერთ-ერთი მესვეური ერვინ გუსმანი ნებაყოფლობით ჩაბარდა ბოლივიის ხელისუფალთ. იგი ბოლივიის სამხედრო საჰაერო ძალების ყოფილი ლეიტენანტი იყო. ამერიკის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს მონაცემებით გუსმანი ბოლივიის № 1 ნარკომაფიოზია.

შეერთებულმა შტატებმა და მრავალეროვნული კოალიციის სხვა წევრებმა დაამთავრეს თავიანთი ჯარების გამოყვანა ერაყის ტერიტორიიდან. ამერიკელები ფილიპინებში მდებარე კლარკ-ფილდსის სამხედრო ბაზიდანაც აპირებენ ჯარების გაყვანას.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიიღო გადაწყვეტილება კვლავ გაგზავნოს სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ახლო აღმოსავლეთში არაბებსა და ისრაელს შორის საზავო მოლაპარაკების ორგანიზაციის მიზნით. თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი მოჰყვა სირიის პრეზიდენტის ჰაფეზ ასადის „კარგ რეაქციას". შეგახსენებთ, რომ ბეიკერი წელს უკვე მეოთხედ მიემგზავრება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაახლოებით 150 ათასამდე ლტოლვილი ჩავიდა რუსეთის ფედერაციაში მოკავშირე რესპუბლიკებიდან. აქედან 90 ათასი რუსი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან წავიდა, იუწყება რუსეთის საინფორმაციო სააგენტო.

ბოსტონის გაზეთის „ქრისჩენ საიენს მონიტორის" კორესპონდენტის დანიელ სნეიდერის აზრით საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის უკანასკნელ სტადიაში შევიდა.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის დაზვერვის სპეციალურმა კომიტეტმა სამშაბათს მიიღო გადაწყვეტილება ორი თვით გადაიდოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის პოსტზე რობერტ გეიტსის დამტკიცების მოსმენის დაწყება. ამ პოსტზე იგი პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა დანიშნა, როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ დევიდ ბორენმა აღნიშნა, ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს თეთრ სახლთან და თვით გეიტსთან კონსულტაციების შემდეგ.

ავსტრიამ უარყო როგორც „სრულიად უსაფუძვლო" მისი მისამართით იუგოსლავიის მიერ წაყენებული ის ბრალდებანი, რომ ალპიის რესპუბლიკა ერევა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, გზავნის იარაღს სლოვენიასა და ხორვატიაში.

წერილში ნათქვამია, რომ ალპიის რესპუბლიკა ყოველთვის ცდილობდა თავიდან აეცილებინა იუგოსლავიის საშინაო საქმეებში ჩარევა. როცა სლოვენიისა და ხორვატიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ავსტრიის სახელმწიფო საზღვრის უშუალო სიახლოვეს გაჩაღდა სერიოზული საბრძოლო მოქმედება და იუგოსლავიის საბრძოლო თვითმფრინავებმა დაიწყეს ავსტრიის საჰაერო სივრცის დარღვევა, ამ ქვეყნის მთავრობამ სასაზღვრო რაიონებში გაგზავნა ჯარების კონტინგენტი საკუთარი მოსახლეობის დასაცავად. ეს ღონისძიება იყო აუცილებელი, გამართლებული და შექმნილი სიტუაციის ადეკვატური.

ხანძარი



იწვოდა მხატვრის სახლი

ამჯერად კვამლი ავარდა რუსთაველის პროსპექტზე: ხანძარს მოეცვა მხატვრის სახლის ზედა სართულები.

— ამის შესახებ სიგნალი, — თქვა მთაწმინდის რაიონის სახანძრო დაცვის წარმომადგენელმა გივი მიქაშვილმა, — 10 საათსა და 26 წუთზე მივიღეთ და მაშინვე შემთხვევის ადგილისაკენ გავემგზავრეთ. მალე აქ მოვიდნენ ქალაქის ყველა დანარჩენი რაიონის მეხანძრეები. ხანძრის მიზეზებს გამოიძიებენ.

რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ ამბავს არავინ დაუტოვებია გულგრილი. ქალაქელებმა ადამიანთა ცოცხალი ჯაჭვი შექმნეს, რომლებიც ეხმარებოდნენ მხატვრებს გამოეტანათ ალმოდებული სახლიდან სურათები, გადაერჩინათ ხალხის სულიერი დოვლათი. და ამისათვის ყველას გვინდა დიდი მადლობა მოვახსენოთ. მაგრამ მინდა ისიც აღვნიშნო, რომ უმჯობესი იქნება არ მივიყვანოთ საქმე ხანძრამდე, რათა ერთხელ კიდევ არ მოგვიხდეს ადამიანთა სიმტკიცისა და ვაჟკაცობის გამოცდა. სხვათა შორის ხანძრების შემთხვევები, თანაც თბილისის ცენტრში, გახშირდა...

ზურაბ ბრძოლიშვილი,
საქინფორმის კორ.

* * *

სურათებზე: ხანძარი მხატვრის სახლში თბილისში.

ვ. ვალიშვილისა და ს. ურაშიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სხვადასხვა

საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის განცხადება

როგორც შევიტყვეთ, ხელახალ არჩევნებში მარტვილის № 96-ე საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წარმოდგენილია სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარე როინ ლიპარტელიანი (იხ. გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" მიმდინარე წლის 9 ივლისის ნომერი — „სამშობლოს ერთგული შვილი").

ამ პუბლიკაციაში, ჩვენდა გასაოცრად, როინ ლიპარტელიანის ბიოგრაფიაში მოხსენიებულია, რომ იგი, თურმე, ერთ დროს ჰელსინკის კავშირის წევრი ყოფილა. საინტერესოა, რამ გაახსენა ბატონ როინს ჰელსინკის კავშირი?

ჰელსინკის კავშირის გამგეობა უფლებამოსილია განაცხადოს, რომ რ. ლიპარტელიანს არასოდეს არ ჰქონია რაიმე საერთო ჰელსინკის კავშირთან და მით უმეტეს არასოდეს ყოფილა ამ კავშირის წევრი. ჩვენ მის მოქმედებას ვაფასებთ, როგორც წინასაარჩევნო ხრიკებს, ხოლო მარტვილის რაიონის საზოგადოებრიობას ვთხოვთ: გაითვალისწინოს ეს განცხადება და არ აჰყვეს ამ იაფფასიან პოლიტიკურ სპეკულაციას.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების გამგეობის დადგენილება

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების გამგეობის 1991 წლის 4 ივლისის საგანგებო კრების გადაწყვეტილებით, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირთან მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, მიღებულია დადგენილება ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირში ასოცირებულ საზოგადოებად შესვლის შესახებ.

საზოგადოების ყოველი წევრი, რეგიონალური ორგანიზაციების ჩათვლით, ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადოების გამგეობის საგანგებო ბრძანებულებას და რაიონებში დაამყაროს ახლო თანამშრომლური ურთიერთობა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის რეგიონალურ ორგანიზაციებთან. საზოგადოების წევრები, რომლებიც არ დაემორჩილებიან აღნიშნულ დადგენილებას, საზოგადოებიდან გარიცხულებად ჩაითვლებიან.

ამ მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით, 1991 წლის 27 ივლისს, კინოთეატრ „რუსთაველის" დარბაზში საღამოს 6 საათზე გაიმართება ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების დიდი დარბაზი. საზოგადოების ყოველი ნამდვილი წევრის, წევრობის კანდიდატების და თავისუფალი წევრების დასწრება, რეგიონალური ორგანიზაციების ჩათვლით, სავალდებულოა.

საზოგადოების გამგეობა, საზოგადოების დიდ დარბაზზე საპატიო სტუმრებად იწვევს: ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ აკაკი ასათიანს; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საბჭოს წევრებს; საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ გიორგი ხოშტარიას; საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის" ბატალიონის მეთაურს ბატონ ტარიელ აბუაშვილსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავდაცვის კომისიის თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ კიტოვანს.

ვიაროთ ღვთის გზით და ღმერთი ჩვენთან იქნება!

ეროვნული გმირის სახელობის პოლკში

საქართველოს ეროვნული გმირის, სულნათელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების 103 წლისთავზე — 14 ივლისს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიაში არსებულ „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკს", რომელიც შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის, ეროვნული გვარდიის სარდლის ბატონ თენგიზ კიტოვანისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების გამგეობის ყოფილი წევრის, „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის" მეთაურის ბატონ ტარიელ აბუაშვილის თაოსნობითა და რუდუნებით, სტუმრებად ეწვივნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირდაპირი შთამომავლები, ბატონები გური ხუნწარია და დათი კილაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების ხელმძღვანელი ბატონი სოსო ჯაჯანიძე და საზოგადოების გამგეობის წევრი ნიკო გიორგაძე.

სტუმრები აღფრთოვანებული დარჩნენ პოლკის სამხედრო დისციპლინით, პოლკის ოფიცერთა დახვეწილი პროფესიონალიზმით, ახალწვეულ ქართველ მეომართა საბრძოლო შემართებით და მამულიშვილური მოვალეობის მტკიცე შეგნებით, პოლკის ტერიტორიის მოვლა-პატრონობითა და სამხედრო ყაზარმების სისუფთავით და სისადავით, რაც უპირველეს ყოვლისა პოლკის მეთაურის ბატონ ტარიელ აბუაშვილის უდავო დამსახურებაა და დიდი შრომის შედეგადაა მოპოვებული. აქ ყველაფერს ეტყობა ხელმწიფე მეთაურის სიმტკიცე, წმინდა საქმისათვის თავდადება, დაკისრებული მოვალეობის ერთგულება. მეთაურს არც მას დაქვემდებარებული ოფიცრები და ჯარისკაცები ჩამორჩებიან, მათ მშვენივრად ესმით, თუ ვის სახელს ატარებენ და ემაყებათ კიდეც ეს დიდი პატივი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლკი სანიმუშოა.

მიუხედავად იმისა, რომ ღვთისგან ბოძებული უქმე დღე კვირა გახლდათ, პოლკის მეთაურმა ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით საზეიმო შეკრება ბრძანა. მწყობრში ჩამდგარ ქართველ ჭაბუკებს ღირსეულ წინაპართა სულების ნათელი გადმოეფინათ, მათ თვალებში გაცისკროვნებული სიამაყე და უდრეკელობა ალგეთის მგლის ლეკვთა ნაშიერობაზე მეტყველებს.

საზეიმო შეკრებაზე პოლკის წინაშე მისალოცი სიტყვით გამოვიდნენ: პოლკის მეთაური ბატონი ტარიელ აბუაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი სოსო ჯაჯანიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შვილთაშვილი ბატონი გური ხუნწარია, რის შემდეგაც გაიმართა საზეიმო აღლუმი. სამხედრო მწყობრით მოარული მეომრები ომახიანი „ვაშას" გრიალით მიესალმნენ ეროვნული გმირის დაბადების დღეს.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი სამხედრო ფორმირებანი და წმინდა გიორგი ჰფარვიდეს და მიუძღოდეს სრულიად საქართველოს ეროვნულ გვარდიას.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების პრესცენტრი

საქართველოს ეროვნულ ფრონტ — რადიკალურ კავშირში

1991 წლის 16 ივლისს გაიმართა საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ გამგეობის წევრები რუსლან ღონღაძე (თავმჯდომარე), ჯემალ იონათამიშვილი, ბიძინა გლურჯიძე, თამაზ მამაგეიშვილი, მირიან მირიანაშვილი, ალიკო ქობულაშვილი და ლადო ცოფურაშვილი.

გამგეობამ განიხილა საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის მომავალი კონფერენციის მომზადებისა და მიმდინარე საკითხები. მირიან მირიანაშვილმა წარმოადგინა სეფ-რკ წესდების პრინციპები, რომელთა შესახებ გაიმართა კამათი. გამგეობამ მოისმინა ინფორმაცია მთაწმინდისა და დიდუბის რეგიონული ორგანიზაციების შესახებ. გადაწყდა სეფ-რკ მთავარი კომიტეტის უახლოეს სხდომაზე განხილულ იქნეს წესდების პროექტი, ძირითადი საპროგრამო დებულებები, რეგიონულ ორგანიზაციათა კონფერენციების ჩატარების საკითხები.

გამგეობამ აგრეთვე იმსჯელა საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის ბეჭდვითი ორგანოებისა და შტაბბინის შესახებ.

ქუჯი ალექსანდრია.

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის გამგეობის განცხადება

ა. წ. 20 ივლისს, შაბათს, დღის 12 საათზე თბილისში ყოფილ კინოთეატრ „კოსმოსის" შენობაში (ა. წერეთლის გამზირი) გაიმართება საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის სხდომა. მთავარი კომიტეტის წევრთა დასწრება აუცილებელია.

ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის ხონისა და ოზურგეთის რეგიონული ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის გამგეობა სთავაზობს მთავარი კომიტეტის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით დასწრებას.

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის გამგეობა.

განცხადება

საქართველოს დამოუკიდებელ მეფუტკრეთა ასოციაციის შექმნის საინიციატივო ჯგუფი მოგმართავთ ყველა მეფუტკრესა და დაინტერესებულ პირს, მონაწილეობა მიიღოთ ასოციაციის დაფუძნებაში. ცნობებისათვის მოგვმართეთ საინიციატივო ჯგუფის შტაბ-ბინაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 22 გაერთიანება „თბილინფორმსერვისი" (კოლმეურნეობის მოედანზე), ტელ: 98-61-66.

საინიციატივო ჯგუფი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მისი აპარატი იუწყებიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის პაატა ბარათაშვილის ძმის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, ნ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მოადგილე 99.97.26;
[illegible] 99.73.24.
იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible]
კორპუსში, [illegible] ქ. № 29.
შეკვეთა 6434